ტარიელ ფუტკარაძე

ქართველთა
დედაენა
და
დიალექტები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ტარიელ ფუტკარაძე

ქართველთა
დედაენა და დიალექტები

**The National Language and The Dialects
of Kartvels (Georgians)**

ქუთაისი
2008

2000 წელს საქართველო მიუერთდა ევროსაბჭოს დოკუმენტებს: "ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ" და "ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ"; შესაბამისად, აქტუალური გახდა **საქართველოში ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების თემა.**

სამწუხაროდ, საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის ის აღწერები, რომლებიც 2000-2008 წლებში გავრცელდა საერთაშორისო ქსელში, ქართველთა დიდ ნაწილს უმწიგნობრო ეთნიკურ ჯგუფებად - არაქართველებად აცხადებს... ამგვარ კვალიფიკაციებს შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქართველი ერისა და საქართველოს შემდგომი დანაწევრება.

წინამდებარე ნაშრომში ავტორი კრიტიკულად აანალიზებს ძირითადად საერთაშორისო მიმოქცევაში არსებულ მასალებს (იბეჭდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის** სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით).

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

ეკატერინე დადიანი

რეცენზენტები:

პროფ. ამირან ლომთაძე
პროფ. დავით შავიანიძე
პროფ. რევაზ შეროზია

© ტ.ფუტკარაძე
ISBN-978-9941-9050-0-1
გამომცემლობა "ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი "ლამპარი"

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა..... 5-10

ერთიანი ქართველი ერი თუ ქართველები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები, აჭარლები, ლაზები; ვინ არის ენობრივი და ეთნიკური უმცირესობა? 11-25

ისტორიული ექსკურსი: დედაენა და დიალექტები თუ ქართველური ენები? 26-51

ენისა და კილოს გამიჯვნის "წმინდა ლინგვისტური" კრიტერიუმები და ქართველურ ენა-კილოთა საკითხი დღეს..... 52-63

ქართული სამწიგნობრო ენის საბაზო ენობრივი მოდელის საკითხი; რას ემყარება ქართიზაციის თეორია?..... 64-92

ქართველთა სამწიგნობრო ენისა და კილოების მიმართების ორი სქემა..... 93-100

დამოწმებული ლიტერატურა.....101-108

კონსტანტინე გამსახურდია:

“ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც **მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები,** ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას...“

სამწუხაროდ, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის (2007) გამომცემლებმაც ქართული სალიტერატურო ენის საბაზო ლექსიკონში არ შეიტანეს მეგრულ-ლაზურ-სვანური მდიდარი ლექსიკა.

არნოლდ ჩიქობავა:

“ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებს“

ევროსაბჭოში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი **ლევან ბერძენიშვილი:** "საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე აიღო ვალდებულება, **უმცირესობათა ენების სტატუსი** მიანიჭოს სვანურსა და მეგრულს“.

თინათინ შარაძენიძე:
“იმისათვის, რომ ენის დიფერენციაცია განხორციელდეს, აუცილებელია ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება დაიშალოს“

წინასიტყვაობა

2005 წელს გამოქვეყნდა ჩემი მონოგრაფია “ქართველები“ (I ნაწილი, ქრისტიანობამდელი ეპოქა). გამოკვლევის ძირითადი მიზანია თანამედროვე ენობრივ ერთეულთა ისეთი კვალიფიკაციის ძიება, რომელიც ადეკვატურად ასახავს ქართველთა ენობრივ სამყაროს; აგრეთვე, გაანალიზებულია ის ცალკეული პრობლემები, რომელთა შესახებაც 2000-2004 წლებში მიმდინარეობდა პოლემიკა სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებსა თუ ჟურნალებში. წიგნის შესავალში ვწერთ:

“წინა თაობების მკვლევართა **(მ. ბროსე, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ვ. თოფურია, გ. მელიქიშვილი, მ. ქალდანი, გ. რამიშვილი, გ. როგავა, ო. ჯაფარიძე, ო. ლორთქიფანიძე, გრ. გიორგაძე, ბ. ჯორბენაძე, ქ. ლომთათიძე, თ. გამყრელიძე, თ. უთურგაიძე, ი. ზიცარი, ჰ. ფენრიხი...)** დიდი პატივისცემით, მაგრამ, გარკვეულწილად, მათგან განსხვავებული ხედვით შექმნილი წიგნის პირველი გამოცემა მიზნად ისახავს დისკუსიის გაშლას განხილული პრობლემატიკის ირგვლივ...“ (გვ. 32).

გამოკვლევას დანართის სახით ერთვის აკად. თეიმურაზ გვანცელაძის სტატია **“ქართველური ენები თუ დიალექტები“**, სადაც განხილულია ქართველურ ენობრივ ერთეულთა სტატუსის ისტორიის საკითხები და გამოტანილია დასკვნა:

“ქართველური ენობრივი სამყაროს შემადგენლობის, მეგრულის, ჭანურისა და სვანურის ლინგვისტური სტატუსის განსაზღვრის საკითხების შესწავლის ისტორია XVIII საუკუნის დასასრულიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე გვიჩვენებს, რომ **არსებობს ამ საკითხთა გადა-**

წყვეტის სამი ვარიანტი:

1.არსებობს ერთი, ზოგადქართული, იგივე იბერიული ენა, ხოლო მეგრული, ჭანური (ლაზური) და სვანური მისი დიალექტებია;

2.არსებობს სამი ქართველური ენა: ქართული, მეგრულ-ჭანური (ზანური, კოლხური) და სვანური;

3.არსებობს ოთხი ქართველური ენა: ქართული, მეგრული, ჭანური (ლაზური) და სვანური.

ამ სამი ვარიანტიდან არც ერთ თვალსაზრისს არ მოეპოვება წმინდა ლინგვისტური ხასიათის უტყუარი კრიტერიუმები, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მსოფლიო ენათმეცნიერებასაც არა აქვს ამგვარი საკლასიფიკაციო კრიტერიუმები...

ზემოთ დასახელებული სამი თვალსაზრისიდან როგორც ლინგვისტური, ისე ეთნოპოლიტიკური და ეთნოკულტურული ასპექტებით **ყველაზე ოპტიმალური პირველი თვალსაზრისია,** რომლის მოდიფიცირებული ვარიანტის დასაბუთება ამ რამდენიმე წლის წინათ წარმოადგინა **პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ“ (გვ. 597).**

ბევრი სხვა საინტერესო (მხარდამჭერი თუ კრიტიკული) გამოხმაურების ფონზე უცნაურად ნეგატიური ნააზრევით მოგვევლინა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და “Voikswagen-Stiftung"-ს პროექტის (“ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“) სახელით გამოქვეყნებული წიგნაკი **“ქართველური ენები და დიალექტები“** (ერთი “სამეცნიერო პოლემიკის“ გამო), თბილისი, 2007, გამომცემლობა “მერიდიანი“. მისი წინასიტყვაობა გვამცნობს:

“პროექტის **“ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“** მონაწილეთათვის უდავოა ქართველური ენების არსებობა. წინამდებარე გამოცემა ამ მეცნიერული პოზიციის დაცვას ისახავს მიზნად“.

ამ სერიოზული განაცხადის მიუხედავად, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის ლ. ეზუგბაიას ორგანიზებით გ. გოგოლაშვილმა, მ. ქურდიანმა, ჭ. ქირიამ, ა. არაბულმა დაბეჭდეს მეცნიერული ანალიზისაგან დაცლილი და სიცრუით,

ავსებული ერთი შინაარსის წერილები. სამ-ოთხ ავტორად გადანაწილებული ეს “კოლექტიური ნააზრევი“ მათ მიუტანეს საქართველოში არსებული უნივერსიტეტების რექტორებს[1], ეპისკოპოსებს, ჰუმანიტარული დარგის ინსტიტუტებს და ა.შ. დღემდე ავრცელებენ აზრს, რომ ჩვენი (ჩემი კოლეგებისა და ჩემი) ნაშრომების ნაწილი წინა თაობების მკვლევართა უარყოფასა და ლანძღვას შეიცავს; ხაზგასმით მინდა გავიმეორო მრავალგზის ნათქვამი:

ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ყველა თაობის მეცნიერსა და მოღვაწეს, თუმცა ამავე დროს, აუცილებლობის შემთხვევაში, კრიტიკულად ვაანალიზებთ, ან ვავითარებთ მათ ნააზრევს, რაც ზოგადად სამეცნიერო აზრის განვითარების უმთავრესი პირობაა, და თავად ჩვენი წინამორბედების მოღვაწეობის დევიზიც გახლდათ.

“ქართველური ენები და დიალექტების“ მე-12 გვერდზე დანაშაულად აცხადებენ ჩვენი **თვალსაზრისის** შეტანას უნივერსიტეტებში და საბჭოური სულისკვეთებით გმობენ იმპერიული სქემებისგან თავისუფალ იმ სახელმძღვანელოს (“ქართული ენის ისტორია“, 2006), რომელიც ქუთაისის უნივერსიტეტში მომზადდა. აქვე გ. გოგოლაშვილი ი. ვოსტოროგოვთან, ჯ. ჰიუიტთან თავად ათანაბრებს ქართველ მეცნიერებს (თ. გამყრელიძეს, ა. ონიანს...) და ამ “მიგნებას“ მე მომაწერს: იმოწმებს არა ჩემს სამეცნიერო ნაშრომს, არამედ ერთ-ერთ წიგნზე (**“სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა“,** 2006) დართული საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიმართ საპროტესტო წერილის ფრაგმენტს[2].

---

[1] რექტორებთან მიტანით მათ ჰქონდათ მცდელობა, ხელი შეეშალათ **ჩვენი** (ჩემი და ჩემი თანამოაზრეების) საუნივერსიტეტო მოღვაწეობისათვის; იხ., აგრეთვე, ი. გიპერტის წერილი გ. ხუბუასადმი და თ. გვანცელაძის პასუხი (გელათის აკადემიის ჟურნალი, 2007 წ., № 5, 11).

[2] ფონდმა ექსპერტად მოიწვია ერთი არაპროფესიონალი უცხოელი ექსპერტი, რომელმაც არალეგიტიმურად დაბლოკა ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო პროექტი.

ჩემს ამ საპროტესტო წერილშიც კი ერთმანეთისაგან მკვეთრად არიან გამიჯნულნი საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების მომხრე ავანტიურისტები და საკუთარი არგუმენტების მქონე მეცნიერები.

ჩვენს მიმართ მთავარი ბრალდება (უსაფუძვლო!) ასე ჟღერს: ტ.ფუტკარაძის, თ.გვანცელაძის მ.ტაბიძის (და სხვა თანამოაზრეთა) მიერ XX საუკუნის დასასრულიდან იწყება ენათმეცნიერების პოლიტიზება და საქართველოს საფრთხეების გაზვიადება... **ვაიმბრალდებელთა აზრით**, "სახიფათოდ დანახულ პერსპექტივას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია"[3].

ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერულ ბაზისს უნდა ეფუძნებოდეს. ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და მართებული კვალიფიკაცია ყველა ნორმალური სახელმწიფოს მთავარი მიზანია. არაიშვიათად, იმპერიები თავისი ინტერესების შესაბამისად წარმოაჩენენ დაპყრობილი ქვეყნის კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას. ბოლო წლებში მიმდინარე დისკუსიის დროს არასპეციალისტთათვისაც კი ნათლად გამოჩნდა:

ქართველოლოგიის პოლიტიზება მოხდა რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნის ბოლოს. XX საუკუნის დასასრულიდან კი დაიწყო იმპერიული სქემებისგან თავისუფალი, მეცნიერული ქართველოლოგიის აღორძინება.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა მეცნიერების გავლენით შექმნილი თანამედროვე ევროპელი ექსპერტების ამჟამინდელი კვალიფიკაციები[4] (თუ რეკომენდაციები) ცხადყოფს, რომ ჯერ

[3] ქართველური ენები და დიალექტები, 2007, გვ. 12

[4] როგორც ქვემოთ ნახავთ, ისინი არაადეკვატურად აღწერენ საქართველოს ენობრივ-ეთნიკურ რეალობას: არაქართველებად აცხადებენ ქართველთა ნახევარზე მეტს.

კიდევ სერიოზული საფრთხე ემუქრება ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ, საეკლესიო და სახელმწიფოებრივ ერთიანობას.

წარმოდგენილ მცირე მოცულობის წიგნში ("**ქართველთა დედაენა და დიალექტები**") **ჩემი ძირითადი მიზანია** თანამედროვე ევროპელ ექსპერტთა ფართოდ გავრცელებული კვალიფიკაციების კრიტიკული ანალიზი და მათთვის არგუმენტირებული დებულებების შეთავაზება; ასევე, ვიმედოვნებ, ჩემ მიერ გაანალიზებული ფაქტები და მიღებული დებულებები დაეხმარება სამეცნიერო საზოგადოებას ამ პრობლემურ საკითხთა გარკვევაში; ასევე, ქართველური ენობრივ-ეთნიკური სამყაროს ტერმინოლოგიური შეფასების თვალსაზრისით **სამოქალაქო თუ სახელმწიფო დონეზე კონსენსუსის მიღწევაში**[5].

მათ კი, ვინც ჩვენს დროშიც ცდილობს ქართველთა ერთი ნაწილის არაქართველებად გამოცხადებას, ქართველთა კილოების მიხედვით "ანბანების", დედაენებისა და "ახალი სალიტერატურო ენების" შექმნას, სამეცნიერო დისკუსია არ სჭირდებათ და ამიტომ დიდი ვაჟას ლექსით დავემშვიდობები:

ვინ არის კაცი?

კაცი ის არის, ცხოვრება
ვინც გაატარა ჭამაში
და კაცის დანიშნულება
მხოლოდა ჰპოვა ამაში.

კაცი ის არის, ვინაცა
ქუჩაში სალამს არ გაძლევს,
თუ დაჰპატიჟე სადილად,
დიდ ჯიუტობას არ გასწევს.

[5] მკითხველი მალე მიიღებს ამ კუთხით საინტერესო კრებულს: **"ქართველთა დედაენა; გამოწვევები და პერსპექტივები".**

კაცი ის არის, ვინაცა
საქმით სხვის, სიტყვით ჩვენია,
და თავის ოინბაზობას
ჰმალავს, არ დაუჩენია.

კაცი ის არის, ვინაცა
შეჰსტრფის, შეჰხარის ღვინოსა
და ჰსახავს იდეალადა
სალხინო სამიკიტნოსა.

კაცი ის არის, ვინაცა
არა კითხულობს გაზეთსა,
წიგნისთვის შაურსა ზოგავს,
მეარღნეს აძლევს მანეთსა.

გადაამტერებს ერთმანეთს
ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,
საკუთარს ანბანს შეუდგენს
სამეგრელოს და სვანეთსა.

კაცი ის არის, სიცოცხლე
ვინაც ატარა ტკბილადა, -
სიკვდილის შემდეგ იწოდა
დიდყურიანის შვილადა.

ერთიანი ქართველი ერი
თუ
ქართველები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები, აჭარლები, ლაზები... ვინ არის ენობრივი და ეთნიკური უმცირესობა?

მრავალი ისტორიული წყაროს მიხედვით, სულ ცოტა 15-20 საუკუნეა ეთნონიმ **ქართველით** მოიხსენიება: **ეგრის-მარგვეთის** (აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლაზეთი, იმერეთი), **მესხეთის** (ზემო აჭარა, ბორჩხა-მურღული, შავშეთ-იმერხევი, იმიერ და ამიერ ტაო, ერუშეთი, კოლა, სამცხე-ჯავახეთი), **ისტორიული ჰერეთის** (საინგილოს), **ფხოვის** (ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი), **თუშეთის, სვანეთის, თაკვერის** (რაჭა-ლეჩხუმი), **კახეთისა** და **ქართლის** (ცენ-ტრალური ქართლი: მცხეთის, გორის, ხაშურის, ბორჯომის რაიონები; შიდა ქართლი: ახალგორის, ზნაურის, ცხინვალისა და ჯავის რაიონები; ქვემო ქართლი: რუსთავის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის რაიონები) ავტოქთონი მოსახლეობა[6].

ქართველთა ეროვნული მეობის დიდი ისტორიის მიუხედა-ვად, არაიშვიათად, სამეცნიერო ლიტერატურასა თუ თანამე-დროვე საინფორმაციო ქსელში არაქართველებად არიან წარ-მოდგენილი: სვანები, მეგრელები, აჭარლები, მესხები; მაგ.:

1. 2000 წელს პარიზში გამოცემულ ატლასში "საფრანგეთი და სამყარო" (La France et le Monde, Atlas) სხვადასხვა ფერით და

[6] სამეცნიერო ლიტერატურისა და მსჯელობისათვის იხ., ტ.ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005

ეთნიკური სახელით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, აჭარლები, სვანები და ოსები.

2. "ევროპის ენების ცენტრის" გრიფით 2002 წელს ესპანეთში გამოქვეყნებულ წიგნში "Europe of the Peoples" სხვადასხვა დროშით და ეთნიკური დასახელებით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, სვანები და ოსები.

3. მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით (2008 წლის მდგომარეობით), **საქართველოში** ცხოვრობენ შემდეგი ეთნოსები/ხალხები:

აზერბაიჯანელები - 308 000,
ასირიელები (აისორები) - 3 000,
აფხაზები - 101 000,
ბაცბები - 3 420,
ბერძნები - 38 000,
ლაზები - 2 000,
მეგრელები - 500 000,
ოსები - 100 000,
რუსები - 372 000,
სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) - **15 000,**
სომხები - 448 000[7]**,**
ურუმები (მუსულმანი ბერძნები) - 97 746,
ქართველები (იმერლები, რაჭა-ლეჩხუმლები, გურულები, აჭარლები, იმერხევლებ-ქართლელები (Imerxev Kartlian), კახელები, ინგილოები, თუშები, მოხევეები, ხევსურები, ფშავლები, მთიულები, ფერეიდნელები, მესხებ-ჯავახები) **- 3 901 380,**
ქართველი ებრაელები - 20 000,
ქურთები - 40 000 და სხვ. (Ethnologue report for Georgia http://www.ethnologue.com).

[7] შდრ.; 2002 წლის აღწერით, საქართველოში სულ 248 929 სომეხია; ამათგან 171 139 გრიგორიანელია.

4. ქართველთა ერთი ნაწილი (მეგრელები, ლაზები, სვანები) არაქართველებადაა გამოცხადებული მსოფლიოს ვირტუალური ისტორიის თანამედროვე გვერდზე; კერძოდ, აზიის განყოფილებაში არსებულ საქართველოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია საქართველოში მცხოვრებ **"ეთნიკურ უმცირესობათა"** განსახლების შემდეგი რუკა:

რუკას დართული განმარტებების მიხედვით, საქართველოში უმცირესობების ენებად მიიჩნევა: 1. ჩეჩნური; 2. წოვა-თუშური; 3. ხუნძახური; 4. უდური; 5. აზერბაიჯანული; 6. სომხური; 7. ლაზური ანუ ჭანური; 8. მეგრული; 9. აფხაზური; 10. სვანური; 11. ოსური. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ კვალიფიკაციების ჩამოსაყალიბებლად ავტორმა (P.J. Hillery) ცხრა წელი იშრომა (1996-2004)[8]; ასევე წლობით აქვს საქართველოში ნაღვაწი

[8] შდრ.: თითქმის ანალოგიურია XX საუკუნის 30-იანი წლების საბჭოური მიდგომაც (იხ., მაგ., ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, თბ., 1951, გვ. 18).

საქართველოს ვებგვერდის ავტორს, ბ-ნ adrian Brisku-ს (იხ. http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html).

5. ჰოკაიდოს უნივერსიტეტის სლავისტიკური გამოკვლევების ცენტრის პროფესორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის კიმიტაკა მაცუზატოს შესავალი წერილით 2007 წელს გამოქვეყნდა კრებული: «Историографический диалог вокруг непризнанных государств: Приднестровье, Нагорный Карабах, Армения, Южная Осетия и Грузия». ჰოკაიდოს უნივერსიტეტის სლავური კვლევების ცენტრი (საპპორო, იაპონია); მასში ვკითხულობთ (გვ. 7):

"Если западные страны старались преодолеть межнациональные различия в плане образования и иных социальных возможностей с помощью нетерриториальных мероприятий, нацеленных на индивидов, в СССР присваивали статус этнотериториальным образованиям. Республики с союзным статусом (например, Грузия) имели наилучшие условия для развития, территориальные образования с автономных статусом (например абхазы) – менее благополучные, а **этнические группы** без территориального образования **(например мегрелы)** преодолевали огромные трудности с целью сохранить свой язык и идентичность"[9]...

6. ქართველთა ნაწილის არაქართველებად წარმოდგენა ბოლო პერიოდის საქართველოშიც ხდება; მეტიც, ძველი წყაროების გაყალბებით (ან არასწორი ინტერპრეტაციებით) ცდილობენ, დააძველონ ამგვარი კვალიფიკაციები; სანიმუშოდ განვიხილავთ ერთ ფაქტს:

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან არსებული რუსთაველის (ქართველოლოგიის) ფონდის

[9] მასალა კრიტიკული ანალიზით წარმოადგინა პროფ. ვაჟა კიკნაძემ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 2007 წლის 3 დეკემბრის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე.

სამეცნიერო საბჭოს წევრს, ქ-ნ ნ. დობორჯგინიძეს "ჰგონია", რომ იპოლიტე რომაელი **ქართველებს, მეგრელებს, სვანებს** ცალკე ხალხებად, შესაბამისად კი **ქართულს, მეგრულს და სვანურს** ცალკე ენებად აღიარებს[10].

შდრ., იპოლიტე რომაელის ხედვით, სხვადასხვა ხალხებია: იბერები, კოლხები და სანები (ანუ ჭანები - ტ.ფ.).

ნ. დობორჯგინიძე შეცდომით ერთმანეთთან ათანაბრებს ტერმინებს: **კოლხი** და **მეგრელი**, **იბერიელი** და **ქართლელი**; **სტრაბონი:** "დასავლეთის იბერების ანალოგიით, სვანებს ზოგი **აღმოსავლეთის იბერებს უწოდებს,** რამდენადაც ოქროს საბადოები არის ორივე იბერიაში..."[11]

საიდან მოიტანა ნ. დობორჯგინიძემ, რომ სანები, სვანები, სანიგები ერთი და იმავე ტომის აღმნიშვნელი სახელებია (იხ. იქვე, გვ. 262)?[12]

შდრ.: **მემნონი, სტრაბონი, ევსტათი ეპისკოპოსი:** "ისინი, ვინც წინათ მაკრონები იყვნენ, ახლა სანები არიან";

არიანე: ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე ცხოვრობენ: "**სანები, სანიგები,** მაკრონები, აფსილები, აბასკები..."

პროკოფი კესარიელი: "ლაზები თავიანთ ქალაქს **ქუთათისს** უწოდებენ" (ლოგიკურია, რომ. დედნისეული ტერმინი "ლაზები" "ქართველებად" ითარგმნოს).

[10] ნ. დობორჯგინიძე, 2007.

[11] ბერძნულ-ბიზანტიური წინააღმდეგობრივი ცნობების ანალიზისათვის იხ. ა.ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964; ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005, გვ. 124-134, 144-184.

[12] იპოლიტე რომაელის Σαύνοι არის **სანი** (Σαννοι) და არა **სვანი**! შდრ.: **სვანი - Σοάνες.** სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთთან სამართლიანადაა გაიგივებული **სანები** და **ჭანები** (ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. ტ.ფუტკარაძე, 2005, გვ. 123-126). არაიშვიათად, ქართველთა ერთი რომელიმე საზოგადოების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული სახელი სხვადასხვა ეთნონიმად/თემონიმად მიიჩნევა და პირიქით; ამგვარი აღრევები ბევრ გაუგებრობას იწვევს (ტ.ფუტკარაძე, 2005, გვ. 186-200).

შდრ., აგრეთვე: XV ს. იტალიელი მოგზაურის კატერინო ძენოს ცნობით, "ქართველები ისინი არიან, ვინც უძველესი დროიდან იბერებად იწოდებიან და იქიდანვე ქრისტიანები არიან, ისევე როგორც ამჟამად, გამუდუმებით ებრძვიან თურქებს ტრაპიზონის საზღვარზე"[13].

გაუგებარია, ნ.დობორჯგინიძე რატომ ენდობა წინააღმდეგობრივ უცხოურ ცნობებს[14] და არ ეთანხმება კავკასიის (თუ საქართველოს) უკეთ მცოდნეთ - "ქართლის ცხოვრების" შემქმნელ მრავალი თაობის მემატიანეთ - რომლებიც საუკუნეების მანძილზე აცხადებენ:

მეგრელები და სვანები სხვა კუთხეების ქართველებთან ერთად ქმნიან ქართველ ერს; ქართველებს ერთადერთი დედაენა აქვთ - ქართული ენა (ვრცლად იხ. ქვემოთ).

წინასწარვე შევნიშნავთ: თანამედროვე სამეცნიერო კვლევებიც ადასტურებს ძველი ქართული წყაროების ხედვას:

საქართველოს ყველა ისტორიული კუთხის მოსახლეობა (აჭარლები, მეგრელები, გურულები, სვანები, იმერლები, რაჭველები, ლეჩხუმლები...), მათ შორის უცხო სახელმწიფოს ველში მოხვედრილთა დიდი ნაწილიც, ტრადიციულად, თავს ქართველად აღიქვამს; თუმცა, ბუნებრივია, სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში მყოფი საზოგადოების თვითაღქმა გარკვეულ კორექტირებას განიცდის **აკადემიური განათლების** არარსებობის (დეფიციტის) პირობებში.

განათლებისა და ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმის მიმართება **ლაზების** მაგალითზე განვიხილოთ:

მრავალწახნაგოვანი ისტორიული კატაკლიზმების გამო, ლაზებს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში

[13] თარგმანი მოგვყავს დ.ბერძენიშვილის ბროშურიდან (დ.ბერძენიშვილი, 2008, გვ. 14).

[14] უცნაურია ის ფაქტიც, რომ თავის წიგნში: "სვანური ენა" (თბ., 2007) პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე ჭეშმარიტებად აცხადებს ნ. დობორჯგინიძის აშკარა შეცდომებს.

უხდებათ ცხოვრება. შესაბამისად, განსხვავებულია საკუთარი წარსულის ცოდნის ხარისხიც, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ეროვნულ-ენობრივ თვითაღქმაზე; კერძოდ:

ლაზთა ერთი ნაწილი (ძირითადად, სარფისა და გონიოახალსოფლის მკვიდრნი) არ მოწყვეტილა ქართველურ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველს; შესაბამისად, ამ მოსახლეობამ იცის, რომ მეგრელთა, კახელთა, მესხთა, ფხოველთა... მსგავსად, ისინიც არიან ერთიანი ქართველური კულტურისა და საერთოქართველურ ენობრივ სტრუქტურაზე დაფუძნებული მწიგნობრობის ავტორები; მათთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს გამაერთიანებელი მეფეების დიდი ნაწილის გარდა, ლაზეთ-სამეგრელოს შვილნი იყვნენ ქართველური კულტურის შემქმნელები: იოვანე ლაზი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოისძე, იოანე პეტრიწი, იოვანე მარუშისძე, ჭყონდიდლები... დადიანები, ჩიქოვანები, გამსახურდიები და მრავალი სხვა.

ლაზთა მეორე ნაწილი აღიზარდა თურქეთის სახელმწიფოში. მათ დავიწყებული აქვთ თავიანთი კილო და, თურქული განათლების სისტემის შესაბამისად, თავს თურქებად მიიჩნევენ.

თურქეთსა და ევროპაში მოღვაწე **ლაზთა მესამე ნაწილისათვის** უცნობია (ბუნებრივია, არა ყველასათვის!) საერთოქართველური კულტურის ქმნადობის პროცესში ლაზ-მეგრელთა მონაწილეობა, მაგრამ მათ იციან, რომ ლაზები ენობრივ-ეთნიკურად არსებითად განსხვავდებიან თურქებისაგან. ლაზთა ეს ჯგუფი საკუთარი მეტყველების ბაზაზე ცდილობს ახლა შექმნას სამწიგნობრო ენა და "გადაარჩინოს" თავისთავადობა.

საქართველოს ამჟამინდელი საზღვრების გარეთ მცხოვრებ ქართველებს ხშირად არა აქვთ ინფორმაცია საკუთარი ისტორიის/კულტურის შესახებ. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ძნელი არაა სამეცნიერო ცოდნის განსაზოგადოებრიობა; ჩვენს შემთხვევაში **საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში** უნდა შეიქმნას

ობიექტური სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის ველი, რომელიც ყველა ლაზს საშუალებას მისცემს იცოდეს:

1. კოლხური (კოლხურ-ყობანური) არქეოლოგიური კულტურის საზღვრები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო: კოლხა/კილხა/კოლხიდა ოცამდე ქართველურ ტომს/თემს აერთიანებდა და თავისი არსით ქართველური (ზოგადქართული) ხასიათისაა.

2. ქართველური სამწიგნობრო ენა ეფუძნება საერთო ქართველურ ენობრივ მოდელს და არა ქართლურს, კახურს ან სხვა რომელიმე ქართველურ კილოს; პირველი ქართული ასომთავრული წარწერები შემორჩენილია იოვანე ლაზის მონასტერში, ქართული ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელია ლაზი/მეგრელი იოანე მინჩხი და სხვ.

3. საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს იდეოლოგები და წინამძღოლები მეტწილად იყვნენ ლაზურ-მეგრული წარმოშობის დიდგვაროვნები (ბაგრატიონები, ჭყონდიდლები და სხვა);

4. ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხეველთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა...) გამორჩეულად პატივსაცემი ადგილი უჭირავს ერთიანი საქართველოს დიდ მეფეს - თამარს (ქართველთა საერთო ისტორიის ამსახველი ეს მასალა ი.ყიფშიძის მიერ ერთი საუკუნის წინაა ჩაწერილი)[15].

ყოველ ერს თუ **ეთნიკურ-ენობრივ უმცირესობას** და, ბუნებრივია, თურქეთსა თუ გერმანიაში მცხოვრებ ლაზებსაც, აქვთ უფლება, იცოდნენ თავიანთი წარმომავლობა. ამ და სხვა ანალოგიური ფაქტების ცოდნა ობიექტურ ველს შექმნის ლაზთა ქართველური თვითაღქმისათვის[16].

---

[15] მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე: ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 51-52 .

[16] ეთნო-კულტურული წარსული დიდწილად განსაზღვრავს პიროვნებისა თუ საზოგადოების ეროვნულ მეობას (იდენტობას). ობიექტური თვითაღქმა მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძველია.

ეთნიკურ-ენობრივი უმცირესობების საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო ევროპაში, სადაც, საბჭოთა იმპერიისგან განსხვავებით, ლოგიკური კანონმდებლობაც შეიქმნა; კერძოდ: 1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა სტრასბურგში მიიღეს "**ევროპული ქარტია** რეგიონალური და უმცირესობათა **ენების შესახებ**", ხოლო 1995 წლის 1 თებერვალს აქვე ხელი მოეწერა "**ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა** დაცვის შესახებ". აღნიშნული დოკუმენტები ევროსაბჭოს წევრებისა და წევრობის მსურველთათვის წარმოადგენს **სახელმძღვანელო დებულებების** კრებულს ეროვნულ და ლინგვისტურ უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში; **კერძოდ, ქარტია და კონვენცია ითხოვს:**

სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობისგან განსხვავებული ავტოქთონი ეთნიკური თუ ენობრივ-კულტურული ჯგუფებისთვის **უმცირესობის სტატუსის** მინიჭებასა და სათანადო უფლებებით აღჭურვას (ავტოქთონობასა და განსხვავებულ ენაზე ხაზგასმაა ქარტიის განმარტებითი მოხსენების პირველივე პუნქტში).

კონვენციისა და ქარტიის მიხედვით, უმცირესობათა უფლებები შთამბეჭდავია:

ეთნიკურ-ენობრივი უმცირესობის ენაზე უნდა მოხდეს სახელმწიფო საქმისწარმოება (შესაბამის რეგიონში) და სწავლება ბაგა-ბაღში, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში. იხ., მაგ., ქარტიის მე-8 მუხლის I.ე. პუნქტი:

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა **"ხელმისაწვდომი გახადოს საუნივერსიტეტო** და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე".

კონვენციის მე-12 განმარტებაში ვკითხულობთ:

"კონვენცია არ იძლევა **ეროვნული უმცირესობის** ცნების განმარტებას იმ პრაქტიკული მოსაზრების გამო, რომ მოცემულ ეტაპზე შეუძლებელი იქნებოდა იმგვარი ფორმულირების შემო-

თავაზება, რომელსაც ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო დაუჭერდა მხარს“.

მსგავს აზრს გადმოსცემს ქარტიის XVII განმარტებაც:

“ქარტია არ განსაზღვრავს ენას არც სოციალურ-პოლიტიკური თუ ეთნიკური ნიშნით, როგორც ამა თუ იმ კონკრეტული სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფის კომუნიკაციის საშუალებას; ამგვარად, ქარტია არ იძლევა **ენობრივი უმცირესობის ცნების განსაზღვრებას“.**

ენის შესახებ ევროსაბჭოს ხედვა გამოთქმულია ქარტიის 32-ე განმარტებაში:

“ქარტია არ განსაზღვრავს, თუ **რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ცალკე ენად გამოხატვის ესა თუ ის კონკრეტული ფორმა**“; აქვე, მოცემულია რეგიონალური და უმცირესობის ენის ზოგადი დეფინიცია:

რეგიონალური ენა არის სახელმწიფოში მცხოვრები იმ ავტოქთონი **ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის** ენა, რომელიც უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში, ხოლო **უმცირესობის ენაა** ისეთი ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც რიცხობრივ უმცირესობაშია თავისსავე რეგიონში (იხ., ქარტიის I მუხლი და ქარტიის მე-18 განმარტება)[17].

ევროსაბჭოს დოკუმენტების მიხედვით, **უმცირესობის ენად არ მიიჩნევა სახელმწიფო ენის სახესხვაობა და მიგრანტთა ენა;** კერძოდ, ქარტიის პირველი მუხლის ა პუნქტის მეორე ნაწილში და ქარტიის 32-ე განმარტებაში ხაზგასმითაა ნათქვამი:

“რეგიონალური/უმცირესობათა ენები არ გულისხმობს (არ მოიცავს) სახელმწიფოს ოფიციალური ენის სახესხვაობებს, დიალექტებსა და **მიგრანტთა ენებს“.**

სხვა შემთხვევებისთვის, ქარტიისა და კონვენციის მიხედვით, **უმცირესობისა** და **დამოუკიდებელი ენის** ცნებების განსაზღვრის უფლება აქვს კონკრეტულ სახელმწიფოს:

[17] ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ, თბ., 2005

“**ქარტია პრეროგატივას ანიჭებს კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლებას,** დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით თავად განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ ენას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტატუსი“ (32-ე განმარტება; იხ. აგრეთვე, ქარტიის განმარტებების მე-18 ნაწილი).

ე.ი. ევროპული სახელმწიფოების ხელისუფლებები თვლიან (სამართლიანადაც - ტ.ფ.), რომ ეროვნულ თუ ენობრივ უმცირესობად მისაჩნევი საზოგადოება **უნდა იყოს აბორიგენი** - მოცემული ტერიტორიის თავდაპირველი, ძველისძველი ბინადარი **და მისი ენა უნდა იყოს განსხვავებული სახელმწიფო ენისგან**; მაგ., დაბადებიდან გერმანიის მოქალაქე რამდენიმე მილიონ თურქსაც კი გერმანელები არ მიიჩნევენ ეროვნულ უმცირესობად, ვინაიდან, მიუხედავად ამ დიასპორის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიისა, ისინი აქ მაინც **მიგრანტებად არიან ჩათვლილი** (შდრ.: ავტოქთონი - ამა თუ იმ ქვეყნის ძველისძველი მკვიდრი მოსახლეობა).

მიგრანტ და ავტოქთონ ჯგუფთა ენების განსხვავების აუცილებლობა მკაფიოდაა აღნიშნული ქარტიის სხვა მონაკვეთებში:

განმარტებითი მოხსენების 31-ე ნაწილი:

“ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ **ისტორიულ ენებს,** ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე“.

ამრიგად, ევროკავშირმა მიზნად დაისახა, დაიცვას და გადაარჩინოს ავტოქთონ ენობრივ-ეთნიკურ უმცირესობათა ენები/კულტურები.

ევროკავშირის ამ კარგი ინიციატივის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთო იუნესკო და სხვა მძლავრი ორგანიზაციები (მაგ., "Volkswagen-Stiftung"-ის საერთაშორისო ფონდი), რომლებმაც დიდი თანხები გამოყვეს “პოლიტიკური და სოციალური

მიზეზების გამო საფრთხის ქვეშ მყოფი“ უმცირესობების ენების/კულტურების გადასარჩენად.

2008 წლამდე ქარტიასა და კონვენციას შეუერთდა 44 ქვეყანა, რატიფიცირება კი მოახდინა ოცდაცხრამეტმა: ბელგიის, საბერძნეთის, ისლანდიისა და ლუქსემბურგის პარლამენტებს ჯერჯერობით არ დაუდასტურებიათ მთავრობების ხელმოწერილი დოკუმენტები.

ევროსაბჭოს ამ დოკუმენტებს 2000 წელს საქართველოს სახელით ხელი მოაწერა ე. შევარდნაძემ; “საქართველოს პარლამენტმა“ 2005 წლის 13 ოქტომბერს დაამოწმა კონვენცია; უახლოეს ხანში კი იგეგმება **“ენების ქარტიის“** დადასტურებაც; შესაბამისად, სასურველია, საქართველოში **სახელმწიფო დონეზე მოხდეს შეთანხმება (კონსენსუსი)** “ენების ქარტიაში“ წარმოდგენილი ცნებებისა და საქართველოს “უმცირესობათა ენების“ ჩამონათვალის შესახებ.

როგორც ზემოთაც ვნახეთ, გარკვეული ჯგუფების მიერ საქართველოს უმცირესობებად წარმოდგენილია, ერთი მხრივ, **მიგრანტები,** მეორე მხრივ კი - **ავტოქთონი ქართველები**[18].

დამოწმებული რუკებისა თუ კვალიფიკაციების ავტორთ იქნებ მხოლოდ კეთილშობილური მიზანი ამოძრავებთ: სურთ, **საქართველოში “აღრიცხონ“ და “დაიცვან“ “ეროვნული/ენობრივი უმცირესობების“ უფლებები; მაგრამ აქვთ კი მათ ობიექტური ინფორმაცია?**

მეტი სიცხადისათვის, წინა პლანზე წამოვწიოთ ორი მთავარი კითხვა:

— რა სამეცნიერო არგუმენტით ან **ევროსაბჭოს რომელი დოკუმენტის მიხედვით** უნდა მივიჩნიოთ ეთნიკურ/ენობრივ უმ-

[18] ქართული საზოგადოების თუ პოლიტიკური სპექტრის ერთ ნაწილშიც არაადეკვატურად იქნა გააზრებული ტერმინები “რეგიონალური ენა“ და “უმცირესობის ენა“.

ცირესობებად **აშკარა მიგრანტები** - ახალქალაქის, ცხინვალისა და რუსთავის მიმდებარე რაიონებში მცხოვრები: სომხები, ოსები, აზერბაიჯანელები? მით უმეტეს, ამ ხალხებს საქართველოს მეზობლად თავიანთი სახელმწიფოები აქვთ.

— **რა სამეცნიერო არგუმენტით** ან ევროსაბჭოს რომელი დოკუმენტის მიხედვით ჩაითვლება ენობრივ უმცირესობად ქართველთა რომელიმე ჯგუფი, ან რეგიონალურ თუ უმცირესობის ენად - ქართველთა კილო?

მიგრანტთა, დიასპორათა და ავტოქთონ ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ მსჯელობა სხვა დროისათვის გადავდოთ.

რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ “**ევროპული ქარტიის**“ მიღების შემდეგ, გასული საუკუნის 90-იან წლებში ევროპულ სტრუქტურებში აქტუალური გახდა ეთნიკურ უმცირესობათა და უმცირესობათა ენების უფლებების დაცვის საკითხი საქართველოშიც; შესაბამისად, გაჩნდა ინტერესი, შექმნილიყო ზემოთ წარმოდგენილი რუკები თუ კვალიფიკაციები; ჩანს, მათ საფუძვლად აიღეს საბჭოთა პერიოდის კვალიფიკაციები.

სამწუხაროდ, **პოლიტიკური და სამეცნიერო სპექტრის ერთმა ნაწილმაც** საბჭოთა ტრადიციის შესაბამისად და საქართველოს სინამდვილისთვის **არაადეკვატურად გაიაზრა** “ენების ქარტიის“ ტერმინები: **ეთნიკური უმცირესობა**, **რეგიონალური ენა, ენობრივი უმცირესობა**, **უმცირესობის ენა; შესაბამისად,** საქართველოს ენებისა და უმცირესობების შესახებ მათ მიერაც არაადეკვატური კვალიფიკაციები ქვეყნდება. **უფრო არსებითი კი ის არის,** რომ ეს ჯგუფი აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლებისა თუ საუნივერსიტეტო განათლების სადაოებთან (2000-2008 წლებში); მაგ., საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროში, თბილისის წამყვან სახელმწიფო უნივერსიტეტების **სათანადო ინსტანციებში** “ამინდს“ დღესაც ესენი ქმნიან და

არათუ ცდილობენ, ობიექტური ინფორმაციები შეიტანონ ახალ სახელმძღვანელოებსა თუ საერთაშორისო სამეცნიერო-საცნობარო ველში, არამედ, პირიქით, თავად გვევლინებიან **საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის,** რბილად რომ ვთქვათ, დაუსაბუთებელი მოსაზრების დამცველებად[19].

არსებული ტერმინოლოგიური წინააღმდეგობების მოსახსნელად თუ ქართველური ენობრივი სამყაროს ადეკვატურად გასააზრებლად, პირველ რიგში, მოწოდებული უნდა იყოს ენათმეცნიერების ინსტიტუტი; თუმცა, ამ ინსტიტუტის მიერ ახლახან გამოცემულ **"ქართული ენის ენციკლოპედიაში"** წარმოდგენილი საბჭოური კვალიფიკაციების სიჭარბე ცხადყოფს, რომ ამ ინსტიტუტის ამჟამინდელი დირექცია და სამეცნიერო საბჭო შორსაა ისტორიული თუ თანამედროვე რეალობის გააზრებისგან. აქვე აღვნიშნავთ:

ინსტიტუტის ზოგი წარმომადგენელი ცდილობს, გააყალბოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პოზიციაც კი; ერთ მაგალითს მოვიყვან:

ქართველი ერის დედაეკლესიის ენის ისტორიის გათვალისწინებით, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ნათლად ამბობს:

"მე მეცნიერებს შევთავაზე, იქნებ ვთქვათ ასე - **ქართული ენა თავისი განშტოებებით.** მსგავსად იმისა, როგორც შტო ამოუვა ხეს, - **ასეა ეს დიალექტებიც**... მათი საერთო ძირი და ფუძე არის ქართული ენა... ღმერთი აერთიანებს, ხოლო ეშმაკი ჰყოფს. ამიტომ ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ და სხვებსაც დავუმტკიცოთ, რომ **ქართული ენა არის ერთი, მეგრული და**

[19] მაგ., ნ. ლადარია **მეგრელთა დედაენად** მიიჩნევს მეგრულს; მისი აზრით, ქართველთა ეთნიკური ჯგუფებია: მეგრელები, სვანები, ბაცბები... (ნ. ლადარია, 2002, გვ. 22-23, 111-113; შდრ., აქვე, 43-ე გვერდზეა სხვა "გაუგებარი" კვალიფიკაციაც: "დიალექტი არის ენის ეთნიკური სახესხვაობა"; იხ., აგრეთვე: კ. გაბუნია, 2004 (სადაც ტერმინების: **ეთნიკური ჯგუფი, ენა** არასწორი გამოყენებით საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაცია არაადეკვატურადაა წარმოდგენილი).

სვანური დიალექტები კი მისგან გამომდინარე განშტოებებია... ("საპატრიარქოს უწყებანი, № 16 (416), 17-23 მაისი, 2007 წ.

შდრ., დამახინჯებული დამოწმება:

"უთუოდ დროულია, ვუსმინოთ ნებას, გამოხატულს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ბაგეთაგან - **ქართველთა ენები** ერთიანი ქართულის განშტოებებია!"[20]

ვფიქრობ, მკითხველისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს, სამეცნიერო ლიტერატურა თუ უახლესი საერთაშორისო საინფორმაციო ქსელი რატომაა "გაჯერებული" **საქართველოს "უმცირესობათა" შესახებ არაადეკვატური კვალიფიკაციებით** (სხვა მიზეზები იხ., აგრეთვე, ქვემოთ).

[20] პროფ. ა. არაბულის ეს მოდიფიკაცია იხ.: "ქართველური ენები და დიალექტები", 2007, გვ. 40.

ისტორიული ექსკურსი: დედაენა და დიალექტები თუ ქართველური ენები?

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველთა სამეტყველო ერთეულების კლასიფიკაციის შესახებ **ორი ძირითადი მოსაზრება** არსებობს:

I. ქართველებს გვაქვს **ერთი დედაენა -** ქართული (რომელიც არის ქართველთა საეკლესიო, სახელმწიფო, სამწიგნობრო ენა) და ოცზე მეტი დიალექტი;

II. ქართველებს გვაქვს **3-4 დედაენა თუ 6-7 ენა**[21]: ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური...

ნათელია, რომ ზემოთ წარმოდგენილი საქართველოს ე.წ. უმცირესობათა ენების რუკებისა და არამართებული ეთნოლოგიური კვალიფიკაციების ავტორებს უდავო ჭეშმარიტებად მიჩნეული აქვთ მეორე მოსაზრება.

ბუნებრივად ისმის კითხვა: ისტორიულად რა საფუძველი აქვს და მეცნიერულად რამდენადაა დასაბუთებული მოსაზრებები, რომ ქართველებს გვაქვს ერთი, სამი/ოთხი თუ შვიდი ენა?

პრობლემა ვრცლადაა გაანალიზებული სამეცნიერო ლიტერატურაში[22]. სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ამჟამად

[21] მაგ., გ. გოგოლაშვილი თვლის, რომ ლაზურის, მეგრულის და სვანურის გარდა, ქართველებს გვაქვს კიდევ 5 ქართული ენა: ძველი ქართული ენა, ახალი ქართული ენა, საშუალი ქართული ენა, ძველი ქართული სალიტერატურო ენა, ახალი ქართული სალიტერატურო ენა (გ. გოგოლაშვილი, 2004, გვ. 32-37); შდრ., მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული ი. კორიაკოვს, რომელიც ფიქრობს, რომ არსებობს ექვსი ქართველური ენა: მეგრული, ლაზური, ძველი ქართული, საშუალო ქართული, საეკლესიო ქართული, სვანური (ი. კორიაკოვი, 2006, გვ. 39-42; შდრ., ი. კორიაკოვი 1 დარგუული ენის ნაცვლად 18 ენას გამოყოფს: დარგუულ კილოებს ენებად აცხადებს). ქართველთა 6-7 ენის არსებობის მტკიცება არასერიოზულია და მას აქ არ განვიხილავთ.

[22] ისტორიისათვის იხ., თ. გვანცელაძე, 2006.

არსებობს ორი ძირითადი მოსაზრება, რომელიც, ჩემი აზრით, ცხადყოფს, რომ არსებობს ორი ქართველოლოგიური სკოლა; კერძოდ:

პირველი: ტრადიციული ქართული სკოლა, რომელიც სათავეს იღებს "ქართლის ცხოვრების" შემქნელ მემატიანეთა მიერ მოწოდებული ფაქტების ანალიზიდან; მისი ძირითადი სამეცნიერო დებულებები ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, მაგრამ თითქმის მივიწყებულ იქნა საბჭოთა იმპერიის დროს; ამ სკოლის მიხედვით, ქართველებს ერთი დედაენა გვაქვს და ქართული კულტურა ყველა ქართველური თემისგან შეიქმნა.

მეორე: სანკტ-პეტერბურგში - რუსეთის იმპერიის დედაქალაქში - XIX საუკუნის დასასრულს საფუძველდებული და პოლიტიზებული ქართველოლოგიური სკოლა, რომელიც წარმატებით ფუქციონირებდა საბჭოთა პერიოდში. ამ სკოლის მთავარი დებულებებია 3-4 ქართველური ენის არსებობა და ე.წ. ქართიზაცია-ქართველიზაცია. საბჭოური კვალიფიკაციების ინერციით, პრობლემის საგანგებოდ შესწავლამდე (1994-2000 წლებამდე), მეც ვიმეორებდი ამგვარ კვალიფიკაციებს.

საკითხის ისტორიას აქ მოკლედ წარმოვადგენთ[23]:

"ქართლის ცხოვრების" შემქმნელ მემატიანეთა მრავალი თაობა არაერთხელ შეეხო კავკასიისა და მსოფლიოს ენების თემას; არც ერთ საუკუნეში არ შეცვლილა თავდაპირველი მიდგომა: **ძველი ქართული წყაროებიდანვე სახელდება ქართველთა მხოლოდ ერთი ენა:**

"იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და **იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა**: სომხური, **ქართული**, ხაზარული, ასურული, ებრაული, ბერძნული; მათგან ფარნავაზმა "განავრცო ენაჲ ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა" (ქ. ც., 1955, გვ.16, 26).

[23] ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005.

აქვე აღვნიშნავთ, რომ **უცხოური წყაროების მიხედვით,** საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე დასტურდება სულ მცირე ათამდე ქართველური ტომი[24], რომელთაც, ზოგი (არცთუ სანდო) წყაროს მიხედვით, **თავ-თავიანთი "ენები"** თუ დიალექტები აქვთ; "ქართლის ცხოვრებიდანაც" ჩანს, რომ საქართველოში ბევრი **ქართველური თემია**, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველი **მემატიანენი ქართველთა კუთხურ მეტყველებებს ცალკე ენად არ მიიჩნევენ** (მათ მიმართ არ იყენებენ **ქართულის** აღმნიშვნელ ტოლფარდ ცნებას) და **თვლიან, რომ ქართველებს ერთი ენა გვაქვს** (ბუნებრივია, მათ მიერ ნაგულისხმევია, რომ ქართველთა კუთხური მეტყველებები ქართულის ზეპირი სახესხვაობებია, კილოებია)**.**

არც ქართულ და არც უცხოურ საისტორიო წყაროებში არ გვაქვს **საგანგებო მსჯელობა,** თუ **ქართველური მოდგმა** რატომ მიიჩნევა **ერთი თუ მრავალი ენის** პატრონად. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ქართველი მემატიანეები უფრო ობიექტურ ინფორმაციებს ფლობდნენ, ვიდრე საქართველოს სინამდვილისგან შორს მყოფი უცხოელები[25].

[24] ძვ. წ. I ათასწლეულში ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე აქტიურად ჩანან: კოლხები/კოლაელები, მოსხები/მესხები, ტაოხები, ტიბარენები, სასპეირები, ხალიბები, ხალდები/ქალდები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი/ეკეექეჯრები, ჰენიოხები, სანები, სანიგები/სანიკები (ტერმინები: კოლხები და მესხები სხვადასხვა დროს კონკრეტულ თემებსაც მიემართებოდა და ტომთა გაერთიანებებსაც)...

[25] ასეთ შემთხვევაში რომელიმე უცხოური ცნობის უტყუარად მიჩნევა, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელია.

ყველას აქვს უფლება, თავისი აზრი ჰქონდეს, ან გაიზიაროს ესა თუ ის მოსაზრება, თუმცა, უმჯობესია მოსაზრება/აზრი რაიმე არგუმენტს ემყარებოდეს. შდრ., "**უცნაურია" საქართველოს თითქოსდა ახლოს მცნობი ზოგი უცხოელის ხედვაც;** მაგ., **ვ. ბოედერის ლოგიკით, ქართული მწიგნობრობის ისტორიაში კონსტანტინე გამსახურდიას წვლილი ისევეა განსახილველი,** როგორც პოლონელი კონრადისა ინგლისურ ლიტერატურაში; კერძოდ: ის წერს: "ჩემთვის გაუგებარია, რა კავშირი აქვს ქართულად მწერალი ლაზების, მეგრელებისა და სვანების ქართულ ლიტერატურაში

ადრეულ საუკუნეებში ენის სტატუსის განსაზღვრისა და ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა **"ივერიელთა ერთობის ტრაქტატი",** რომელსაც 1790 წელს ხელი მოაწერეს ქართლ-კახეთის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მეფე-მთავრებმა; ტრაქტატში მკაფიოდაა ნათქვამი:

"ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი**, აქვსთ მავასხელობითიცა** (ურთიერთვალდებულებითი - ტ.ფ.) **სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის.**

ამისათვის ჩვენ ზემოხსენებულად ქვეყანათა ივერიისა და მეფენი და მთავარნი დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა სახელით ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვითეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნების..."

XVIII-XIX საუკუნეებში, როცა ყალიბდება **ენათმეცნიერების დარგი** და მეცნიერთა მიერ ქვეყნდება სხვადასხვა ენათა ჩამონათვალი, ქართველური სამეტყველო ერთეულების შესახებაც წინააღმდეგობრივი (და დაუსაბუთებელი) მოსაზრებები ჩნდება: ზოგი თვლის, რომ ქართველებს ერთი ენა გვაქვს (იოჰან ანტონ გიულდენშტედტი...), ზოგის აზრით კი - სამი/ოთხი (გეორგ როზენი...).

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიამ საქართველოში იარაღის ძალით გააუქმა მეფის ხელისუფლება და

თანამონაწილეობას საკითხთან, ერთგვარი ქართულია თუ არა ლაზური ენა და ა.შ. იმ ფაქტიდან, რომ პოლონელმა ჯოზეფ კონრადმა დიდი წვლილი შეიტანა ინგლისურ ლიტერატურაში, არ გამომდინარეობს, რომ პოლონ-

ფიზიკურად გაანადგურა საქართველოს სამეფო გვარი (ბაგრატიონთა დინასტია); შემდეგ მოსპო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიაც და საქართველო თავის გუბერნიად აქცია.

იმპერიის მესვეურნი გრძნობდნენ/გრძნობენ, რომ ამიერკავკასიის საბოლოოდ შენარჩუნებისთვის საჭიროა ქართველი ერის წაშლა-დაქუცმაცება; შესაბამისად, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე რუსეთის იმპერიის მოხელეები, ერთი მხრივ, ქართველთა გენოციდით ცდილობენ საქართველოს ტერიტორიაზე დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლას, მეორე მხრივ კი ეთნოლინგვისტური "კვლევებით" ინტენსიურად ესწრაფვიან, არაქართველებად წარმოადგინონ ქართველთა ერთი ნაწილი: აჭარლები, ლაზები, მეგრელები, სვანები, მესხები, ჰერები და სხვ.

პარალელურად, იმპერიის მეცნიერების მიერ XIX საუკუნის დასასრულიდან დღემდე ქართველთა მცირე ნაწილი (ქართლელები) ასიმილატორად ცხადდება "არაქართველებად" მიჩნეულ ქართველთა დიდი ნაწილისათვის; კერძოდ, XIX საუკუნის დასასრულს პეტერბურგში ჩამოყალიბდა ე.წ. ქართიზაციის თეორია (ქ. პატკანიანი, ნ. მარი...), რომლის მიხედვითაც "ქართებმა" დაიპყრეს ამჟამინდელი ქართლის პროვინციის აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი მხარეები და თავიანთი ენა თუ კულტურა თავს მოახვიეს სხვა "ხალხებს": კახელებს, ჰერებს, მეგრელებს, ლაზებს, სვანებს, მესხებს, ფხოველებს, თუშებს, აფხაზებს... ქართლელებმა მოახდინეს რა ამ "ხალხების" გაქართველება, თითქოსდა შექმნეს საქართველოს იმპერია[26].

მსოფლიოს არც ერთი წყარო არ ადასტურებს ე. წ. "ქართის" ტომის არსებობას, მაშინ როცა ძველი ცნობების

ური ინგლისურის დიალექტია" (ვ.ბოედერი, 2005, გვ. 231); შდრ., ტ. ფუტკარაძე, 2003, გვ. 207-227.

[26] დღესაც ამ უსაფუძვლო თეორიას ბევრი მეცნიერი ბრმად იზიარებს (კრიტიკისათვის იხ. ქვემოთ).

მიხედვით, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე აქტიურად ჩანან: კოლხები/კოლაელები, მოსხები/მესხები, ტაოხები, ტიბარენები, სასპეირები, ხალიბები, ხალდები/ქალდები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი/ეკექეჯრები, ჰენიოხები, სანები, სანიგები/სანიკები, ლაზები, სვანები, თუშები... ამათგან, შემდგომი მსჯელობისთვის საინტერესოა ტერმინი **კოლხი**.

ძველ უცხოურ წყაროებში ქართველურ ტომთა აღმნიშვნელ სახელებს შორის ყველაზე პოპულარულია ტერმინები: **კოლხი, კოლხა, კილხა, კოლხიდა**.

აკ. ურუშაძის და სხვათა ვარაუდით, თავდაპირველად, ბერძნები **კოლხეთში** მთელ ქართველურ სამყაროს გულისხმობდნენ (აკ. ურუშაძე, 1964, გვ. 6).

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა დროს ქართველური ტომების ამ ტერიტორიის სახელად გვიდასტურდება: **აღმოსავლეთის იბერია** (შდრ.: პირინეის ნახევარკუნძული - დასავლეთის იბერია) და **კავკასიის იბერია**; კერძოდ, ტერმინები: **კავკასიის იბერია** და **აღმოსავლეთის იბერია** პირველად ჩნდება ძვ. წ. IV-II საუკუნეების ავტორებთან: მეგასთენესთან, თეოფრასტოსთან, დიონისე პერიეგეტთან... (ვ. ვაშაკიძე, 1993, გვ. 61).

პლუტარქეს ცნობით, კავკასიის მთავარი ერები **ალბანელები** და **იბერები** არიან; მისი აზრით, იბერები ბინადრობენ დასავლეთით მესხეთის (ევფრატ-ჭოროხ-მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ) მთებთან და **პონტოს ზღვასთან,** ალბანელები კი - აღმოსავლეთით, კასპიის ზღვასთან (ივ. ჯავახიშვილი, 1950, გვ. 18). შდრ., აგრეთვე: **სტრაბონთან** სვანები **იბერიულ ტომადაა მოხსენიებული**.

ვატიკანში დაცული "საეკლესიო ანალების" მიხედვით, **კოლხეთი ზემო იბერიაა:**

"იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს (98-117) დროს მქადაგებელი პაპი წმ. კლემენტის (პა-

პობის წლები - 88-97) შემწეობით მიიღო... რაც შეეხება **ქვემო იბერებს**, რომლებიც კავკასიის მთებთან, კასპიის ზღვის ახლოს ცხოვრობენ, თვლიან, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ კონ-სტანტინეს დროს მიიღეს“ (ი. ტაბაღუა, 1984, გვ. 171).

ვფიქრობ, ნათელია, რომ უცხოური წყაროებში დადასტურებული ტერმინები: **კოლხა** და **აღმოსავლეთის იბერია** ძველ წყაროებში მაინც სინონიმებია, რომელსაც ისტორიულ ქართულ წყაროებში ტერმინი **ქართლი** შეესატყვისება**.**

ასევე: **კოლხი,** არაიშვიათად, **“ყოველთა ქართველთა“** (ქართველურ თემთა: სვანთა, ეგრისელთა, ფხოველთა, მესხთა...) აღმნიშვნელი სახელია.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს კოლხურ-ყობანური არქეოლოგიური კულტურის საზღვრებიც (სინოპედან სოჭამდე; შავი ზღვიდან მცხეთამდე):

ი. გაგოშიძისა და ჯ. აფაქიძის გამოკვლევებმა სავსებით დაადასტურა ბ. კუფტინის მოსაზრება, რომ შიდა ქართლის არქეოლოგიური მასალა კოლხური კულტურის ორგანული ნაწილია: “ათასწლეულიდან მოყოლებული, ტახტიძირისა და ცხინვალის რეგიონის არქეოლოგიური მასალა მხოლოდ კოლხური კულტურის “ფილტრაციით“ ვერ აიხსნება; ქართლის იბერია უშუალო მონაწილეა დიდი კოლხური კულტურისა“ (ი. გაგოშიძე, 1964, გვ. 86; ი. გაგოშიძე, 1997; ი. გაგოშიძე, 2003; ჯ. აფაქიძე, 2002).

ვფიქრობ: **აია-კოლხეთი ქართველური თემების სახელმწიფოა, რომელსაც ქართული საისტორიო ტრადიცია წარმართულ ქართლად იხსენიებს[27].** ჩემი აზრით, ამ სახელმწიფოს ენა იყო **საერთოქართველური ენა.** მისი

[27] დღესაც ტერმინები: **კოლხი** და **ქართველი, კოლხური კულტურა** და **ქართველური კულტურა** სინონომებად უნდა გავიაზროთ (მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის ზოგ მონაკვეთში კოლხიცა და ქართველიც მხოლოდ ერთი კუთხის მოსახლეობის აღმნიშვნელად ვიწროვდებოდა).

პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობა გრძელდება აზონისა და ქუჯ-ფარნავაზის სახელმწიფოთი[28].

შდრ.: “ქართლის ცხოვრების“ ქართლი დასავლეთ საქართველოსაც მოიცავდა: ძველი ქართლის კულტურა და სახელმწიფოებრივი ტრადიცია დასავლურქართველური მოსახლეობის კუთვნილებაც იყო; გარდა ამისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, **ასომთავრული ანბანი შეიქმნა საერთოქართველური ენის ბაზაზე და არა ქართლური კილოს მიხედვით[29].**

ვფიქრობ, ლოგიკურია დავუშვათ, რომ როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე სამხრეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ისტორიული დედაენაა საერთოქართველურის მიხედვით შექმნილი ქართული სამწიგნობრო ენა:

ქართველებს ერთი დედაენა გვაქვს.

ეს ფაქტი საკამათო არ გამხდარა **XIX საუკუნის დასასრულამდე.**

ქართველურ ენა-კილოთა სტატუსის შესახებ აქტიური **დისკუსია დაიწყო** საქართველოში რუსეთის იმპერიის დამკვიდრების შემდეგ; კერძოდ, XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიის მოხელეები აცხადებენ, რომ ქართველები არ არიან: მეგრელები, სვანები, შესაბამისად, მათი მეტყველებები დამოუკიდებელი უმწერლობო ენებია. რუსი მოხელეები “ეხმარებოდნენ“ “უწიგნურ“ “ველურებს“ და ცალკეული დიალექტების მიხედვით ქმნიდნენ “სამწიგნობრო ენებს“ - “ახალ დედაენებს“; კერძოდ:

რუსეთის ხელისუფლების დავალებით რუსმა სამხედრო მოხელემ - **გენერალმა უსლარმა** რუსული ალფავიტით შექმნა აფხაზური და სვანური ანბანები. “ლუშნუ ანბანით“ ბალსქვემოურ კილოზე თარგმნეს წმინდა წერილი.

[28] ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 259-397
[29] იხ. ქვემოთ

იმპერიის დავალებით შეიქმნა ასევე ორი მეგრული ანბანი; ერთი შექმნა ალ. გრენმა, მეორე - თადა აშორდიამ [30].

რუსეთის მიზანი დიდი ხანია ცნობილია:

ქართველთა ენობრივ-კულტურული და ეთნიკური დანაწევრება, საქართველოს დაპყრობა და ამიერკავკასიის სამუდამოდ მოქცევა თავის გეოპოლიტიკურ ველში. ამ მიზნის მიღწევას ისტორიის ყველა ეტაპზე ქართველი ერის ენობრივი დანაწევრების გზით ცდილობს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც ქართველი საზოგადო მოღვაწენი, ზოგადად ქართველობა (განსაკუთრებით სამეგრელოს მოსახლეობა) წინ აღუდგა იმპერიას. ცნობილ ავტორთა შეფასებათაგან რამდენიმეს დავიმოწმებთ:

იაკობ გოგებაშვილი ("მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის", 1903)**:** "მეგრელთა ტომი ქართულ ენას ყოველთვის თვლიდა თავის ძირითად **მშობლიურ ენად**, ხოლო თავის ადგილობრივ დიალექტს უცქეროდა როგორც **მშობლიურ კილოს**..." [31]

ამბროსი ხელაია: (1906, გვ. 122-123; 131-132); "ცდილობდნენ სამეგრელოს სკოლებიდან და ეკლესიებიდან გაედევნათ ქართული ენა; ამ ფაქტმა "ეროვნულობის შენარჩუნების ძალუმი სწრაფვა გამოაღვიძა**: მეგრელები განიმსჭვალენ თავიანთი სალიტერატურო და საეკლესიო ენის დაცვის იდეით**..." რუსიფიკატორთა საპასუხოდ სამეგრელოსა და აფხაზეთის სასოფლო საზოგადოებებისგან გაიგზავნა განჩინებანი საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ. ეპარქიის მასწავლებელთა საბჭომ განიხილა აღნიშნული განჩინებანი, ჩათვალა ისინი პატივისცემის ღირსად და დაადგინა: **"იმ სამრევლო სკოლებში, სადაც მოსახლეობა ლაპარაკობს** ქართული ენის მეგრულ დიალექტზე, **ქართული ენის სწავლება აუცილებელია"**...

ხაზგამით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველურ ენა-კილოთა შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის საბჭოთა პერიოდამდელ **სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ განსხვავებულ ინტერპრეტაციათაგან** მეგრულის, ლაზურის თუ სვანურისთვის **ენის სტატუსს ირჩევდნენ** რუსეთის ხელისუფლების (და რუსული ეკლესიის) წარმომადგენლები, ხოლო

---

[30] **პეტრე ქავთარაძე** იხსენებს (www.geocities.com/komblege/petre.htm): "კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ პეტერბურგიდან სპეციალურად მოიწვია ენათმეცნიერი ალ. გრენი. გრენმა "ენერგიულად" მოჰკიდა **ქართული ენის საზიანო საქმეს** ხელი და ერთი თვის განმავლობაში შეადგინა "მეგრული ანბანი". მაგრამ ალ. გრენს მეტოქე გაუჩნდა ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის — თადა აშორდიას სახით, რომელმაც, თავის მხრივ, შეადგინა "დიდა ნინა" (მეგრული ანბანი). გრენის ანბანი რუსული ასოებისაგან შედგებოდა, მაგრამ ცხრამეტ ასოს ხაზზევითა და ხაზქვევითა ნიშნები ჰქონდა. აშორდიას ანბანიც რუსული ასოებისაგან შედგებოდა, მაგრამ რამდენიმე ქართული ასო ერია, გარდა ამისა, მხოლოდ ორ ასოს ჰქონდა ხაზქვევითა ნიშანი... ორი ანბანის ერთდროულად დაბადებამ მათს ავტორებს შორის მტრობა ჩამოაგდო. მტრობა პირად საფუძველზე იყო აგებული; ორივე ცდილობდა თავისი ანბანი გავრცელებულიყო და უარეყო მეორე. განათლების მოხელეები ცდილობდნენ აშორდია და გრენი შეერიგებინათ და ორივეს საერთო ანბანი შეექმნა... საბოლოოდ საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ქართული ენა იდევნებოდა და მის ადგილს თანდათანობით რუსული ენა იკავებდა. სწორედ ეს იყო განათლების მოხელეთა წინასწარ ჩაფიქრებული მიზანი... ქართული ენის სრული განდევნა სამეგრელოს სკოლებიდან მაინც ვერ ხერხდებოდა საღვთო სჯულის სწავლების გამო... კომისიამ (**ნიკო დადიანის თავმჯდომარეობით**) ლოცვის ქართულ ენაზე წარმართვა მოითხოვა. ამის შესახებ იხ. გაზ. "ივერია", 1889, № 89. საღვთო სჯულის სწავლების ენად კვლავ ქართული ენა დარჩა".

[31] დღეს პარადოქსული სიტუაცია გვაქვს: იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების სახელით საზოგადო ასპარეზზე ჩანს პირი (პროფ. გ.გოგოლაშვილი), რომელიც **იაკობ გოგებაშვილს უყალბებს** ამ არსებით დებულებას; მეტიც, იაკობს მიაწერს **კოლხეთის** ქართიზაციის იდეასაც (იხ., "ქართველური ენები და დიალექტები", თბ., 2007, გვ. 111-113),

ქართველი საზოგადო მოღვაწენი მათ აღსანიშნავად კილოს იყენებდნენ (შდრ., აგრეთვე მაშინდელი ტერმინები: **სამშობლო ენა** და **სათემო ენა**; მათთვის **სათემო ენა** იყო მეგრულიც, იმერულიც, მესხურიც, ხევსურულიც, სვანურიც...); ამის შესახებ **კარგად წერს თ. სახოკია:**

"ყველას მოგეხსენებათ, რომ **მეგრული ენის საკითხი** რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავროები გაუქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ნაწილები გაერთიანდა, **რუსის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება** და გადაწყდა **ხელოვნურად შეექმნა დაქუცმაცება ჩვენის ქვეყნისა**. 1870-იან წლებში იერიში მიტანილ იქნა სამეგრელოს სკოლებზე. აქ სამინისტრო სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნილ იყო, როგორც არადედაენა".[32]

კითხვაზე: რუსი მოხელეებისგან განსხვავებით, **რატომ მიაჩნდათ ქართველ მოღვაწეებს, რომ მეგრული, სვანური და ლაზური ქართული ენის კილოებია?** პასუხი ერთია: **ორი დედაენა არ არსებობს;** ყველა ქართველის ისტორიული დედაენაა ქართული ენა, ხოლო კუთხური მეტყველებები - კილოებია; შდრ.: **გრიგოლ ორბელიანი: "რა ენა წახდეს, ერი დაეცეს";**

ილია ჭავჭავაძე: "ენა ისტორიაა ერისა, პირველი ნიშანი ერის ვინაობისა - ენაა";

ვაჟა-ფშაველა: ერი დედაა ენისა"... აქ აღარ მოვიყვანთ ვ. ფ. ჰუმბოლდტის, ლ. ვაისბერგერის, გ. რამიშვილის და მრავალ სხვათა მოსაზრებებს ენისა და ერის ურთიერთგანსაზღვრის შესახებ[33].

[32] სრულად იხ., თ.გვანცელაძე, 2006, გვ. 124-130; აქ ნახავთ დოკუმენტურ მასალასაც, თუ 1992 წელს სახელმწიფო დამნაშავეები შ. აფრიდონიძის ხელშეწყობით როგორ ცდილობდნენ, პრორუსული პოლიტიკისთვის გამოეყენებინათ თ. სახოკიას ეს პატრიოტული, რუსული იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული წერილი.

[33] ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005, გვ. 25-27.

სამეცნიერო პოლემიკის ისტორიით დაინტერესებული თანამედროვე მკითხველისთვის საინტერესო იქნება ივ. ჯავახიშვილის ერთი ციტატაც:

ივანე ჯავახიშვილი (1992, გვ. 53-54): იმ დროს, როდესაც თავისი თეორიის ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, **ნ. მარრისთვის მეგრული, ჭანური და სვანური ქართული ენის "ძმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები", დიალექტები იყო მხოლოდ...** მკითხველი სამართლიანად გაოცებული იქნება, როდესაც მისსავე 1912 წ. საჯაროდ წარმოთქმულსა დაბეჭდილ სიტყვაში: "კავკასია და სულიერი კულტურის ძეგლები" **იმავე ავტორის ამგვარ მსჯელობას შეჰხვდება:** "ქართველთმცოდნენი, ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყნობილნი, უგულებელს ჰყოფდნენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგ. სვანურს, მეგრულს, ჭანურს და მათ ქართულის „დამახინჯებულ" თქმად ანუ დიალექტად სთვლიდნენ"-ო... ავტორს დავიწყებია, რომ ამგვარივე **"ნაციონალისტური" შეხედულება** მასაც ჰქონდა, 1905 და 1908 წლებში **მეგრული, ჭანური და სვანური მასაც ქართულის ცოცხალ კილოკავებად მიაჩნდა".**

მომდევნო პერიოდში ამ კამათს ახალი "ენერგია" მისცა **ი. სტალინმა;** კერძოდ, მისმა წიგნმა: "მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი"[34] სამეცნიერო ველიდან დიდი ხნით განდევნა **ტრადიციული** ერთი ქართველური ენის თეორია: ენათმეცნიერთათვის (არა მხოლოდ მათთვის) დიქტატორის მოსაზრებები ოფიციალურ ინსტრუქციად იქცა; მაგ., ი. სტალინის წიგნში (გვ. 18) ვკითხულობთ:

"კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ცოტათ თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს განვითარებული კულტურით, ლიტერატურით. უამპირობოდ ეს ავტონომია ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, უაზრობად იქცევა. მაგრამ

კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც **პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა** აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: **მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს** და სხვ., რომლებიც **სხვადასხვა ენაზე** ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?" (გვ. 138-139)... "ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ **დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩემია - ტ.ფ.)** უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ" (გვ. 142).

XX საუკუნის 30-იან წლებამდე სამეცნიერო წრეებში მაინც გაგრძელდა კამათი, მაგრამ მალევე ხანგრძლივად შეწყდა. 20-იანი წლების ენათმეცნიერული დისკუსიიდან მოვიტანთ ცნობილი ენათმეცნიერის - **სილოვან ხუნდაძის**[35] ერთ ფრაზას:

"**შანიძემ უნდა იცოდეს**, რომ ქართული ენის ფორმების შესწავლის დროს მათი შედარება მონათესავე **კილო-კავების** ფორმებთან ინტერესს აორკეცებს. გარდა ამისა, საჭიროა, რომ ჩვენმა მოზარდმა თაობამ იცოდეს, რომ მეგრული და სვანური ენები **შტოებია** ქართული ენისა და **არა განსხვავებული ენები**, როგორც ამას ამბობდნენ და დღესაც ამბობენ მტერნი და ორგულნი ჩვენი ქვეყნისა" ("სახალხო საქმე", 1919, №709, გვ.2).

რუსეთის **ენობრივი დივერსია** საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა. XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს ცკ-მ მიიღო დადგენილება: "**მეგრული ენის პრივილეგიების აღ-**

[34] ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, თბ., 1951.

[35] ს. ხუნდაძის ქართულ გრამატიკას, რომელიც 7-ჯერ იყო გამოცემული (V გამოცემა, 1917, ქუთაისი; VI გამოცემა, 1919, ქუთაისი; VII შევსებული გამოცემა, "მერანი", ქუთაისი, 1920), ბოლოს დართული აქვს "**ქართული ენის კილოკავების** (მეგრულისა და სვანურის) გრამატიკული ფორმები". ს. ხუნდაძე გარდაიცვალა 1928 წელს.

სადგენად სკოლაში, სასამართლოში საქმის წარმოებისას და გაზეთის გამოცემის საქმეში".

მოგვიანებით, ამგვარმა კვალიფიკაციამ ლ. ბერიას პროტესტიც კი გამოიწვია; კერძოდ, 1937 წლის 16 ივნისს ი.სტალინისადმი მიწერილ წერილში ის აკრიტიკებს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებს, რომელთა ოფიციალურ ინსტრუქციებში აჭარლები, მეგრელები, სვანები, ლაზები და წოვა-თუშები ქართველებად არ მიიჩნეოდნენ[36].

საბჭოთა იმპერიასაც **აღუდგა წინ სამეგრელოს მოსახლეობა**, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამ კუთხეში აღზრდილი ცნობილი მოღვაწეები; მაგ., კონსტანტინე გამსახურდიამ, ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ძველქართული ტრადიციის გათვალისწინებით, **დღეისთვისაც აქტუალური** თეორიული პოსტულატი ჩამოაყალიბა:

"ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც **მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები,** ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას..." (კ. გამსახურდია, 1922; იხ. ათტომეული, 1983, ტ.VII, გვ. 411); შდრ., აგრეთვე: "XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული (კ. გამსახურდია, 1929; ათტომეული, 1983, ტ.VII, გვ. 499)...[37]

[36] ლ. ბერიას წერილი გამოსაქვეყნებლად მოამზადა ვ. გურულმა ("ახალი დროება", 1999, № 1, გვ. 25-27.

[37] ამ ტრადიციულ მიდგომასთან სრულ შესაბამისობაშია ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის განცხადება, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში უნდა შევიტანოთ ნარჩევი **მეგრულ-ლაზურ-სვანური დიალექტური ლექსიკაც** (ჯერჯერობით ქართული ენის

საბედნიეროდ, XX საუკუნის 30-40-იან წლებში ქართველთათვის კილოების მიხედვით ახალი "სალიტერატურო ენების" შექმნის პროცესი შეჩერდა.

XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე, როცა რეალური გახდა საბჭოთა იმპერიის ნგრევა, განახლდა სვანურად და მეგრულად "ბიბლიის" თარგმნაც და ისევ გააქტიურდა მეგრული და ლაზური "დედაენებისა" და "ანბანების" შექმნის საკითხიც; კერძოდ, როგორც **ვ. ფოირშტაინის** საჯარო განცხადებიდან გაირკვა, პროფ. ო. გიგინეიშვილის დავალებით მან ლაზეთში გაავრცელა "ლაზური დედაენა", რომელიც **ოსმან ტამტრულის** ფსევდონიმით თბილისში შექმნეს მიხეილ ქურდიანმა და წათე ბაწაშმა. მ. ქურდიანმა კერძო საუბარში დაგვიდასტურა ეს ფაქტი, მაგრამ აღშფოთებით აღნიშნა, რომ მან და წ. ბაწაშმა "ლაზური დედაენის" **ანბანი** შეადგინეს ქართული შრიფტით, ხოლო ვ. ფოირშტაინმა მათ დაუკითხავად **ლათინურით შეცვალა[38] და ასეთი ვარიანტით გაავრცელა.**

აქვე აღვნიშნავთ ერთ **საინტერესო** გარემოებასაც:

უფრო ადრე **ოთარ გიგინეიშვილი** ჯემალ ნარაკიძის

განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში შედის მხოლოდ ქართველთა სხვა კილოების მონაცემები).

[38] ახლახან გამოქვეყნებულ "ქართული ენის ენციკლოპედიაში" (თბილისი, 2008, გვ. 31) მ.ქურდიანი თავად წერს, რომ მან და წ. ბაწაშმა "ლაზური დედაენა" ("ნანანენა") შექმნეს "ქართული და ლათინური დამწერლობების ანბანების საფუძველზე" (ვ.ფოირშტაინსა და ო. გიგინეიშვილს აღარ ახსენებს).

თავისი დიალექტის ბაზაზე ქართველთა ერთ ჯგუფს ახალ დედაენას ქართული ანბანით "შეუქმნი" თუ ლათინურით, ამით ბევრი არაფერი იცვლება; ლაზებმა, რომლებიც საქართველოში (სარფში, გონიოში) ცხოვრობენ, კარგად იციან, რომ მათი წინაპრები ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შექმნის თანამონაწილენი არიან; შესაბამისად, მათი ეროვნული იდენტობა ისეთივეა, როგორიც: აჭარლების, გურულების, იმერლების, მეგრელების... სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო ველში აღზრდილ ლაზთ "ახალი დედაენა" კი არა, ობიექტური ინფორმაცია ესაჭიროებათ საკუთარ წარსულზე, ვინაიდან **ეროვნულ მეობას** აყალიბებს წინაპრების კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიის ობიექტური ცოდნა.

ფსევდონიმითა და ცნობილი ფოლკლორისტის — **ზურაბ თანდილავას** რედაქტორობით აქვეყნებს წიგნს: "ლაზური პარამითეფე" (1982), რომლის წინასიტყვაობაში ხაზგასმით წერს: **"ლაზური ზღაპრები დაწერილია ქართული ენის ლაზურ-მეგრულ დიალექტზე."[39]**

XX საუკუნის 90-იან წლებში იქმნება "მეგრული დედაენაც" ("ნანაში ნინა")", რომლის ავტორია გიორგი სიჭინავა[40].

XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან საზღვარგარეთის სერიოზულ სამეცნიერო კონფერენციებზე საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის თითქოსდა კარგად მცოდნე და, ჯ. ჰიუიტისგან განსხვავებით, **კარგი რეპუტაციის მქონე** მეცნიერებისგანაც კი გახშირდა **ქართველთა ერთი ნაწილის** (მეგრელების, ლაზების, სვანების, მესხების...) **არაქართველებად გამოცხადება;** პირდაპირ თუ ირიბად, სუბიექტურობის ბრალდებით გრძელდება მეცნიერული **ქართველოლოგიის** კრიტიკაც[41].

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ცნობილი ისტორიული მოღვაწეების პოზიციების გაყალბებაც; მაგ.:

- 1997 წელს დარეჯან თვალთვაძემ გამოაქვეყნა პეტრე ჭარაიას მიერ 1910 წელს შექმნილი **მეგრული სალექსიკონო მა-**

---

[39] დაწვრილებით იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005, ნაწილი I, გვ. 74.

[40] გ. სიჭინავა დადანაშაულებული იყო გ. ელიავას "შეარაღებული ამბოხის" ორგანიზებაში.

[41] ბოლო პერიოდში (2000-2008) საქართველოში შეინიშნება "საინტერესო" ტენდენციაც: განათლებისა და მეცნიერების სფეროში დიდ თანამდებობზე ინიშნებიან ქართველთა ენობრივ-ეთნიკურად დანაწევრების მხარდამჭერი პირები; არაიშვიათად, ზოგი ცდილობს, კარგ მეცნიერებად წარმოადგინოს ის უცხოელები (მაგ., ჯ. ჰიუიტი და სხვ.), რომლებიც არამეცნიერულ, რიგ შემთხვევაში კი ანტიქართულად პოლიტიზებულ კვალიფიკაციებსა თუ ლინგვისტურ რუკებს ავრცელებენ მთელ მსოფლიოში.

სალა; გამომცემელმა დიდი შრომა გასწია, მაგრამ, რატომღაც, არ გაითვალისწინა გარდაცვლილი ავტორის პრინციპები და დიდი მოღვაწის ნაშრომს დაარქვა **მეგრულ-ქართული ლექსიკონი** (პ. ჭარაია თვლიდა, რომ მეგრული ქართულის დიალექტია!);

- 2007 წელს გამოიცა ბესარიონ ნიჟარაძის მიერ 1888 წელს შექმნილი ორენოვანი ქართულ-რუსული ლექსიკონი, სადაც ქართულ ფორმებს მიწერილი აქვს ბალსზემოური კილოს სალექსიკონო მასალაც. ბ. ნიჟარაძე სამართლიანად თვლიდა, რომ **სვანების დედაენა ქართულია**; კერძოდ, წერილში "რა ენაზე ადიდებენ და ადიდებდნენ სვანები ღმერთს (1904), **ბ. ნიჟარაძე წერდა:**

"სვანური ნამდვილად ქართულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილა, მაგრამ ზოგიერთები ვერ შეჰრიგებიან ამ აზრს და გაიძახიან, სვანები სულ სხვა ხალხიაო!.. ნეტავ ვიცოდე, ვისთვის ან რისთვისაა საჭირო ეს დაჟინება და **სვანების გასხვისტომება**"[42].

ბესარიონ ნიჟარაძის ნაშრომის გამომცემლებმაც არ გაითვალისწინეს გარდაცვილილი ავტორის პოზიცია და ლექსიკონს უწოდეს: **სამენოვანი ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი.**

სამწუხაროდ, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, რუსული (საბჭოური) ისტორიულ-ეთნოლოგიური უსაფუძვლო კვალიფიკაციები დღემდე ფართოდაა გავრცელებული ევროპის, ამერიკისა და აზიის სამეცნიერო (თუ საინფორმაციო) ველში. ბოლო დროს ინტენსიურად იქმნება და ვრცელდება საქართველოს ენობრივი სიტუაციისადმი მიძღვნილი არაადეკვატური რუკები; სამაგალითოდ გავაანალიზებთ ორ ლინგვისტურ რუკას.

[42] ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, ნ. ნაკანი, "სვანები სალიტერატურო ენისა და სვანური მეტყველების შესახებ (ქართველთა ეროვნულ-ენობრივი თვითმიკუთვნებულობის საკითხი)", სამეცნიერო-პოპულარული გაზეთი „ქართული", 2001, №7, გვ. 2.; იხ., აგრეთვე: რ. გუჯეჯიანი, მამა ბესარიონი (ნიჟარაძე), მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის გაზეთი, 4 ივნისი, 2007; იხ., აქვე: ტ. ფუტკარაძე, სვანური - არქაული ქართულის ნაირსახეობა.

პირველ რიგში წარმოვადგენთ ი. გიპერტის ნამუშევარს (http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm; ამავე პირის ხელმძღვანელობითაა მომზადებული პროექტი: **"ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში**"):

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ბ-ნი ი. გიპერტი ამ რუკაზე მუშაობდა 10 წლის მანძილზე (1993-2003 წლებში), მაგრამ შედეგი მაინც მეტად არაობიექტური და არამეცნიერული მივიღეთ, რადგანაც ავტორი ეყრდნობა გასული საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ ფაქტობრივად დღემდე გაბატონებულ **ე.წ. 4 ქართველური ენის თეორიას**; კერძოდ, ამ რუკის მიხედვით:

— სამეგრელოში, სვანეთში, აფხაზეთში, ლაზეთში, იმერხევსა და ცხინვალის მხარეში ქართული ენა არ არის **ავტოქთონი ქართველების დედაენა**;

— აფხაზეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე (გალშიც კი!) კომპაქტურად ცხოვრობს აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე ეთნოსი;

— ცენტრალურ და სამხრეთ ქართლში ხელოვნურადაა გაზრდილი ოსურენოვანი მოსახლეობის რაოდენობა და სხვ.

უფრო შორს მიდის ლინგვისტური რუკების ერთ-ერთი ცნობილი თანამედროვე ავტორი ი. კორიაკოვი; კერძოდ, მას ჰგონია, რომ ტერმინები: **სამეგრელო** და ისტორიული **კოლხა** (Colkhis) სინონიმური ცნებებია; შესაბამისად, მეგრული და კოლხური ერთი და იგივე ენა ჰგონია:



ი. კორიაკოვის რუკის მიხედვით გამოდის, რომ მეგრელები სხვა ქართველებისგან ენობრივად გამიჯნულნი არიან სულ მცირე 3200 წელია[43].

[43] ამ მიმართულებით უფრო შორს მიდის მ.ქურდიანი, მისი აზრით, ქართული და ზანურ-სვანური ერთმანეთს გაემიჯნენ, სულ მცირე, 6000 წლის წინ (2008, გვ. 9); შდრ., თანამედროვე ევროპული ენები ჩამოყალიბდნენ ბოლო 1000-2000 წელში (ძველი ბერძნული თვისობრივად სხვა ენაა, თანაც ამ უძველესი ანბანური დამწერლობის მქონე ენის ასაკიც ვერ გადაშორდება

ნათელია, რომ ი. კორიაკოვი და ი. გიპერტი კარგად არ იცნობენ საქართველოს ლინგვოკულტურულ ისტორიასა და აწმყოს. ცხადია ისიც, რომ ი. გიპერტმა ზედმეტი გულმოდგინებით "გაითვალისწინა" საქართველოში არსებული ორი (აფხაზური და ოსური) ავტონომიის საზღვრები[44].

გარდა ამისა, ჩანს, თავიანთი რუკების აგებისას ი. კორიაკოვმა და ი. გიპერტმა გამოიყენეს მხოლოდ იმ **მეცნიერთა მოსაზრებები,** რომლებიც ქართულ ენობრივ სამყაროსთან მიმართებით არასწორად იყენებენ ტერმინებს: **ეთნოსი, უმწერლობო** (არასამწერლობო) **ენა, ეთნიკური დიალექტი/ენა, ტომობრივი მეტყველება, ეთნიკური ენა[45], ტომი[46], ტომობრივი ენა** და სხვ..

4000 წელს, წერილობითი ტრადიციის უქონელ ზანურ-სვანურ თუ სხვა ენობრივ ერთეულზე კი ლაპარაკიც ზედმეტია).

[44] **სხვა საკითხია ი. გიპერტის ლეგიტიმური ფინანსური ინტერესი:** ევროპელი მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომია დიდბიუჯეტიანი გრანტები, თუკი ისინი შექმნიან პროექტებს "საფრთხის ქვეშ მყოფი ენების" შესახებ.

[45] შდრ.: ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1989, გვ. 42**:** "საქართველოს ეთნიკურ კუთხეებში (ხევსურეთში, ხევში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში...) გავრცელებული მეტყველება (ხევსურული, მოხეური, ქართლური...) ტერიტორიული დიალექტებია, თუმცა არსებითად აქ **ეთნიკურ დიალექტებთან** გვაქვს საქმე, კერძოდ, **ტომობრივ** მეტყველებასთან". 1995 წელს გამოქვეყნებულ ბ. ჯორბენაძის "ქართველურ ენათა დიალექტებში" კი ვკითხულობთ (გვ. 17): **ქართველების ლოკალური ეთნიკური ჯგუფებია**: ხევსურები, ფშავლები, მოხეევები, თუშები, მთიულები და გუდამაყრელები, ქართლელები, კახელები, მესხები (სამცხელები), ჯავახები, რაჭველები, იმერლები, ლეჩხუმლები, გურულები, აჭარლები, ინგილოები, ფერეიდნელები, იმერხევლები, შავშელები, კლარჯები; ხოლო **"ზანები აერთიანებენ ორ ეთნიკურ ლოკალურ ჯგუფს: მეგრელებსა და ჭანებს (ლაზებს)..."** ეს დამხმარე სახელმძღვანელო გამოქვეყნებულია პროფ. ბ. ჯორბენაძის გარდაცვალების შემდეგ გ. გოგოლაშვილისა და გ. სალიაშვილის რედაქტორობით.

[46] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მიხედვით, რატომღაც, თანამედროვე **ქართველ ტომებად** მიჩნეულნი არიან: აჭარლები, თუშები, ლაზები და სვანები, ხოლო გურულები, ხევსურები, მეგრელები, მესხები... განსაზღვრულნი არიან, როგორც საქართველოს ერთ-

ამ ტერმინთა ნაწილი საბჭოური გადმონაშთია[47], ნაწილი კი არასწორადაა გამოყენებული; მაგ.: საბჭოთა კავშირში ტერმინების: "ტომი", "ტომობრივი ენა" აქტიურ გამოყენებას სათავე დაუდო ფ. ენგელსისა და ი. სტალინის "მოძღვრებებმა".

1913-1951 წლებში ი. სტალინის იდეოლოგიზებული დოქტრინა "მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" 4-ჯერ გამოიცა; 1951 წელს გამოქვეყნდა სტალინის სხვა "ნაშრომიც", სადაც ასევე აქტუალური ტერმინია **ტომობრივი ენა**[48]; შესაბამისად, იმპერიის ველში მოღვაწე მეცნიერები იძულებულნი იყვნენ, უფრო მაღალი იდეალების გადასარჩენად გარკვეულ კომპრომისებზე წასულიყვნენ. დღეს დროა, გადაისინჯოს ზოგი მაშინდელი კვალიფიკაცია; შდრ., მაგ.:

არნ. ჩიქობავა, "ენათმეცნიერების შესავალი", გვ. 99-114: "ტომობრივი ენების ნიმუშად ჩვენი სინამდვილიდან შეიძლება დავასახელოთ ქართველ ტომთა ენები: სვანური, ზანური (მეგრულ-ჭანური)".

აგრეთვე, "ენათმეცნიერების შესავლის საკითხები" (**გ. ახვლედიანის** რედაქციით), თბ., 1972: **სვანური** და **ზანური** (მეგრულ-ჭანური) **ტომობრივი ენებია** ამერიკელ ინდიელთა ენების (ალგონკინურის, იროკეზულის, აკკეტურის...), ან დაღესტნის ენების (წახურულის, ანდიურის...) მსგავსად.

ვფიქრობ, ლოგიკურია რ. თოფჩიშვილის თვალსაზრისი, რომ თანამედროვე ქართველებთან მიმართებით მიუღებელია ტერმინები: **ტომი** და **ტომობრივი ენა**:

ერთი კუთხის მცხოვრებნი; დამატებითი მსჯელობისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 33-70

[47] "საბჭოთა პერიოდში დაუმკვიდრდა მეგრულს და სვანურს უმწერლობო ენების სტატუსი" (თ., ბოლქვაძე, 2007, გვ. 221)

[48] იხ., "მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, იკე, ტ. 3, გვ. 5-32; შდრ.:

ტომი წინაფეოდალური გაერთიანების - ეთნოსის აღმნიშვნელია[49].

ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ბოლო პერიოდში არის მცდელობა, საბჭოთა კავშირის დროს ე.წ. ტომობრივ ენებად ჩათვლილი ქართველური კილოები სახელდებულ იქნას "ეთნიკური უმცირესობის ენებად", ქართველთა ერთი ნაწილი კი - საქართველოში ენობრივ უმცირესობად ცხადდება.

ამ თვალსაზრისით, კრიტიკას ვერ უძლებს **"კითხვარი ქართველურ ენებზე მოლაპარაკეთათვის"[50].** ი. გიპერტისა და მისი თანამზრახველების მიერ შექმნილი ეს დოკუმენტი მომზადდა პროექტის "ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში" ფარგლებში. პროექტის პრეზენტაცია მოხდა საქართველოს განათლების სამინისტროში (27. 12. 2005 წ.).

უმცირესობათა ენების შესახებ "ევროპული ქარტიის" ფონზე თუ განვიხილავთ აღნიშნულ "კითხვარს", აშკარაა:

პროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ საქართველოში ქართული ენისგან შევიწროებულია მეგრული, ლაზური და სვანური (ასე განაცხადა ი. გიპერტმა პროექტის პრეზენტაციის დროს).

ბუნებრივია, ქართულ სამეცნიერო სივრცეში ამ პროექტის ავკარგიანობა შეფასდა და მწვავე კრიტიკის ობიექტადაც იქცა

[49] გარდა ამისა, ე.წ. **ტომობრივი ენა** თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გაიგება როგორც განუვითარებელ ეთნიკურ უმცირესობათა ენა.

[50] კითხვარის შექმნაზე პასუხისმგებლობას იღებენ პროექტის "ენობრივი სიტუაცია საქართველოში" ქართველური ენების ჯგუფის ხელმძღვანელი, გ. გოგოლაშვილი, **საქართველოს განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის კოორდინატორი,** ფილ. მეცნ. დოქტორი კ. გაბუნია და ჯგუფის წევრები: არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, ფილ. მეცნ. კანდ. ლ. ეზუგბაია, ფილ. მეცნ. კანდ. ჭ. ქირია (იხ. კრებ. "ქართველური ენები და დიალექტები", თბ., 2007, გვ. 62-64).

(იხ., მაგ., აკად. თ. გვანცელაძის[51], პროფ. ნ. ქუთელიას[52] და სხვათა შეფასებები); აქ წარმოვადგენთ მხოლოდ აკად. **გ. კვარაცხელიას** მოსაზრებას ამ პროექტის შესახებ:

"როცა ამ პროექტს ვეცნობოდით, მის კურატორად დასახელებული იყო ჯ. ჰიუიტი[53], ვისი მიზნები და ინტერესები არავისთვის დამალული არ არის. ამავე დროს, პროექტის წარმომდგენმა[54] ილაპარაკა ქართული სალიტერატურო ენის გავლენის შესახებ სვანურზე, რომელიც **"დაჩაგრულად"** მოიხსენია. გასაგებია, ყოველ სერიოზულ კვლევას დაფინანსება ესაჭიროება, მაგრამ ამ ფასად? ამგვარი "დასაბუთებები", რომლებიც ხშირად გვხვდება უცხოური გრანტების მოსაპოვებლად, **არც ეთიკურია და არც უსაფრთხო**, თავი რომ დავანებოთ იმას, თუ **რამდენად შეესაბამება ისინი რეალობას**. მე ეს იქ (**განათლების სამინისტროში;** ხაზგასმა ჩემია - ტ.ფ.) ვთქვი"[55].

მეტი სინათლისთვის აქვე წარმოვადგენთ ხსენებული "კითხვარის" რამდენიმე "ტესტს" სავარაუდო პასუხებით:

— რა ენაზე გინდათ, რომ განათლება მიიღონ თქვენმა შვილებმა? (მეგრულ-ლაზურ, ქართულ, სვანურ თუ სხვა)? რატომ?
— რომელ ენაზე ლოცულობთ ეკლესიაში (მეგრულ-ლაზურ, ქართულ, სვანურ თუ სხვა)?
— საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა სატელევიზიო გადაცემები მეგრულ-ლაზურ/სვანურ ენებზე?

[51] თ. გვანცელაძე, აუცილებელი განმარტებანი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2007, № 7, გვ. 51-62.
[52] ქართველური ენები და დიალექტები, 2007, გვ. 18.
[53] ჯ. ჰიუიტს საქართველოში დღემდე ჰყავს დამცველები და თანამოაზრენი; იხ., ნ. ლადარია, 2002, გვ. 58.
[54] საქართველოს განათლების სამინისტროში პროექტი საჯაროდ წარადგინა პროფ. ი. გიპერტმა.
[55] გ. კვარაცხელიას სრული ტექსტი იხ.: "ქართველური ენები და დიალექტები", 2007, გვ. 13.

— საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა რადიოგადაცემები მეგრულ-ლაზურ/სვანურ ენაზე?
— საჭიროდ თვლით თუ არა, რომ პრესა გამოდიოდეს მეგრულ-ლაზურ/სვანურ ენაზე? თუ არა რატომ?
— იცით თუ არა, გამოდის ჟურნალ-გაზეთები მეგრულ-ლაზურ/სვანურ ენებზე საქართველოში?
— რომელია თქვენთვის მეორე ენა? (ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური თუ სხვა).
— რომელია თქვენთვის მესამე (მეოთხე) ენა? (ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური თუ სხვა)...[56]

გაუგებარია, განათლებულ ქართველ ადამიანს რატომ უნდა დაებადოს სურვილი, რომ სულ მცირე 20-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ქართველს (**მეგრელს, სვანს)** ჰკითხოს:
— რა ენაზე გინდათ, რომ განათლება მიიღონ თქვენმა შვილებმა? (მეგრულ-ლაზურ, ქართულ, სვანურ თუ სხვა)? რატომ?

ის ვინც ამბობს, რომ ქართულისგან იჩაგრება სვანური და მეგრული[57], ან აცხადებს, რომ ქართული მეგრელის დედაენა არ არის[58], მას სურს, ქართველთა ნაწილი **აიძულოს,** იფიქროს

[56] ამ კითხვარზე მომუშავე ჯგუფს ხელმძღვანელობს გ. გოგოლაშვილი.
[57] გ. კვარაცხელია: "პროექტის წარმომდგენმა ილაპარაკა ქართული სალიტერატურო ენის გავლენის შესახებ სვანურზე, რომელიც **"დაჩაგრულად"** მოიხსენია".
[58] იხ., ნ. ლადარია, 2002, გვ. 22-23, სადაც წერს, რომ კითხვარის გრაფაში - "დედაენა" მეგრელმა უნდა ჩაწეროს მეგრული ენა და არა - ქართული ენა. პოლიტიკურ დაჯგუფებათა თუ არასამთავრობოთა ერთი ნაწილიც (**"შერიგების რესურსები", თავისუფლების ინსტიტუტი, რესპუბლიკური პარტია, ჭაჭია-გიორგაძის ჯგუფი და საქართველოს** კონფედერაციული თუ **ფედერაციული მოწყობის სხვა მომხრენი)** აქტიურად ცდილობს, მეგრულ-ლაზურსა და სვანურს მიენიჭოს "რეგიონალური ენების" სტატუსი, რათა ეს ქართველური კილოები იქცეს საქმისწარმოების, ღვთისმსახურებისა და განათლების ენად (დოკუმენტური მასალისათვის იხ. მაგ., გაზეთი "ასავალ-დასავალი", 5-11 ნოემბერი, 2007 წ.

ღვთისმსახურებისა და განათლების ენად მეგრულის, ლაზურის, სვანურის შემოღების შესახებ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო-საინფორმაციო ქსელში უმწიგნობრო ქართველურ ენებად სახელდებული **ქართველური კილოები** უკვე აღიარებულია ეთნიკური უმცირესობების ენებად. კარსაა მომდგარი ევროსაბჭოს ვალდებულებებიც[59].

აშკარაა: ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორიის არაადეკვატური გააზრების გამო **საფრთხე ემუქრება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ენობრივ და ეთნოკულტურულ ერთიანობას.**

"უმცირესობათა ენების შესახებ ევროსაბჭოს ქარტიის" **უმთავრესი მოთხოვნების ფონზე** ორი რამ უნდა დავუშვათ:

ან: ი. გიპერტის ჯგუფი, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს, რომ ქართველთა **ცალკეულ დიალექტებს** საქართველოში **მიენიჭოს** უმცირესობათა ენების უფლებები; შესაბამისად, მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენის მქონე ქართველებმა (მეგრელებმა, სვანებმა, ლაზებმა...) დღეს კილოების ბაზაზე მიიღონ განათლება და დაიწყონ **ღვთისმსახურება.**

სხვა მასალა იხ. თ. გვანცელაძე, ენისა და კილოს საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006, გვ. 130-139; მსჯელობისთვის იხ. აგრეთვე: http://www.scribd.com/doc/6505547).

[59] 2007 წლის 18 მარტს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში **"დღის კომენტარი დავით აფრასიძესთან ერთად"** ევროსაბჭოში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ **საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე აიღო ვალდებულება, დააბრუნოს ე.წ. თურქი მესხები და უმცირესობათა ენების სტატუსი მიანიჭოს სვანურსა და მეგრულს...** ცხადია, რომ ამგვარი ულოგიკო "ვალდებულების" შესრულებით საფრთხე შეექმნება საქართველოს ერთიანობასაც და მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია წაერთმევა სამეგრელოს, ლაზეთისა და სვანეთის მოსახლეობას.

ან: ამ "კითხვარის" ავტორებმა **არ იციან** ევროსაბჭოს "ენების ქარტიის" დებულებები და, ამავე დროს, თავიანთი კვალიფიკაციებისას ეყრდნობიან **მეთოდოლოგიურად გაუმართავი** ლინგვისტური თუ ეთნოლოგიური კვლევების შედეგებს.

აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

კეთილშობილური მიზნის მქონე ევროპული დოკუმენტები არავითარ საფრთხეს არ შეიცავს, თუმცა მათ რატიფიკაციას საქართველოსთვის სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს, თუკი საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაცია ოფიციალურად აღიწერება ე.წ. **სამი/ოთხი ქართველური ენის მიხედვით**; კერძოდ, "რეგიონალური და უმცირესობათა ენების" შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირების დროს საქართველოს ენათა ჩამონათვალში თუკი 2-3 "უმწიგნობრო ქართველური ენა" დაფიქსირდება, ულოგიკოდ და ხელოვნურად წახალისდება ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ენობრივ-ეთნიკურ-კულტურული ერთობის დანაწევრება (რუსეთის იმპერიის დიდი ხნის ოცნება!)[60].

შდრ.: ამ დროს საფრთხეს "ვერ ხედავენ" ჩვენი ოპონენტები, რომლებიც ცდილობენ მიჩქმალონ არსებული პრობლემა[61]; მეტიც, რუსეთის იმპერიის მიერ პოლიტიზებული ე. წ. ოთხი ქართველური ენის თეორიის მიმართ ჩვენი[62] კრიტიკა მათ საკითხის პოლიტიზებად ჩათვალეს, ხოლო იმპერიის ცენტრში შექმნილი პოლიტიზებული მოსაზრებები - მეცნიერებად.

---

[60] რუსეთი არ ჯერდება აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის წართმევას; მას დიდი გეოპოლიტიკური მიზნები აქვს.

[61] იხ., ქართველური ენები და დიალექტები, 2007, გვ. 12, სადაც გ. გოგოლაშვილი წერს, რომ ტ.ფუტკარაძის, თ.გვანცელაძის, მ.ტაბიძის (და სხვათა) მიერ "სახიფათოდ დანახულ პერსპექტივას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია"! კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდვია.

[62] ჩემი და ჩემი კოლეგებისა (რომელთა რიცხვი ბევრად აღემატება "სამეულს" და მომავალში უფრო მეტი იქნება.).

ვინ ახდენს პრობლემის პოლიტიზებას?

პატიოსნად დაინტერესებული პიროვნება ამ კითხვაზე უფრო იოლად იპოვის პასუხს, თუკი თვალს გადაავლებს ენად თუ კილოდ კვალიფიკაციის კრიტერიუმებს, ქართული სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი მოდელის პრობლემას და ე.წ. ქართიზაციის "თეორიის" ისტორიას.

ენისა და კილოს გამიჯვნის ე. წ. "წმინდა ლინგვისტური" კრიტერიუმები და ქართველურ ენა-კილოთა საკითხი დღეს

პირველ რიგში, ანგარიში უთუოდ უნდა გაეწიოს ერთ გარემოებას:

ევროსაბჭოს ზემოთ განხილულ დოკუმენტებშიც, თანამედროვე ეთნოლოგიურ თუ ლინგვისტურ ლიტერატურაშიც და ისტორიულადაც, **ენა და ეთნოსი** თუ **კილო და თემი** (ეთნოგრაფიულ-ტერიტორიული ჯგუფი) ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია[63]: **როგორც წესი,** ხალხების ეთნიკური კლასიფიკაცია და ეთნიკური იდენტობის (თვითობის) განსაზღვრა **ძირითადად** ენის მიხედვით ხდება; შესაბამისად, არსებითია სწორი მეთოდოლოგიით მიღებული (ლოგიკური) დასკვნები **კონკრეტული ენისა და კილოს სტატუსის** შესახებ.

XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჩემს კოლეგებსა და მე თვალში მოგვხვდა ერთი ფაქტი:

უცხოელი კოლეგები სერიოზულ სამეცნიერო ფორუმებზე **ბილინგვებად** (ორენოვნებად) წარმოადგენდნენ მეგრელებს,

[63] ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, 2005.

სვანებს; არაიშვიათად, მეგრელ-სვანები მიიჩნეოდა არაქართველ ბილინგვებადაც.

დავსვით კითხვა: რა სახის არგუმენტებს ემყარებიან ევროპელი/ამერიკელი მეცნიერები, როცა ქართველთა ერთ ნაწილს **ორენოვან არაქართველებად** აცხადებენ?

პასუხი ამ შემთხვევაშიც მარტივი აღმოჩნდა:

ისინი საქართველოს "ხალხების", ეთნოსების, ეთნიკური ჯგუფების რაოდენობასა და ხასიათს განსაზღვრავენ "ენების" მიხედვით, ხოლო "ქართველური ენების" შესახებ მასალას იმოწმებდნენ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებიდან.

საკითხის ისტორიის შესწავლამ ჩვენთვის ბევრი რამ გახადა ნათელი; დღემდე ამ თემაზე გამოქვეყნდა ათეულობით ნაშრომი.

ჩვენი მთავარი დასკვნაა:

ენათმეცნიერული თვალსაზრისით არგუმენტირებული არ არის **სამეცნიერო წრეებში დღემდე გაბატონებული ე. წ. 3-4 ქართველური ენის თეორია**[64]**.** შესაბამისად, ე. წ. ქართიზაციას თეორიასა და პეტერბურგში შექმნილ ქართველოლოგიის პოლიტიზებულ სკოლას ისტორიული თუ მეცნიერული არგუმენტები არ ეძებნება[65].

აქვეა აღსანიშნავი, რომ 3 ქართველური ენის თეორიას ბოლო პერიოდში აქტიურად იცავს ქართველ ენათმეცნიერთა

[64] მსჯელობისა და ბიბლიოგრაფიისათვის იხ.: **ტ. ფუტკარაძე,** ქართველები, I ნაწ., ქუთაისი, 2005; **თ. გვანცელაძე,** ენისა და კილოს საკითხი ქართველოლოგიაში, 2006; **მ. ტაბიძე,** ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005; **მ. ნაჭყებია,** საქართველოს ეთნოლინგვისტური ტერმინები, თბ., 2006; რ. შეროზია, ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას "სიტყვის კონის" ზოგი საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, 2007.

[65] მსჯელობა იხ., აგრეთვე, ქვემოთ, სამწიგნობრო ენის საყრდენ ენობრივ მოდელზე მსჯელობისას.

მცირე ჯგუფი[66]; მაგ., 1996 წლიდან საენათმეცნიერო კონფერენციებზე მსგავსი თემატიკით, **მაგრამ ჩვენგან განსხვავებული დასკვნებით** აქტიურდება მ. ქურდიანი. კერძოდ, მას რატომღაც ჰგონია, რომ **ენა-კილოთა სტატუსი უეჭველად დგინდება "ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების" მიერ.** მისი აზრით, თუკი სამეტყველო ერთეულებს შორის არსებობს "ბგერათშესატყვისობა", ისინი მონათესავე ენებია, თუ არადა - დიალექტები. მ. ქურდიანი დღემდე მანიპულირებს რა კომპარატივისტიკისა და სოციოლინგვისტიკის ტერმინებით, **ცდილობს, არასპეციალისტები** დაარწმუნოს, რომ, მაგ., **სვანური სვანების დედაენაა,** ხოლო ქართული - ეროვნული ენა.

შდრ.: **გურამ რამიშვილი: ეროვნული ენა** და **დედაენა სინონიმებია[67]**.

სხვაგან მ. ქურდიანი ასევე უარგუმენტოდ აცხადებს, რომ **"წმინდა ენათმეცნიერული" განსაზღვრით,** სვანური და ზანური "დამოუკიდებელი ენებია", ხოლო **სოციოლინგვისტური თვალსაზრისით** - ქართული ენის დიალექტები[68].

[66] ახლახან ე. წ. ქართიზაციის დაუსაბუთებელ თეორიას მიმდევრები გამოუჩნდნენ თურქეთშიც (მასალისათვის იხ., მაგ., Ali Arslan, Tarihsel ve Sosyolojik Olarak Kartvel Niçin Hıristiyan Demektir? (www.gamarcoba.com).

[67] **გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, 2000, გვ. 7;** ქართული ენის, როგორც ქართველთა ერთადერთი დედაენის შესახებ მსჯელობისათვის იხ. იქვე, გვ. 6-9). არაიშვიათად, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი "ეროვნული ენა" გამოიყენება სახელმწიფო ენის სინონიმადაც; თუ დავუშვებთ, რომ მ. ქურდიანისთვის **ეროვნული ენა** სახელმწიფო ენის სინონიმია, ასეთ შემთხვევაში, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, მაგ., საქართველოს მოქალაქე აფხაზთა თუ **სომეხთა დედაენები** და ქართველთა **ბალსზემოური (სვანური), მეგრული თუ გურული დიალექტები** ქართულთან მიმართებით ერთ რიგში წარმოდგება, რაც, ასევე, სრული გაუგებრობაა; სინამდვილეში: საქართველოში აფხაზური რეგიონალური (/ეთნიკური უმცირესობის) ენაა, სომხური - მიგრანტთა ენა, ხოლო ბალსზემოური, მეგრული და გურული - ქართველთა დიალექტები.

[68] ქართველური ენები და დიალექტები, 2007, გვ, 6-9; იხ. აგრეთვე: მ. ქურდიანი, 1996; **შდრ.:** ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 65.

შდრ., აგრეთვე: მ. ქურდიანის აზრით, "წმინდა ენათმეცნიერული" მიდგომით რუსული და უკრაინული დიალექტებია და არა ენები, რამდენადაც მათ შორის არ არის რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები; მისივე მტკიცებით, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, **იმერხეველთა ქართული** თურქული ენის დიალექტია.

სრული პასუხისმგებლობით ვამბობთ:

მ. ქურდიანის ამგვარი დებულებები შედეგია **ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა** და **სოციოლინგვისტიკის** მიზნების აღრევისა[69]; კერძოდ:

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ საერთაშორისო სტანდარტებით და, სწორედ რომ **სოციოლინგვისტური პარამეტრების მიხედვით**, ქართული ენა თურქეთში **არის არა თურქული ენის დიალექტი, არამედ - ეთნიკური უმცირესობის ენა:** თურქეთის ამჟამინდელ სახელმწიფოში ართვინის გუბერნიაში მცხოვრები ქართველები ავტოქთონები არიან; თურქეთში გამოიცემა ქართულენოვანი ჟურნალები, გაზეთები. იქაურ ქართველებს აქვთ რამდენიმე ქართულენოვანი საინტერნეტო რადიოც.

მეორე: უკრაინელები არ დაუჯერებენ მ. ქურდიანს და, შესაბამისად, კილოდ არასოდეს მიიჩნევენ თავიანთ დედაენას;

მესამე: ყველა სვანისთვის **ქართული არის** წინაპრების

[69] უსაფუძვლო და ხელოვნურია ე. წ. "საკუთრივ ლინგვისტური" და სოციოლინგვისტური ცნებების "კოლიზიაზე" ენათმეცნიერ ა. არაბულის მსჯელობაც (ქართველური ენები და დიალექტები, 2007, გვ, 34-40). სოციოლინგვისტიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი მიმართულებაა და არა მეცნიერების სხვა დარგი; მაგ., მორფოლოგია ენას სწავლობს აგებულების მიხედვით, ხოლო სოციოლინგვისტიკა - ფუნქციის მიხედვით. საკითხის ისტორიისთვის: მეგრულის სხვადასხვა სტატუსის ("ლინგვისტიკურად" ენა - "კულტურულად" დიალექტი) შესახებ ნ. მარის მსჯელობის კრიტიკისათვის იხ.: არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 366 **(არნ. ჩიქობავა ნ. მარს უწუნებდა ლაზურისადმი მიდგომის "ორმაგ სტანდარტს")**; იხ., აგრეთვე: თ. გვანცელაძე, 2006; გვ. 19; ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 20; შდრ., ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 65.

მიერ შექმნილი დედაენაც (/ეროვნული ენაც)[70], საეკლესიო ენაც, სალიტერატურო ენაც, სახელმწიფო ენაც; ხოლო, მაგ., ლაშხური ლაშხელისთვის მშობლიური კილოა.

ერთი წუთით გავყვეთ მ. ქურდიანის ლოგიკას და დავსვათ კითხვები:

— მის მიერ "წმინდა ლინგვისტურ" "კილოებად" გამოცხადებული **რუსული ან უკრაინული** მთელი მსოფლიოს მიერ რატომაა აღიარებული დამოუკიდებელ ენებად? მაგ., არნ. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის, თ. შარაძენიძისა და სხვათა მიერ წარმოდგენილ "ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციებში" რუსული, უკრაინული და ბელორუსული რატომაა წარმოდგენილი დამოუკიდებელ ენებად?[71]

— მ. ქურდიანის ლოგიკით, "წმინდა ლინგვისტური" "ენები" - ბავარიული და შვაბური მთელი მსოფლიოსგან რატომაა მიჩნეული გერმანული ენის დიალექტებად?

და მთავარი, არარიტორიკული კითხვა:

მსოფლიოს ენათა **გენეალოგიურ კლასიფიკაციებში** წარმოდგენილი ენების სტატუსი "წმინდა ლინგვისტური" მიდგომითაა განსაზღვრული თუ "სოციოლინგვისტურით"?

პასუხი ერთია: **"წმინდა ლინგვისტური" ნიშნით** (ბგერათშესატყვისობებითა თუ ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ-ლექსიკური თავისებურებების ხარისხით) **არ (და ვერ!) განისაზღვრება ენისა და კილოს სტატუსი.**

[70] **დედაენა ენობრივი სოციუმის - ერის** თვისებაა (და არა – **ინდივიდისა!)**; ენა ეროვნულობის დამცველი და შემნარჩუნებელია... ენა და ერი ერთმანეთს განსაზღვრავს (გ. რამიშვილი, 2000, გვ. 9, 70, 172).

[71] იხ., არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 344; ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, 1972, გვ. 295; თ. შარაძენიძე, 1958, გვ. 6.

დავუშვათ, რომ, მაგ., "წმინდა ლინგვისტურად" სვანური **ენაა, სოციოლინგვისტურად კილო; გენეალოგიურ სქემებში** თუ საქართველოს ენათა ოფიციალურ სიაში **რომელი კვალიფიკაცია უნდა შევიდეს?**

უფრო ლოგიკური ხომ არ არის, წინა თაობების ნაშრომების მიხედვით ვილაპარაკოთ არა ენის ლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ სტატუსზე, არამედ ტერმინ "ენის" პოლისემანტურობაზე?

საანალიზოდ წარმოვადგენთ არნოლდ ჩიქობავას მსჯელობის ფრაგმენტს:

"გარდაუვალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე - მოდის... ხალხი კი უკვდავია. უკვდავია მისი ენაც, თუკი მას ხალხმა ზურგი არ შეაქცია; ენა თაობიდან თაობას გადაეცემა, და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის: **ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებს".**

ტერმინი "ხალხი" აქ ერის სინონიმია: **ერის მეობას ენა განსაზღვრავს**... ცნობილია, რომ ბ-ნი არნოლდი მონათესავე, მაგრამ მაინც სხვადასხვა ენად მიიჩნევდა ქართულს, ზანურსა და სვანურს; თუმცა, ბუნებრივია, მისთვის მეგრელ-ჭანებიცა და სვანებიც ქართველები არიან.

ფაქტია, ცნობილი ენათმეცნიერისთვისაც კი **ენას ორგვარი მნიშვნელობა აქვს**[72]: ერთი განსაზღვრავს ერს, მეორე - არა.

რომელი მნიშვნელობაა ძირითადი?

მსოფლიოს ენათა გენეალოგიურ სქემებშიც, თანამედროვე ეთნოლოგიურ ენციკლოპედიებშიც და ევროსაბჭოს დოკუმენტებშიც (მაგ., "ენების ქარტიაში") **ენა ერის/ეთნოსის მეობის განმსაზღვრელი მნიშვნელობითაა გამოყენებული** (მაგ., უკრაინული ენა, აზერბაიჯანული ენა...) და დაკავშირებულია

[72] "ენის" პოლისემანტურობის, აგრეთვე, საბასა და ვახუშტის მიდგომების შესახებ იხ., მ. ტაბიძე, 2005.

ეროვნულ-ეთნიკური იდენტობის საკითხთან.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა **თ. შარაძენიძის მსჯელობა**: მონათესავე კილოთაგან ან ერთი ენის დიფერენციაციით ახალი ენები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პროვინციები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდება და ამ ხალხებს შორის **ერთიანობა გაწყდება...** კილოების ენებად ჩამოყალიბების **აუცილებელი პირობაა** ერთი საზოგადოების ნაწილების ერთმანეთისგან მოწყვეტა: **იმისათვის, რომ ენის დიფერენციაცია განხორციელდეს,** აუცილებელია ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება დაიშალოს და შეწყდეს ურთიერთობა გამოყოფილ ნაწილებს შორის[73].

ყველამ იცის, რომ დასავლეთ, სამხრეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს **ქართველობას შორის არასოდეს გაწყვეტილა ენობრივი** და **ეთნო-კულტურული ერთიანობა;** იძულებითი სახელმწიფოებრივი დაშლილობაც კი დროებით მოვლენას წარმოადგენდა და მაშინაც კი თითოეული სამეფოს/სამთავროს მეფე/მთავარი თავს საქართველოს კანონიერ მმართველად მიიჩნევდა (მაგ., ლევან დადიანი აცხადებდა, რომ იყო **ივერიის/საქართველოს მეფე**): დიდი საქართველო პატარ-პატარა საქართველოებად იშლებოდა!

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ:

მსოფლიოში არსებული ძირითადი ენების სტატუსი განსაზღვრულია **ექსტრალინგვისტური** (ეთნოკულტურული თუ პოლიტიკურ-რელიგიური) ფაქტორების მიხედვით.

მაინც როგორ განმარტავს ენას **ლინგვისტიკა?**

ენათმეცნიერთა განმარტებით, **ენა არის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამეტყველო ბგერით ნიშანთა სისტემა,** რომელიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, კომუნიკაციისა და ცოდნის შენახვის საშუალებას.

[73] თ. შარაძენიძე, 1958, გვ. 42-45.

შდრ.: **საერთო-სახალხო ენის განშტოება - დიალექტი** ასევე ბგერით ნიშანთა მოწესრიგებული სისტემაა; **დიალექტიც არის სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, კომუნიკაციისა თუ ცოდნის შენახვის საშუალება**.

ასე რომ, საკუთრივ **ენათმეცნიერული განმარტების** მიხედვით, **ენა** და **კილო** ვერ იმიჯნება.

რაც შეეხება ოპონენტთაგან მშველელად მოხმობილ **ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების** მიზანს**:**

ენათმეცნიერების ეს მიმართულება ცდილობს დაადგინოს, არის თუ არა მონათესავე ერთმანეთთან თვალსაჩინოდ დაშორებული ენები; **მისი მიზანი არ არის სამეტყველო ერთეულის სტატუსის დადგენა;** კერძოდ, არალინგვისტთათვის განვმარტავ:

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება ორი სახისაა: **პროსპექტული** (ენის ისტორიის კვლევა ისტორიის სიღრმიდან თანამედროვეობისკენ) და **რეტროსპექტული.** სწორედ **რეტროსპექტული ენათმეცნიერების** მიზანია, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით (რეკონსტრუქციების გზით!) აღადგინოს **დამწერლობის მქონე ენათა პრეისტორია და უმწერლობო ენათა ისტორია**, რათა დაადგინოს ამჟამად **მკვეთრად დაშორებული ენების** ნათესაობა.

ნათესაობა უეჭველ ფაქტად ცხადდება რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების დადგენის შემდეგ.

კომპარატივისტული მეთოდიკა აღადგენს სივრცესა და დროში ოდესღაც არსებული ფუძე-ენის სისტემას და მის წიაღში ნავარაუდევი დიალექტების დაშორიშორების პროცესს. **კომპარატივისტიკა ვერ ადგენს** (და არც ადგენს!) **იმ კრიტერიუმებს**, რომლითაც მოცემული საზოგადოება **ენის სტატუსს** ანიჭებს ამა თუ იმ ისტორიულ თუ თანამედროვე დიალექტს.

აქვე კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ არსებობს **ბევრი ახლომონათესავე ენა** (მაგ., რუსული, ბელორუსული, ჩეხური,

სლოვაკური...) რომელთა შორის ბგერათშესატყვისობა არ არის ჩამოყალიბებული.

რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის დადგენის საჭიროება ჩნდება მაშინ, როცა რთულია მოცემულ ენათა ნათესაობის დანახვა; შესაბამისად, **ბგერათშესატყვისობას** არავითარი როლი არ აკისრია ახლომონათესავე სამეტყველო ერთეულების სტატუსის (ენის, კილოს, კილოკავის) დადგენის თვალსაზრისით[74].

აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს ძირითადი ენების/კილოების **სტატუსი გაირკვა** ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე და, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არავინ ცდილობს ამ სტატუსთა გადასინჯვას.

XX საუკუნის დასასრულს, პრობლემის შესწავლისას ჩვენი მიზანი თავიდანვე ნათლად განისაზღვრა:

ისტორიულად არსებული **ენისა და კილოს სტატუსის განმსაზღვრელი** კრიტერიუმების დადგენა (რამდენადაც ენები და კილოები არსებობდა ენათმეცნიერების, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგის, ჩამოყალიბებამდე) და ამის მიხედვით დღეს სადავო ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაცია.

ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ არც **ისტორიულად და არც თანამედროვე მსოფლიოში** ენა-კილოთა სტატუსი არ დგინდება არც "საკუთრივ ლინგვისტური" **კრიტერიუმით** და არც ე. წ.

[74] შდრ., თ. შარაძენიძის მსჯელობა (1958, გვ. 137): ისტორიულ-შედარებით მეთოდს რიგი სიძნელეები ხვდება. ჯერ ერთი, ნაკლებ ნაყოფიერია ან მეტისმეტად ძნელდება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება ზოგიერთი ტიპის ენათა მიმართ; ასეთებია: ა) **მონათესავე ენები, რომლებიც ძლიერ ახლოს დგანან ერთმანეთთან**, რომელთა დიფერენციაცია შორს არ წასულა; ბ) ენები, რომლებიც მეტისმეტად დაშორებულნი არიან ერთმანეთს, რის გამოც არ ხერხდება მათი ოდინდელი ნათესაობის მტკიცება.

გაგებინებით, რომელსაც ზოგი სპეციალისტიც კი[75] ლინგვისტურ კრიტერიუმად აცხადებს (გაგებინება არ არის ლინგვისტიკის სფერო).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში სერიოზულად განიხილება ენისა და კილოს გამმიჯნავი სხვა კრიტერიუმები: პრესტიჟულობა, განფენის ხარისხი, დამწერლობის ქონა, სტანდარტულობა-ხელოვნურობა... ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ დიალექტსა და ენას შორის ზღვარის გავლება ძნელია[76].

აქვე აღვნიშნავთ:

წინა თაობების ქართველ ენათმეცნიერებს საგანგებოდ არ უკვლევიათ ენა-კილოთა გამმიჯნავი კრიტერიუმები[77]; შესაბამისად, როცა "ევროპის ენების ქარტიამ 1992 წლიდან ამ მიმართულებით ახალი რეალობა შექმნა, თანამედროვე ავტორებს მართებთ სიღრმისეული ანალიზი[78].

როგორც წესი, ტრადიციული **სამწიგნობრო კულტურის მქონე სამეტყველო ერთეული** ენად მიიჩნევა. შესაბამისად, რთულია **უმწერლობო ენისა** და **დიალექტის** გამიჯვნა.

ჩვენი აზრით, ასეთ დროს უნდა გავითვალისწინოთ, ერთი მხრივ, დიალექტის საყოველთაოდ გაზიარებული განსაზღვრება, მეორე მხრივ კი, მოცემული ხალხის სამწიგნობრო ტრადიცია;

[75] იხ., მაგ., თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე,.. 2003, გვ. 615.

[76] პრობლემის მიმოხილვისათვის იხ. თ. გვანცელაძე, 2006.

[77] იხ. მაგ., არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 205

[78] შდრ., რ. ამირეჯიბი-მალენის მსჯელობა იხ. წიგნში: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბ., 2006: "ენებისა და დიალექტების გამიჯვნის **წმინდა ლინგვისტურ კრიტერიუმებს მიეკუთვნება ურთიერთგაგებინების ფაქტორი.** ამიტომაც, მეგრულ-ლაზური და სვანური დამოუკიდებელი ენებია "წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით" (გვ. 6-8). თანამედროვე "პოლემიკის" ერთი უცნაურობა ისიცაა, რომ წიგნის ამბიციური რედაქტორისთვის საჭირო ხდება შეხსენება: **"ურთიერთგაგებინების ფაქტორი"** და არც რომელიმე სხვა "ფაქტორი" "ლინგვისტური კრიტერიუმი" არ არის!

კერძოდ:

აღიარებული განსაზღვრებით, **დიალექტი** არის მოცემული ნაციის (ერის) საერთო-სახალხო (ოფიციალური) **ენის განშტოება**, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან ერთი რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი (არაოფიციალური) ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს[79].

შესაბამისად, კონკრეტული სამეტყველო ერთეული მონათესავე სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის ნაირსახეობად - **დიალექტად -** ჩაითვლება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში. როგორც წესი, სამწიგნობრო ენა არის ოფიციალური ენა - ელიტარული მეტყველება (მაგ., სამეგრელოში "ჟინოსქუას" ენა იყო სალიტერატურო ქართული), დიალექტი კი საშინაო ენაა.

უმწერლობო ენად უნდა მივიჩნიოთ ენობრივ-ეთნიკური იდენტობის (მეობის, თვითობის) მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. უმწერლობო ენა ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს.

ნათელია, რომ **მეგრულ-ჭანური და სვანური მეტყველებები ვერ ჩაითვლება უმწერლობო ენებად** იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ **სამწიგნობრო ქართულის ამ სახესხვაობების მფლობელთ** სულ მცირე 20-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია აქვთ საკუთარ დედაენაზე[80].

[79] ერთი ენის დიალექტებს შორის გაგებინება შეიძლება ჭირდეს, ან საერთოდ არ იყოს; იხ. მაგ., ვ. იარცევას რედაქტორობით 1990 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული "ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი", გვ. 132-133 (და სხვ.).

აქვე, კიდევ ერთი **არსებითი კითხვა**:

როგორ მტკიცდება, რომ **ქართული ენა ძველთაგანვე არის ყველა ქართველური თემის** (მათ შორის: მეგრელების, სვანების, ლაზების) **დედაენა** და ამოსავალია ყველა ქართველური კილოსათვის?

ამ კითხვაზე დამაჯერებელ პასუხს იძლევა **მსჯელობა** ქართული სამწიგნობრო ენის საბაზო მეტყველების შესახებ.

[80] ზოგი არალინგვისტი მართლა გულწრფელად ფიქრობს: როგორ შეიძლება **ერთი და იმავე დონის** ტერმინით მოვიხსენიოთ ისეთი დაშორებული მეტყველებები, როგორიცაა, მაგ., იმერული და მეგრული; მათთვის გვაქვს ერთი მარტივი ამოცანა: გვაქვს ორი დონის ცნება-ტერმინი: **ენა** და **კილო**; ამ ცნებებით დავაჯგუფოთ ქვემოთ ჩამოთვლილი ენობრივი ერთეულები: ქართული, იმერული, აჭარული, მეგრული, აფხაზური, ჩეჩნური, უკრაინული, რუსული, გერმანული, ბავარიული... უკამათოა, რომ ქართულთან მიმართებით კილოებია მისი სახესხვაობები: იმერული, აჭარული, ხოლო გერმანულის დიალექტია ბავარიული; **ქართულის მსგავსად,** უკამათოა სხვა ერების სამეტყველო ერთეულების სტატუსიც; დამოუკიდებელი ენებია: ქართულის მონათესავე აფხაზური, ჩეჩნური და არამონათესავე: რუსული, უკრაინული, გერმანული. რომელ ჯგუფში უნდა განვათავსოთ **ქართულის სახესხვაობა - მეგრული** (რომელიც უფრო მეტადაა შეცვლილი, ვიდრე აჭარული): **აჭარულ-იმერულის** თუ **გერმანულ-რუსულ-აფხაზურის**? მათ დასახასიათებლად მესამე ტერმინი არ არსებობს (და არც არის საჭირო): საერთოქართველურის ბაზაზე შექმნილ არქაულ სამწიგნობრო ენასთან მიმართებით, დღეს არსებული ყველა ზეპირი ქართველური მეტყველება მეორეული მოვლენაა (ეს კარგად ჩანს ხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაციებითაც). ზანურ-სვანურ (ე.წ. შიშინა) კილოებსა და მესხურ-ფხოურ-ქართლურს (ე.წ. სისინა) კილოებს შორის თვისობრივი, "სისტემური" სხვაობა არ გვაქვს (მსჯელობისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, გვ. 66-67). ამ თვალსაზრისით საინტერესოა არნ. ჩიქობავას მსჯელობა (1936, გვ. 205-206): "ჭანურისა და მეგრულის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ მოვლენათა ანალიზისას ცხადი და ხელშესახები ხდება ამ მოვლენათა ისტორიული წარსული და გენეტური ურთიერთობა, როცა **ამოსავლად გამოყენებულია ქართული ენა**."

ქართული სამწიგნობრო ენის საბაზო ენობრივი მოდელის საკითხი; რას ემყარება "ქართიზაციის" თეორია?

ქართველთა სამწიგნობრო ენის **საბაზო მეტყველების** შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი ძირითადი მოსაზრება გვაქვს:

Ⴀ. სამწიგნობრო ქართული ეფუძნება საერთოქართველურ ენას;

Ⴁ. სამწიგნობრო ქართული ეფუძნება ქართლურს (ქართლ-კახურს), ან ქართლურის საფუძველზე შექმნილ ქალაქურ კოინეს.

სწორედ ეს უკანასკნელი მოსაზრება დაედო საფუძვლად ე.წ. ქართიზაცია-ქართველიზაციის თეორიას.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

Ⴀ. სამწიგნობრო ქართული ეფუძნება საერთოქართველურ ენას - ყველა თანამედროვე ქართველური

ენობრივი ერთეულისთვის ამოსავალ მეტყველებას.

ღვთისმსახურების ტერმინთა ანალიზით, **ივ. ჯავახიშვილი** (1979, გვ. 154-156) ასკვნის:

"ქართული ენა ქართლელ-კახელ-იმერელ-გურულებისა და მეგრელ-სვანებისთვის საერთო ენაა..." **წარმართობის დროინდელი საერთო შემოქმედებაა;** შდრ., ივ. ჯავახიშვილი (1908, გვ. 20): "ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული მწერლობის ენა ქართლურია... ქართველთა ძველი მწერლობის ენა კი შეიძლება ეკუთვნოდეს მეგრულ-ლაზურ, ან სვანურ შტოს; **შდრ., იქვე, გვ. 4:** "საერთო ენა და მწერლობა ყველა ქართველმა ტომმა შექმნა".

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებაზე დაყრდნობით, "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის" ავტორმა, **მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ,** 1996 წელს ჩამოაყალიბა შემდეგი მოსაზრება:

"ჯერ კიდევ IV-III საუკუნეებში ქართლის სამეფოში ანუ **აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში** (ხაზი ჩემია - ტ.ფ.) მცხოვრებ ხალხს (ყველა ქართულ ტომს - ქართებს, მეგრელებსა და სვანებს) უკვე ჰქონია ერის რაობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ელემენტი - **ენის ერთობა**. ეს იყო საერთო-სახალხო, სალიტერატურო, სახელმწიფო და კულტმსახურების საერთო ქართული ენა, რომელსაც ჰქონდა დიალექტები, როგორც ყველა ცოცხალ ენას" (გვ. 62-63).

შდრ., აგრეთვე, მიტროპოლიტი ანანია: "**მოციქულთა ეპოქის საქართველოში საქრისტიანო მოძღვრება ითარგმნა ქართველთათვის საერთო ენაზე და არა სატომო ენა-კავებზე;** ფუძე ქართველური ენის დაშლამდე ჩამოყალიბდა ქართული საეკლესიო და სალიტერატურო ენა და, საერთოდ, ქართული ქრისტიანული კულტურა. ამის შემდეგ საერთო **ფუძე ქართული დაიშალა სვანურ, ზანურ და ქართულ დიალექტებად**, რომელთაც **თანამედროვე ენობრივი სახე** მიიღეს მოგვიანებით - საქართველოს დაშლა-დანაწევრების კვალდაკვალ XIII-XIX

საუკუნეებში“.[81]

საერთოქართველური ენის, არქაული სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების ენობრივი ფაქტების შეპირისპირებით, ასევე წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ქართულიდან სხვა ენებში და სხვა ენათაგან ქართულში ნასესხები ლექსიკა მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ქართველთა ისტორიული სამწიგნობრო ენა - სასულიერო მწერლობის ენა (ე.წ. ძველი ქართული ენა) **შექმნილია** ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს და **ეფუძნება** ძვ. წ. II-I ათასწლეულებში არსებულ **საერთოქართველურ ენას**[82].

შესაბამისად, ჩვენი აზრით, ნაკლებსარწმუნოა, რომ ქართული სალიტერატურო ენა ეფუძნებოდეს თბილისურ კოინეს, ქართლურს, კახურს ან სხვა ერთ რომელიმე ქართველურ კილოს[83].

სამწიგნობრო ენის ტერმინოლოგიის ანალიზით მსგავს დასკვნას აკეთებს **მ. ჩუხუა:** “უძველეს წარსულში არსებობდა საერთოქართველური სამწერლობო ენა, რომლის ბუნებრივ გაგრძელებასაც წარმოადგენს ძველი ქართული სამწერლობო ენა. როდესაც ის შეიქმნა, **ზანური და სვანური, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულები, არ არსებობდა“**[84]. ქართველებში სამწერლო ტრადიციის არსებობა საერთოქართველური ენობრივი ერთობის ხანისათვის ივარაუდება, რასაც ასევე მხარს დაუჭერდა ფუძე-ენაში ისეთი კულტურული პროტოტიპების პოვნიერება, როგორიცაა: ***წიგნ-** “წიგნი“, ***ქერტ-** “ქაღალდი“, ***ძაღ-** “საღებავი“...[85]

ზ. სამწიგნობრო ქართული ეფუძნება ქართლურს (ქართლ-კახურს), ან ქართლურის საფუძველზე შექმნილ ქალაქურ კოინეს.

[81] “ქართველური ენები და დიალექტები“, 2007, გვ, 27.

[82] იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 325; ტ. ფუტკარაძე, 2006, გვ. 41-43; იხ., აგრეთვე, ქვემოთ

[83] ტ. ფუტკარაძე, 2007.

[84] ქართველური ენები და დიალექტები, 2007, გვ, 21.

[85] მ. ჩუხუა, 2006, გვ. 158-160.

დღესაც ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, **ქართის ტომის (/ეროვნების) ენის** ბაზაზე შეიქმნა ქართული სამწიგნობრო ენა, რომელიც კულტურისა და მეცნიერების ენად აღიარეს სხვა ქართველური ენების მფლობელებმაც... პირველ რიგში სანიმუშოდ წარმოვადგენთ **გ. მელიქიშვილის** მსჯელობას: არაბობის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი ქართის ეროვნების მიერ მოხდა **დასავლეთ საქართველოს არაქართი მოსახლეობის “ენობრივ-ეთნიკური“ დაახლოება-შერწყმა**[86].

სამეცნიერო ლიტერატურაში გვაქვს ამ მოსაზრების ოდნავ სახეცვლილი ვარიანტებიც:

ა. შანიძე: ძველი ქართული სამწიგნობრო ენა ემყარება ხანმეტ და ჰაემეტ კილოებს, რომელთა მფლობელი ტომები ცხოვრობდნენ მცხეთა-ბოლნისის რაიონში (ხანმეტი) და მის დასავლეთით (ჰაემეტი; შდრ.: “მეგრულ-ჭანურიც ჰაემეტი კილოს ჩამომავალია“); IX საუკუნიდან მოკიდებული ქართული სალიტერატურო ენის მთავარი წყაროა ჰაემეტი კილო, რომელიც ადრე ხანმეტის პარალელურად არსებობდა (ა. შანიძე, 1923, გვ. 360-362; ეს აზრი უზუსტოდაა დამოწმებული ზ. სარჯველაძის მიერ; კერძოდ, შდრ., ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 83: ა. შანიძის აზრით, “სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო აღმოსავლეთ საქართველოს, ისტორიული იბერიის, მეტყველება“);

არნ. ჩიქობავა: “სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე, ასე, მაგალითად, რუსულ ეროვნულ ენას, როგორც აღნიშნავს ი. სტალინი, საფუძვლად დაედო კურსკ-ორიოლის მეტყველება... **ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის** (იგულისხმება პროვინცია ქართლი - ტ. ფ.) **მეტყველების საფუძველზე;** ახალი ქართული

[86] გ. მელიქიშვილი, 1973, გვ. 124-128; გ. მელიქიშვილი, 2003.

სალიტერატურო ენა ქართლურის გარდა კახურსაც ემყარება“ (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 114-115).

გ. ახვლედიანი, გ. ნებიერიძე: “ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ქართლ-კახური დიალექტი, მაგრამ სალიტერატურო ქართული არ ემთხვევა მთლიანად ქართლ-კახურ დიალექტს, სალიტერატურო ენას საფუძვლად ედება ის დიალექტი, რომლის წარმომადგენლებიც დაწინაურებული არიან კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით; ასე მაგალითად, ლათინურს საფუძვლად დაედო რომის დიალექტი, რადგან რომს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა რომის იმპერიაში. ამავე მიზეზის გამო ფრანგულს საფუძვლად დაედო პარიზის დიალექტი, ძველ ბერძნულს - ატიკური დიალექტი, **ქართულს - ქართლ-კახური** და ა.შ.“ (გ. ახვლედიანი, 1972, გვ. 27).

ბ. ჯორბენაძე: ის, რომ ქართულ სალიტერატურო ენასთან ყველაზე ახლოსაა ქართლური და კახური დიალექტები, სადავო არაა: სალიტერატურო ენა ორიენტაციას იღებს ეთნიკურ (ტერიტორიულ) დიალექტებზე; თუმცა უფრო ლოგიკურია ვთქვათ, რომ ქართული სალიტერატურო ენა შეიქმნა თბილისური კოინეს ბაზაზე (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 173-175)[87].

ძირითადად საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში პოპულარული იყო მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში

[87] შდრ., გ. გოგოლაშვილის მსჯელობა წიგნში: “ქართველური ენები და დიალექტები“ (2007, გვ. 124-125), სადაც ერთმანეთშია არეული **საერთო-ქართველური კოინე** (რომელიც უძველესი ქართველური თემების კილოთა ბაზაზე უნდა არსებულიყო **ძვ. წ. I ათასწლეულში**) და ქართლური კილოს საფუძველზე ნავარაუდევი **თბილისური კოინე** (რომელიც შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ **ახ. წ. V საუკუნის** შემდეგ).
ამავე პასკვილში გ. გოგოლაშვილი ასევე ამაოდ დაშვრა, როცა შეეცადა, საკითხის ისტორიის მიმოხილვისას (გვ. 13) ტექნიკური შეცდომის გამო გამეორებული არნ. ჩიქობავას ციტატა ექცია მსჯელობის ნაკლად.

მცხოვრები **ქართული ტომის - “ქართების“ ენაზე** შეიქმნა დამწერლობა, რომელიც გავრცელდა სხვა ტომებშიც: აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებმა მოსახლეობამ - ქართებმა თავიანთი ენა და კულტურა თავს მოახვიეს დასავლეთ საქართველოს ბარში მცხოვრებ მეგრელებს, ლაზებს, კავკასიონის კალთებზე მცხოვრებ სვანებს, ფხოველებს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ჰერებს, სამხრეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ მესხებს და სხვ. იხ., მაგ.: **ო. ჯაფარიძე** (2006, გვ. 353-366): სალიტერატურო ენა ემყარება აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველებას - “ქართის“ ენას; აქვე ვკითხულობთ: “ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის საქართველოს ეთნიკური რუკა ასე გამოიყურება: კოლხეთის მთიანეთში - სვანი, კოლხეთის ბარში - ზანი, აღმოსავლეთ საქართველოში - ქართველი“...

რ. გორდეზიანი (1993, გვ. 58-61)**:** “ქართები აღმოსავლეთ საქართველოში არიან; ამათ (ქართულ) ენაზე იქმნება დამწერლობა; ქართული ენის ფუნქცია შემდგომ გაფართოვდა...

სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა საოცარი ფრაზაც: **ქართი - ტომიყლაპია:** “ქართის ტომის მიერ დაპყრობა-შერწყმა სხვა ტომებისა და შემდეგ თანდათან მისი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნა (კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნა) მას განუზომელ უპირატესობას ანიჭებდა სხვა ტომებთან შედარებით და მოხდა უდიდესი ნახტომი: **ქართის ტომმა** მცხეთა დაიპყრო და აქ შეიქმნა ახალი ქართლი. ამის შემდეგ ამ ტომთა შერწყმა კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდა. **ქართი ტომიყლაპია**: იბერები, მესხები, ზიდრიტები, კახები, ჰერები, ფხოვი, ჭართალი, ბაზალი, დუალი, ეგრე, სვანი, აფხაზი, აფშილი, სანიგი“ **(ნ. ბერძენიშვილი,** 1990, გვ. 237).

ე.წ. ქართებისგან სხვა ქართველურ ტომთა ასიმილაციის დაუსაბუთებელ მოსაზრებას სამეცნიერო ლიტერატურაში

“ქართიზაციის“, “გაქართების“, “ქართველიზაციის“ ან “გაქართულების“ სახელით იხსენიებენ[88].

კიდევ ერთხელ შევნიშნავთ:

მსოფლიოში არსებული არც ერთი წყარო არ ადასტურებს ე.წ. “ქართის“ ტომის არსებობას. გარდა ამისა, ქუჯ-ფარნავაზის ქართლიც და ფარსმანის ქართლიც ეგრის-აფხაზეთსაც მოიცავდა, VI-VII საუკუნეების უცხოური წყაროების “იბერიად“ დაპატარავებული ქართლი კი - ეგრის-აფხაზეთის არცთუ მცირე ნაწილს.

ამ ფაქტის მიუხედავად, საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში ფართოდ ინერგებოდა “ქართიზაციის“ თეორია.

საინტერესოა ისიც, რომ დაუსაბუთებელი ე.წ. სამი ქართველური ენის მიხედვით შექმნილი “ქართიზაცია-ქართველიზაციის“ სადაო თეორია უკრიტიკოდ მიიღეს ლინგვისტებმაც და ისტორიკოსებმაც. გაჩნდა ამ ულოგიკო ისტორიული სქემის ორი ვერსია: “იძულებითი“ და “ნებაყოფლებითი ქართიზაცია“[89].

შდრ., მაგ.: ა. ონიანის აზრით, ზანური და სვანური “ენების“ მფლობელებმა და საქართველოს სხვა კუთხეების ქართველებმა მიიღეს მოძმე “ქართების“ სალიტერატურო ენა; კერძოდ, ა. ონიანი წერს:

“ქართულთან, მეგრულთან და ლაზურთან ერთად სვანური არის ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ქართველურ ენებზე, ბევრი სხვა მონათესავე ენათა ჯგუფისაგან განსხვავებით, არ წარმოქმნილა სხვადასხვა ეროვნული კულტურა (მეცნიერება, ხელოვნება)... ქართული იყო მთელი ქართველი ხალხის

[88] იხ.; ნ. ბერძენიშვილი, 1990, გვ. 225, 353, 406-409; გ. მჭედლიძე, 1996, გვ. 111, 115, 370, 534 და სხვ.. ე.წ. **ქართიზაცია/ქართველიზაციის** კრიტიკული ანალიზისათვის იხ.: ა. ჯაფარიძე, დედა ეკლესია, თბ., 1996; ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესია, ტ. I, თბ., 1996; ტ. ფუტკარაძე, ქართველები, I, ქუთაისი, 2005, გვ. 79, 163, 179-180, 220-221, 327 (იხ., აგრეთვე, ქვემოთ).

ბუნებრივი (და არა - თავსმოხვეული) საერთო-სახალხო ეროვნული ენა, მეცნიერების, კულტურის ენა და ერთადერთი სალიტერატურო ენა“[90].

ნათქვამიდან ჩანს, რომ სვანური (მეგრულისა და ლაზურის მსგავსად) უმწერლობო ენაა[91].

ე.წ. ქართიზაციის თეორიის მომხრეთა მსჯელობებში ერთმანეთისგან გამომდინარე **ორი უსაფუძვლო დაშვება გვაქვს:**

- არსებობდა ქართის ტომი/ეროვნება;
- არსებობდა ქართის ენა.

ხაზგასმით ვამბობთ: **ქართის ტომის არსებობის ვარაუდის საფუძველს მსოფლიოში არსებული არც ერთი ისტორიული წყარო არ იძლევა;** ვინც არ არსებობდა, ის როგორ შეძლებდა სხვის დაპყრობას?

ფაქტია ისიც, რომ საისტორიო წყაროების მიხედვით, ქართველური თემების თუ სამთავროების გაერთიანების იდეა თითქმის ყოველთვის დასავლეთ ან სამხრეთ საქართველოს მოსახლეობისგან (მათი წინამძღოლებისგან) მოდიოდა; იხ., მაგ., ქუჯის, მარუშიანის, დავით კურაპალატის, ლეონიდების, ბაგრატ III-ის, ჭყონდიდლების, ლევან დადიანის, სოლომონ II-ის, სოლომონ ლიონიძის და სხვათა ძალისხმევა.

აქვე, კიდევ ერთხელაა აღსანიშნავი, რომ დაუსაბუთებელია “ისტორიული ქართების“, ქართველებისა და ქართლელების გათანაბრება. ვფიქრობთ, უფრო ლოგიკურია ქართლის

[89] ტ. ფუტკარაძე, 2007, გვ. 127-132

[90] ა. ონიანი, 1998, გვ. 3-4. იხ., აქვე: “ეს არის ის დიდი ტვირთი, რაც ისტორიამ ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულს დააკისრა და რის გამოც ის არის სწორედ სრულიად საქართველოს საერთო-სახალხო ეროვნული ენა და ქართველი ხალხის ერთიანობის ბურჯი. დანარჩენი ქართველური ენები კი, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით ჩვეულებრივი ენებია, ფუნქციონალურად (საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით) **ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან**.

[91] იხ., აგრეთვე: რ. გორდეზიანი, 1993, გვ. 70.

პროვინციის მოსახლეობის **სახელდება მესხებად**. თანამედროვე კვლევების მიხედვით, "**ქართიზაციის**" თეორიის უსაფუძვლობას ცხადყოფს მრავალი სხვა ფაქტიც[92].

ზემოთ განხილულ ე.წ. "ქართიზაციის" თეორიას სხვა ასპექტით ეხმიანება **ზ. სარჯველაძე**, კერძოდ, ის წერს:

"ძველ ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად მცხეთის - იბერიის დედაქალაქის - მეტყველება დაედო. საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა ქართული ტომების წარმომადგენელთა ურთიერთობის შედეგად მცხეთაში ჩამოყალიბდა ზედიალექტური ცოცხალი მეტყველება ("მცხეთური კოინე" - "ისეთი ქართული მეტყველება, რომელიც რამდენადმე მაინც ყველა მსხვილი ადგილობრივი დიალექტის ძირითად თავისებურებებს მოიცავდა და ამიტომ, ბუნებრივია, არ ემთხვეოდა არც ერთ დიალექტს, მათ შორის, არც ქართლურს, იბერიულს"); ბუნებრივია, ვივარაუდოთ ამ მეტყველების დიდი სიახლოვე ქართლურ დიალექტთან" (ზ. სარჯველაძე, 1997, გვ. 11; ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 83-87); საფიქრებელია, რომ ქართული სამწერლობო ენა IV-V

[92] საყურადღებოა: კ. კეკელიძესთან კამათში ივ. ჯავახიშვილს სიტყვა **ქართები** ბრჭყალებით მოჰყავს (ივ. ჯავახიშვილი, 1979, გვ. 236); შდრ.: კ. კეკელიძის რწმენით, **სვანებთან ნარევი მესხების** კუთვნილი ქართლი ძვ. წ. IV-III საუკუნეებში დაუკავებიათ ქართებს, რომელთაც **ახალი ქართლი** შეუქმნიათ; ჩანს, ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებდა **ქართის ტომის** არსებობის იდეას, თუმცა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამის შესახებ მას საგანგებოდ არ უმსჯელია. ივ. ჯავახიშვილისგან განსხვავებით, ქართიზაციის თემა გააქტუალურა ნ. ბერძენიშვილმა; დავიმოწმებთ მის ტიპურ ციტატას (ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ.225): ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების ხანისათვის **ქართლის ექსპანსია** ძირითადად დასრულებული იყო... ქსნისა და არაგვის ხეობებმა "სახელი **ქართლი** არ მიიღეს; არ მიიღო ეს სახელი არც **იმერეთმა**, მიუხედავად იმისა, რომ **ქართის კულტურა, ქართის ენა** მათთვის **მშობლიური ენა გახდა** (შეიძლება იბერნი იყვნენ და იმთავითვე მათი ენაც იგივე იყო, რაც ქართლისა, ოღონდ დიალექტი...)" [ხაზგასმა ჩემია - ტ.ფ.].

წერლობო ენა IV-V საუკუნეებზე გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა, მაგრამ ჟამთა სიავის გამო ადრინდელმა ძეგლებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია" (ზ. სარჯველაძე, 1997, გვ. 7); შდრ., **იქვე, გვ. 8:** "სავარაუდებელია, რომ ქართული ასომთავრული ანბანი შეიქმნა ჩვ. წ-ის II-III საუკუნეებში ქრისტიანული თემების წიაღში და საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურად რელიგიად გამოცხადების შემდეგ იგი ფართოდ გავრცელდა. უნდა ვიფიქროთ, რომ **უფრო ადრეც არსებობდა ქართული დამწერლობის სხვა სახე**, რომლის ნიმუშებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევიათ".

პირველ რიგში აქ საკამათოა ე.წ. **მცხეთური კოინესა** (თუნდაც თბილისური კოინეს) და არქაული სამწიგნობრო ქართულის მიმართების საკითხი. თუ სამწიგნობრო ქართულს საფუძვლად დაედო ქართლურის ბაზაზე შექმნილი ზედიალექტური მეტყველება, არქაული სამწიგნობრო ენა ქართლური, მესხურ-ჯავახური, კახური და სხვა კილოების თავისებურებებს უნდა აირეკლავდეს; მაგ., ხანმეტ ტექსტებში არ უნდა იყოს **აე** ხმოვანთ-კომპლექსი, რომელიც ყველა ამ კილოში **ეე**-დ ტრანსფორმირდება; ქართლურში უნდა დასტურდებოდეს **ხანმეტობა, ხანისმიერი ყრუ ხშული ბგერა, არქაული ქართულის მსგავსი სახელური და ზმნური პარადიგმები** და სხვ. აშკარაა, რომ ჩვენთვის ცნობილი ქართლური, კახური, მესხური კილოების თავისებურებანი ვერ შექმნიდა არქაული სამწიგნობრო ქართული ენის მყარ სისტემას: **არქაული სამწიგნობრო ენა კილოური მონაცემების კონგლომერატი არ არის; მკაცრად ნორმირებული ერთი მთლიანი მონაცემია.**

ვფიქრობთ, შეიძლება ითქვას: **დღემდე არც ერთი სპეციალისტის მიერ არ დასაბუთებულა,** რომ ქართული სამწიგნობრო ენის სათავე უეჭველად არის ქართლური კილო, IV-V საუკუნეების ე.წ. ქალაქური კოინე, ან ე.წ. ქართების ენა.

არადა, როგორც ვხედავთ, ქართული სამწიგნობრო ენის

საყრდენი ენობრივი მოდელის საკითხის გარკვევა მეტ სინათლეს შეიტანს ქართველი ერის ისტორიაში.

ბუნებრივია, რომ სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი მოდელის საკითხზე ვიმსჯელოთ, ერთი მხრივ, უძველესი ხანმეტი ტექსტების ენის, მეორე მხრივ, კი ასომთავრული ანბანის შექმნის პერიოდში არსებული ტომების/თემების ენობრივი ერთეულების მიხედვით.

ლოგიკურია ისიც, რომ ქართული სამწიგნობრო ენის საწყისად ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის დრო დავსახოთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად გაზიარებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქართული ასომთავრული შეიქმნა წინარექრისტიანულ პერიოდში (დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, გ. წერეთელი, რ. პატარიძე... ქართულ ანბანს წარმართობის დროინდელად თვლის ბევრი სხვა მკვლევარიც: აკ. ბაქრაძე, გ. ნარსიძე, მ. ჩხარტიშვილი, ზ. ალექსიძე, ლ. ჭილაშვილი...)[93]; მაგ., **ივ. ჯავახიშვილი** თვლიდა, რომ ასომთავრული ანბანი **წარმართული პერიოდის ძეგლია** და შექმნილია არა უგვიანეს ძვ. წ. VII საუკუნისა. ამავე აზრს ემხრობა **პ. ინგოროყვაც**. ცნობილი წყაროების ახლებური ანალიზისა და ბოლო წლებში მიკვლეული ძეგლების შესწავლის საფუძველზე **რ. პატარიძემ** ქართული ანბანის შექმნის თარიღად ივარაუდა ძვ. წ. 415 წელი (რ. პატარიძე, 1980).

შდრ., **თ. გამყრელიძე**, 1989, გვ. 197-198: "არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა ან გამოაძევა მანამდე არსებული, წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა"...

ჩემი აზრით, **ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის**

[93] ლიტერატურა და საკითხის ისტორია იხ.: ტ. ფუტკარაძე, 1998; ჟ. ფეიქრიშვილი, 2006, გვ. 74-85

დროდ სამართლიანად ითვლება ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი (V-II საუკუნეები). საყურადღებოა, ასომთავრულში, ფინიკიური ანბანის მსგავსად, მე-6 ადგილზე მყოფი ასონიშანი წყვილბაგისმიერია და „გამოხატავს 6 რიცხვით მნიშვნელობას" (ტ. ფუტკარაძე, 1998, გვ. 83-90, ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 304).

აქვე, არსებითია აღინიშნოს, რომ სპეციალისტთა ერთი ნაწილის მიერ **ძვ. წ. I ათასწლეულში** ივარაუდება საერთოქართველური ენის არსებობაც (არნ. ჩიქობავა, კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, ქ. ლომთათიძე...); შდრ.:

არნ. ჩიქობავა (1979, გვ. 253): "იბერიულ-კავკასიური ენები მონათესავე ენებია, მათ წარმოშობა აერთიანებს. ეს ძველისძველ ვითარებას გულისხმობს; სავარაუდოდ, **სამი ათასი წლის წინანდელს** და, ალბათ, ძველ ადგილ-სამყოფელს, კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს. ამ ენათა განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა; არა ერთს სხვა ენას გადაჰყრიან; საუკუნეთა მანძილზე არაერთი დიალექტი თუ ენა წარმოქმნილა თუ გამქრალა, გათქვეფილა სხვა ენაში. ამიტომ გასაკვირი ის კი არ არის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს გასაოცარი ნაირგვარობა ახასიათებს, არამედ ის, რომ ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსში (ასევე, ლექსიკაშიც) ნიშანდობლივი საერთო თვისებები შერჩენიათ".

ქ. ლომთათიძე (1946, გვ. 133-139)**:** მეგრული ზმნების I და II პირში არსებული **-ქ** სუფიქსი **ქო** დადასტურებითი ნაწილაკისგან წარმოიქმნა... "ქართულსა და სვანურში თურმეობითსა და გარკვეულ ზმნებთან აწმყოს წარმოებაში მონაწილეობს მეშველი ზმნა, ასევე ჭანურსა და მეგრულშიც სათანადო შემთხვევებში გამოყენებული ყოფილა მეშველი ზმნა, მეგრულში დადასტურებითი ქო ნაწილაკითურთ, ჭანურში - აწმყოში უწინდებულოდ, თურმეობითში კი - ვიწურ-არქაბულში დო- წინდებულით (სადაც მეშველი ზმნა მთელი ფორმით გადარჩენილა), ხოლო ხოფურში - უწინდებულოდ".

ქ. ლომთათიძის მართებული დასკვნით, **განხილული მოვლენა ქართველურ ქვესისტემებში ერთგვაროვანია და ერთდროულადაც ხდება;** კერძოდ: "მეგრულ-ჭანურთან შესადარობის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ახალ ქართულში მეშველი ზმნა გაუჩნდა სწორედ საშუალი გვარის ზმნებს და სწორედ პირველსა და მეორე პირში. ძველ ქართულმა ეს არ იცოდა; იქ გვქონდა ვზი, ვდგა და სხვა, ახალი ქართულისთვის კი ეს ფორმები სრულიად უცხოა (შდრ.: ვზი-ვარ, ვხტი-ვარ...)... შდრ., ბალსზემოური იმ ნორმებს უჭერს მხარს, რაც დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის: სგურ "ვზი"... ბალსქვემოური ახალ ქართულს მიჰყვება: სკურ-ხუ "ვზივარ"... უდავოა, რომ ყველა ქართველურ ენაში მეორეული მოვლენაა ხსენებული მეშველი ზმნის დართვა"[94].

აღსანიშნავია ისიც, რომ ქ. ლომთათიძის აზრით, **ძველი ქართულისა და სვანურის ხანმეტობა ერთი და იგივე მოვლენაა** და სამწიგნობრო ენაში ხანმეტობის გაქრობის დროს ემთხვევა ზანურში დადასტურებითი ნაწილაკის ცვეთის დასაწყისი, ოღონდ, მასალობრივად ხ- და -ქ სხვადასხვა მონაცემია: "...საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდეს მეგრულ -**ქ**-ს სვანურ -**ხ**-სთან (**ხ**-არი, **ხ**-უარი). სხვა არგუმენტაციასაც რომ არ გამოვუდგეთ (მაგ., **ხ** ყველა დროშია), მათ გასათიშად ისიც კმარა, რომ აქ ჩვენ არსებითად განსხვავებული ხნოვანების მოვლენებთან (ხაზი ყველგან ჩემია - ტ.ფ.) გვაქვს საქმე: ერთი (**ხ**-) ქართულის ისტორიული პერიოდის დასაწყისში უკვე გადაშენების გზაზე დამდგარ მოვლენად ჩანს, მეორე (**-ქ**) კი სწორედ **ამ პერიოდიდან იკვლევს გზას** (აშკარაა, რომ ქ. ლომთათიძე IV-VI საუკუნეებს გულისხმობს...) (ქ. ლომთათიძე, 1946, გვ. 131-137).

[94] ქ. ლომთათიძე, 1946, გვ. 136

კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი[95]: "საერთოქართველური ენა ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ათასწლეულში უნდა მოვათავსოთ".

ვფიქრობთ, კვლევის თანამედროვე ეტაპზე მეტი არგუმენტი ეძებნება არნ. ჩიქობავას, კ. ბერგსლანდის, ჰ. ფოგტის, გ. მაჭავარიანის, ქ. ლომთათიძის და სხვათა მოსაზრებას, ვიდრე გ. კლიმოვის, თ. გამყრელიძის, მ. ქურდიანის და სხვათა ვარაუდებს. თვალსაჩინოებისათვის, აქაც წარმოვადგენთ მსჯელობას გლოტოქრონოლოგიური დათარიღების შესახებ[96]:

საერთოქართველური ენისა და ქართველურ ენობრივ ერთეულთა დათარიღება გლოტოქრონოლოგიური ანუ **ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდით** პირველად სცადეს გ. კლიმოვმა, თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა. ერთი და იმავე მეთოდით შესრულებული ორი გამოკვლევის შედეგები 1000-წლიანი სხვაობის მქონე აღმოჩნდა, კერძოდ, გ. კლიმოვის აზრით[97], საერთოქართველურისაგან სვანურის გამოყოფა დაიწყო II ათასწლეულის, ხოლო ზანურისა - I ათასწლეულის დასაწყისში. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით[98], საერთოქართველურისაგან სვანურის გამოყოფა ძვ. წ. X საუკუნეში მოხდა, ხოლო ქართულ-ზანურის დიფერენცირება - ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.

საერთოქართველური ენის დივერგენციის განსხვავებული სქემაა წარმოდგენილი თ.გამყრელიძისა და ვ.ივანოვის შრომაში: "ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები"; კერძოდ, ამ ნაშრომში საერთოქართველური ენის არსებობის დროდ მიჩნეულია ძვ. წ. IV ათასწლეული[99].

[95] კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, 1972, გვ. 255
[96] ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 220, 265, 280-297
[97] გ. კლიმოვი, 1952, გვ. 119
[98] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 17
[99] თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984, გვ. გვ. 880, 909; შდრ., მხოლოდ საეჭვო ლექსიკური ძიებებით ამ თარიღს უფრო აძველებს მ. ქურდიანი; მისი

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია გლოტო-ქრონოლოგიური მეთოდის ნაკლზე: იგი მხედველობაში არ იღებს ენის ცვლილების განსხვავებულ ტემპს სხვადასხვა ეპოქაში და ლექსიკის ცვლის სიხშირის ხარისხის განსაზღვრისას ვერ ითვალისწინებს **ინტენსიური გავლენის ან სამეტყველო კოდთა შერევის როლს**; ეს მეთოდი ნაკლებსანდოა იმიტომაც, რომ საანალიზო ერთეულთა სიაში ერთი უზუსტო ფორმის მოხვედრაც კი მკვეთრად ცვლის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს (გლოტოქრონოლოგიის "მყიფე მეთოდების" შესახებ იხ. კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, 1972; დ. კრისტალი, 1989, გვ. 331; ბ. ჯორბენაძე, 1997, გვ.140-141; ტ. ფუტკარაძე, 2000, გვ, 327; თ. გვანცელაძე, 2004, თ. უთურგაიძე, 2007...)[100].

ჩვენ მიერ წარმოებული კვლევა[101] მხარს უფრო უჭერს შემდეგ ქრონოლოგიას:

ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში საერთოინდოევროპული ენის თანადროულად სავარაუდოა იბერიულ-კავკასიური კონტინუუმის არსებობა; მისგან საკუთრივ ქართველური ენობრივი სამყაროს გამომიჯვნა დაწყებული ჩანს კავკასიასა და ანატოლიაში ინდოევროპული ნაკადის შემოსვლის შემდეგ ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე; მკვეთრი დაშორება კი სავარაუდოა ძვ. წ. I ათასწლეულის მანძილზე, კერძოდ, სკვით-კიმერიელთა და სპარსული

აზრით, ძვ.წ. აღ. V-IV ათასწლეულების მიჯნა უნდა მიჩნეულ იქნეს საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან ქართული ენის გამოყოფის თარიღად (მ. ქურდიანი, 2008, გვ. 9); შესაბამისად, საერთოქართველური ენას ის ვარაუდობს ძვ.წ. აღ. VI-V ათასწლეულებში.

[100] მსჯელობისა და ლიტერატურისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005, გვ. 280-297; თ. უთურგაიძის მოსაზრება იხ.: "ქართველური ენები და დიალექტები", გვ, 14.

[101] ტყავ-, ქუთაის- სვან-, სარაპანის- ფათ-... და სპარსულიდან საერთოქართველურში ნასესხები ზარი, კუართი, ტყე, ძეწკვი, წითს... სიტყვების ისტორიის შესახებ იხ., ტ.ფუტკარაძე, ქართველები, 2005, გვ. 293; იხ., აგრეთვე, ნ. ბართაია, ტ. ფუტკარაძე, 2007.

მოდგმის ტომთა შემოსევების დროს.

სავარაუდოა, რომ ქართველური მოდგმის მიერ კოლხურ-ყობანური კულტურის შექმნისას, ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან ყალიბდება **საერთოქართველური ენობრივი ერთეული** - ძველი ქართული თემების საერთო-სამეტყველო ენა.

არსებობს საკმარისი საფუძველი, ვირწმუნოთ:

ერთმანეთს ემთხვევა ქართული ანბანის შექმნისა და საერთოქართველური ენის არსებობის დრო[102].

შესაბამისად, **ლოგიკურია, ვივარაუდოთ,** რომ ქართველთა სამწიგნობრო ენის სათავე ძვ.წ.აღ. I ათასწლეულშიც არსებული საერთოქართველური ენაა.

ამ მოსაზრების დასაბუთება ან უარყოფა შესაძლებელია საერთოქართველურის, არქაული სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების მონაცემთა შეპირისპირებით; კერძოდ ისმის კითხვა: **რომელ ენობრივ მოდელთან უფრო ახლოს არის არქაული ქართული სამწიგნობრო ენა?**

ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე ლინგვისტური ფაქტის შეპირისპირებით ანალიზს:

[102] ამ თანადროულობას ბევრი ფაქტიც ამოწმებს; ერთ-ერთია საერთოქართველურსა და არქაულ სამწიგნობრო ქართულში **ე.წ. ხანმეტობის არსებობა**: მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნად ხ- პრეფიქსის გამოყენება (ეს ამ პერიოდის ნორმაა და არა - მეტობა); საერთოქართველურში ხ-ს რეკონსტრუირების საფუძველს იძლევა არქაული სამწიგნობრო ქართულის, სვანურისა და ფხოურის მასალა (საკამათო არ ჩანს არც ხევსურული ხ-ს საკითხი, ვინაიდან "სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში სწორედ **ხ-**ს (და არა **ჰ**-ს) შეუძლია მოგვცეს მყღერი **ღ: მა-ხ-გვრის** > მა-ღ-გვრის; ნაკლებლოგიკურია პროცესი: მა-ჰ-გვრის > **მა-ხ-გვრის** > მა-ღ-გვრის; გარდა ამისა, იქ, სადაც ჰ-ბუნებრივია, ხევსურულში მაინც -ხ- პრეფიქსი გვაქვს: და-ხ-ფარვენ, ხ-მკიდი, და-ხ-კაზმავს, ხ-ქონდა..." (ტ. ფუტკარაძე, ქართველები, I, 2005, გვ. 319-321; შდრ., "ქართველური ენები და დიალექტები", 2007, გვ. 125, სადაც გ. გოგოლაშვილის კიდევ ერთი დაგვიანებული "სიახლეა").

Ch. საერთოქართველური **ფუძეენის ფონემატურ სტრუქტურაში** სამი კლასი გამოიყოფა: **თანხმოვნები** (ჩქამიერები, სონორები), **სონანტები** და **ხმოვნები.** საერთოქართველურის ხმოვანთა სისტემა ანალოგიურია სამწიგნობრო ენისა: გვაქვს; **ა, ე, ო** ხმოვნები. **ი** და **უ** ბგერები ხან მარცვლოვანი, ხანაც უმარცვლო ალოფონებით წარმოდგებიან და, შესაბამისად, ქმნიან **სონანტთა კლასს**. **ი/ჲ** და **უ/ᲩᲨ/ვ** სონანტები დღესაც არსებობს თითქმის ყველა ქართველურ დიალექტში[103].

თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ჰ. ფენრიხისა და სხვათა აზრით, საერთოქართველურ სონანტთა რიგში აღდგება **მ, ნ, რ, ლ** ფონემებიც. არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, თ. გვანცელაძე და სხვა ცნობილი მეცნიერები სამართლიანად თვლიან, რომ საერთოქართველურშიც და დღესაც **მ, ნ, რ, ლ** ბგერები **სონორებია და არა სონანტები.**

სპეციალისტთა დიდი ნაწილი საერთოქართველურში ძირითადად იმავე თანხმოვნებს აღადგენს, რომელიც გვაქვს არქაულ სამწიგნობრო ქართულში: ხშულები: ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ; გ, ქ, კ; ვ, ყ. ნაპრალოვნები: ზ, ს; ჟ, შ; ღ, ხ; ჰ. სონორები: მ, ნ, რ, ლ.

მკვლევართა ერთი ნაწილის (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, მ.ქურდიანი) აზრით, საერთოქართველურ ენაში წინანუნისმიერი ძ, ც, წ, ზ, ს და უკანანუნისმიერი ჯ, ჩ, ჭ, ჟ, შ ბგერების გვერდით დამატებით სავარაუდოა შუანუნისმიერი (შუასიბილანტური) ძ', ც', წ', ზ', ს' თანხმოვნების არსებობა. ამ მოსაზრებას ფაქტობრივი მასალა ნაკლებად უჭერს მხარს.

ქართული ანბანის საყრდენი მოდელის ძიების თვალსაზრისით არსებითია ის, რომ ასომთავრულში

[103] შდრ.: თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიხედვით, თანამედროვე ქართველურ ქვესისტემებში სონანტთა კლასი გამოირიცხება

დასტურდება: **ᲩᲨ, ᲩᲨ** და **ᲩᲨ** ბგერების აღმნიშვნელი გრაფემები, რომლებიც არსებობდა არქაულ ქართულშიც, საერთოქართველურშიც და არ არის დამახასიათებელი ქართლური და სამცხურ-ჯავახური კილოებისთვის[104].

"არქაულ ქართლურსა" და მესხურს თუ წარმოვიდგენთ ამ ბგერებითურთ, ბუნებრივია, "არქაული ქართლურის"/მესხურის და საერთოქართველურის იდენტური მონაცემები "არქაულ ქართლურს"/მესხურს საერთო-ქართველურთან გაგვითანაბრებს; ე.ი. ამ შემთხვევაში ლოგიკურია ვთქვათ, რომ **ასომთავრულის ფონემური საფუძველი** უფრო საერთოქართველურია, ვიდრე ქართლური**.**

Ჩ. ქართველური ქვესისტემებისთვის ერთი მორფემის შიგნით დამახასიათებელი არ არის **ხმოვანთკომპლექსები;**

[104] თუმცა დღესაც ბუნებრივია ქართველურ კილოთა უმრავლესობისთვის; შდრ.: ᲩᲨ, ᲩᲨ და ᲩᲨ-ს აღმნიშვნელი ასოები XIX საუკუნემდე გამოიყენებოდა სამწიგნობრო ენაში. ᲩᲨ ფონემასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ამბავიც:
2004 წლის 23 მარტს მამია ფაღავამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა". ოფიციალურმა ოპონენტმა გ. გოგოლაშვილმა სარწმუნოდ მიიჩნია მ. ფაღავას დასკვნა იმერხეულში ᲩᲨ ბგერის არარსებობის შესახებ; აქვე, უნდობლობა გამოუცხადა პროფ. შუშანა ფუტკარაძის მასალას (გვ. 378). არადა, იმერხეულში ᲩᲨ ბგერის არსებობის დამადასტურებელი მრავალი ფაქტია გამოქვეყნებული 1993-2003 წლებში (და არა მხოლოდ შ. ფუტკარაძის მიერ). 2005-2006 წლებში, სადოქტოროს დაცვის შემდეგ, თავად მ. ფაღავა, პროფ. თ. უთურგაიძის რჩევით, საგანგებოდ დააკვირდა იმერხეულ მეტყველებას და პატიოსნად უარყო თავისივე სადოქტოროს დასკვნა (მ. ფაღავა, ფარინგალური ᲩᲨ იმერხეულში, XXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2005, გვ., 47; იხ., აგრეთვე, XXVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2006, გვ. 49). 2007 წელს გ. გოგოლაშვილმა გამოაქვეყნა თავისი რეცენზიის შემოკლებული ანუ, გარკვეულწილად რედაქტირებული ვარიანტი (საენათმეცნიერო ძიებანი, XXV, გვ. 373-379), სადაც იგი უკომენტაროდ წერს, რომ მ. ფაღავას მიერ იმერხეულში ᲩᲨ ბგერის არარსებობის მტკიცება დამაჯერებელია, მეტიც, პრინციპული მსჯელობის ნიმუშია...

მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი ხმოვანთმიმდევრობები (განსაკუთრებით: აე, ეა, ოა, აო, ოე, ეო) ყველა ქართველურ დიალექტში განიცდის ცვლილებებს: წარმოიქმნება დიფთონგი, გრძელი ხმოვანი ან ერთი ხმოვანი. მსგავსი რამ არ დასტურდება სამწიგნობრო ენაში; შესაბამისად, შეუძლებელია დავუშვათ, რომ არქაული სამწიგნობრო ენა რომელიმე ჩვენთვის ცნობილ ქართველურ კილოს ეყრდნობა. ამ შემთხვევაშიც, ქართლური უფრო გვიანდელი გამოდის, ვიდრე ასომთავრულის საყრდენი მეტყველება. ბუნებრივია, ეს ფაქტიც კიდევ ერთი არგუმენტია საიმისოდ, რომ არქაული სამწიგნობრო/სტანდარტული ენისთვის ამოსავალ სტრუქტურად მივიჩნიოთ არა ქართლური ან მესხური, არამედ - საერთოქართველური ენა[105].

Ղ. ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში მოთხრობითი (ერგატივი) ერთადერთი ბრუნვაა, რომლის ნიშნის დღეისთვის ძირითადი ალომორფები (-მა/-მ) საერთოქართველურში არ აღდგება: არქაულ სამწიგნობრო ენაში ერგატივი წარმოდგენილია სახელის **ფუძით (აბრაამ)**, უბრუნველი ნაცვალსახელებით **(მე, შენ, ჩვენ, თქვენ, მან, მათ, ვინ, თვითონ)** ან **მან ნაწევრიანი** ყალიბით (კაც-მან).

შდრ.: სვანურ კილოებში ჩანს **-მან** ნაწევარის ნაშთი (ტ. ფუტკარაძე, 2007), ხოლო ზანურ კილოებში ერგატივს აწარმოებს **-ქ** სეგმენტი[106].

შესაბამისად, ლოგიკურია დავუშვათ, რომ იბერიულ-კავკასიური ენების სპეციფიკური ბრუნვის - ერგატივის **-მან/-მა** და **-ქ** ნაწილაკებიანი ქართველური ვარიანტები ჩამოყალიბდა არქაული სამწიგნობრო ენის ფორმირების პარალელურად; ეს ნიშნავს: **არქაული ქართული და საერთოქართველური ამ მხრივაც ემსგავსება ერთმანეთს.**

Ճ. სვანურ და ფხოურ კილოებში პირის ნიშნად დღემდეა შემორჩენილი არქაული სამწიგნობრო ენისთვის დამახასიათებელი ე.წ. **ხანმეტობის** დროინდელი **ხ-** პრეფიქსი:

ახ. წ. V-VII საუკუნეების **ქართული ხანმეტი ტექსტების ნორმის ანალოგიურად**, სვანურში **ხ-** პირის ნიშანი დაცულია ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან სუბიექტურ მეორე და ობიექტურ მესამე პირში (ხ-იშხი "იწვი", ხ-ასყი "აკეთებ", ხ-ატბიდე "ათბობ"... ხ-ალატ "უყვარს", ხ-აჭუდი "აძლევს", ხ-აგდი "სძინავს"...). იგივე ხ-პრეფიქსი უნდა გამოიყოს პირველი პირის **ხ+უ̂**- სეგმენტში[107], კერძოდ, საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის მსგავსად, სვანურ კილოებშიც პირველი პირის ნიშანია უ̂/ვ, რომელიც არაბაგისმიერი ხმოვნების წინ დაცულია უცვლელად, ბაგისმიერი ბგერების მეზობლად იკარგება, ხოლო თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში შემონახულია ინფიქსის სახით (მსგავსი დისტრიბუცია ჩვეულებრივია სხვა ქართველურ კილოებშიც). რაც შეეხება **ხ+უ̂**- სეგმენტის **ხ**-ს, ლოგიკური ჩანს, დავუშვათ:

ხ- პირველი პირის ზმნურ ფორმაში არსებული ირიბი ობიექტის ნიშანია; დროთა განმავლობაში, სვანურში **ხუ̂**- ერთიან მო-

---

[105] თუ დავუშვებთ ე. წ. "არქაული ქართლურის" არსებობას და წარმოვიდგენთ, რომ მასში ხმოვანთკომპლექსები თავდაპირველი სახით არსებობდა, ასეთი "არქაული ქართლური" საერთოქართველურს ან სამწიგნობრო ენას დაემთხვევა. ხმოვანთკომპლექსების ისტორიიდან გამომდინარე, თითქოს უფრო ლოგიკურია დავუშვათ, რომ **ქართლური მომდინარეობს სამწიგნობრო ენისგან** და არა სამწიგნობრო ენა - ქართლურისგან; ესეც ნაკლებარგუმენტირებადია, ვინაიდან ქართველურ სინამდვილეში არც ერთი კილო არ იღებს სათავეს სალიტერატურო ენისგან: **ყველა კილოშია** ისეთი არქაული გრამატიკული თუ ლექსიკური ფაქტები, **რომლებიც სამწიგნობრო ენის ველში არ დასტურდება, მაგრამ სავარაუდოა საერთოქართველურში**.

[106] რომელიც, ჩვენი აზრით, მეგრულ, რაჭულ, ტაოურ, იმერხეულ და სხვა ქართველურ კილოებში ფართოდ გავრცელებული ქე/ქი/ქო/ქვე/კი/ხო/ჰო ნაწილაკის ნაშთია (ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 317-318)

[107] საკითხის ისტორიისა და მსჯელობისათვის იხ.: გ. როგავა, 1956; მ. სუხიშვილი, 1986; ნ. მაჭავარიანი, 1986.

რფემად გადააზრიანდა და სხვა შემთხვევებშიც განზოგადდა.

ჰ/ხ/ს (< სა-/რა-) პრეფიქსისათვის ამოსავალი ჩანს **კლას-კა-ტეგორიის ნიშნობა** (არნ. ჩიქობავა, 1944), ვინაიდან სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა ორი, გრამატიკულად განსხვავებული პირის - მესამე ობიექტისა და მეორე სუბიექტის წარმოდგენა ერთი და იმავე ნიშნით; შდრ., ძველი სამწიგნობრო ენის მონაცემები: აღხუ-მართე, შეხუაბთ... ჰვსცოდე, ჰკითხე...

ძველ სამწიგნობრო ქართულშიც და სვანურ, თუშურ, ხევ-სურულ მასალაშიც (მი-ხ-გვრიან, ხ-ქონდა, და-ხ-კაზმავს, ხ-მკიდი, და-ხ-ფარვენ...) ამოსავალია **ს/ჰ**; დიალექტებში სავარაუდოა შემ-დეგი ფონეტიკური პროცესი**: ს/ჰ > ჰ > 0 და ს/ჰ > ხ > (ღ)**: შდრ., ხევსურული: მაღგვრის, ღგვანდი, ღგონებავ[108]... გურულ-აჭარულ კილოებშიც გვაქვს პირის ნიშნად ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებუ-ლი **ხ**[109], ოღონდ, აქ **ჰ > ხ** პროცესი ფუძისეული თანხმოვნის გავლენითაა წარმოქმნილი; შესაბამისად, გურულ-აჭარულში გამოვლენილი **ხ** ხანმეტობის პერიოდისად ვერ მიიჩნევა.

აშკარაა: მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური **პირის ნიშნად ხ-,** ანუ ე.წ. ხანმეტობა **საერთოქართველური მო-ვლენა ჩანს.** საერთოქართველურშივე არსებული **ჰ/ხ** მონაცვლეო-ბის შედეგი უნდა იყოს ზოგ კილოში **ჰ > 0** პროცესის განვითარე-ბა, ზოგან კი **ხ**-ს დამკვიდრება (შდრ.: მკვლევართა ნაწილი ფიქ-რობს, რომ ხანმეტობა და ჰაემეტობა საკუთრივ ქართული ენის ორ კილოს ასახავს).

ვფიქრობთ, სამწიგნობრო ქართულის V-X საუკუნეების ხანმეტობა-ჰაემეტობა-სანნარევობა, სვანურ-თუშურ-ხევსურული ხანმეტობა, ზანური ***ჰუჩაში > უჩაში** და ***ჰო > ო** პროცესები დროის ერთ მონაკვეთში იღებს სათავეს. რამდენადაც, სვანურ-ფხოვურმა კილოებმა პირის ნიშნად შემოინახა **-ხ/ღ**, ლოგიკურია

[108] შდრ., ა. შანიძე, 1920 და ა. ჭინჭარაული, 1960, გვ. 96-98.

[109] იხ. ქ. ლომთათიძე, 1938; მ. ცინცაძე, მ. ფაღავა, 1998 და სხვ.

დავუშვათ, რომ **ზანურ-სვანური დიალექტური წრე ფორ-მირდება ჰაემეტობა/ხანმეტობის პერიოდში**; ეს დრო კი, სავარაუდოდ, ემთხვევა **ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს**[110].

Ղ. ქართველური კილოების დათარიღებისა და სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი მოდელის განსაზღვრისათვის საინტერესოა **ზმნურ თემის ნიშანთა** ჩვენება: არქაული სამწიგნობრო ენისათვის ბუნებრივი იყო თემისნიშნიანიც და უთემისნიშნო ზმნებიც; ანალოგიური ვითარებაა სვანურ კილოებშიც, რაც გვავარაუდებინებს, რომ არქაული სამწიგნობრო ენა და სვანური დიალექტები საერთოქართველურ ვითარებას ასახავს. დროთა განმავლობაში ქართულ სამწიგნობრო ენაში გაძლიერდა თემის ნიშნის დართვის, ხოლო სხვა ქართველურ ქვესისტემებში უნიფიკაციის ტენდენციაც; კერძოდ, თუ ფხოვურ კილოებში, გურულში, ზემოიმერულსა და აჭარულში მკრთალად შემორჩა არქაული სამწიგნობრო ენის (ანუ საერთოქართველურის) მსგავსი ვითარება, ქართლურსა და კახურში თითქმის აღარ გვხვდება უთემისნიშნო ზმნები, ხოლო მესხურსა და მეგრულ-ჭანურში თემის ნიშანთა სრული უნიფიკაცია მოხდა[111].

დასკვნა: თემის ნიშნების ასპექტით სვანური და არქაული სალიტერატურო ენა თანადროულ ვითარებას ასახავენ; სამწიგნობრო ენა ეყრდნობა იმ მოდელს, რომელიც დაცული აქვს სვანურს და არა მეგრულ-ჭანურს, მესხურს ან ქართლურს.

Դ. აწმყოსა და თურმეობითის ფორმათა წარმოების პრინ-ციპი ქართველურ ენა-კილოებში ძირითადად ერთნაირია: არქაული ქართულისა და ზემოსვანური კილოების ფორმები მეშ-

[110] ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 303-322; აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ დროიდან ჩნდება წყაროებში სვანების თემიც და მათი სახელიც: სოა-ნას/შოანას "სვანი"; შდრ., I-IV საუკუნეების უცხოურ წყაროებში ჯერ კიდევ არ ჩანს დიალექტური შონი/მუშუან ვარიანტები.

[111] მასალისათვის იხ. ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 360-374

ველ ზმნას არ დაირთავს; გვიანდელ სამწიგნობრო ენაში, მეგრულ-ჭანურში, ქვემოსვანურსა და სხვა ქართველურ კილოებში კი ბუნებრივია **არის** ზმნის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტი.

შედგენილი შემასმენლის ზმნურ კომპონენტად გამოყენებული "არის" ზმნის ფონეტიკური ცვლილებაც ქართველურ ქვესისტემებში ერთგვარი პრინციპებით ხდება; რამდენადაც **ამოსავალი ქართველური ფორმა (არს/არის) იდენტურია არქაული სამწიგნობრო ქართულის მონაცემისა,** შესაძლებლობა გვაქვს, ქართველური მასშტაბით ვიმსჯელოთ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის ფორმირების დროისა და ქართველურ ენობრივ ველში ალომორფთა გამოვლენის კანონზომიერების შესახებ; კერძოდ:

ძველ წერილობით ძეგლებში შედგენილი შემასმენლის ზმნურ წევრად, როგორც წესი, გვხვდება **არს** მეშველი ზმნა, სახელადი ნაწილი კი ძირითადად ფუძის სახითაა წარმოდგენილი: დახატულ არს, დაწერილ არს, მოსულ არს... იშვიათად დასტურდება ი-ხმოვნიანი ვარიანტი: **არის**.

მეგრულ-ჭანურში ძირითადია **ორენ** (< ***ა-რ-ე-ნ**) ფორმა; ხოლო სვანურ კილოებში "არის" დამოუკიდებელი ზმნის როლშია **ᾱრი/არი** (I პ. ხᾱ-**არ-**ი, II პ. ხ-**არ**-ი, III პ. **ა-რ**-ი. მრ.: I პ. ხᾱ-ᾱ-რ-ი-დ/ლ-ᾱრ-იდ, II პ. ხ-ᾱ-რ-ი-დ, III პ. ᾱ-რ-ი-ხ; (ხ)ᾱ-, ხ-, -ხ ხანმეტობის-დროინდელი პირის ნიშნებია), ხოლო მეშველი ზმნის ფუნქციით დასტურდება **ლი/ლიზ/ლის:** I პ. ხᾱ-ი (<ხᾱ-არ-ი) II პ. ხ-ი (<ხ-არ-ი), III პ. ლ-ი (<ლ-არ-ი; ლ- იბერიულ-კავკასიური ენებისთვის დამახასიათებელი კლას-კატეგორიის ნიშანია, რომელიც სვანურში პირის ნიშნად გადააზრიანდა).

ქართველურ ენა-კილოებში შედგენილი შემასმენლის კომპონენტად გამოყენებული **არის** მეშველი ზმნა შემდეგ ალომორფებს (თუ ფონეტიკურ ვარიანტებს) წარმოაჩენს:

ა) როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტთა უმრავლესობაში ყველაზე გავრცელებულია "დახატული-ა" ტიპის

წარმოება, სადაც "არის" მეშველი ზმნისგან დარჩენილია მხოლოდ თავკიდური ა ხმოვანი; იგი ენკლიტიკურად მიერთვის წინამავალ სიტყვას: დახატული-ა < დახატული არის, დაწერილი-ა < დაწერილი არის... ძველ წერილობით ძეგლებში ენკლიტიკის შემთხვევები იშვიათია.

ბ) ზოგ დიალექტში (ხევს., ფშ., თუშ., ინგ.) ენკლიტიკის შემთხვევაში ფუძეთანხმოვნიან სახელებთან შესაძლოა დაიკარგოს მეშველზმნისეული ა ხმოვანიც, რის საკომპენსაციოდაც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ბოლო მარცვალს მოუდის დინამიკური მახვილი; მაგ., ხევს.: ბევრ **ვაჟი**ʻ (=ვაჟია) მძიმედ დაჭრილი. თუ კაცები-ას სახლჩი, საარაყეს ჩააყენებენ, თუ ობოლ-ობოლ-**ქვრივი**ʻ (=ობოლ-ობოლქვრივი-ას), თუნდა პურსა ნუ აჭმევს (ა.ჭინჭარაული, 1960). ინგ.: დათი კოლი (=დათვის კვალია), დიდ კაცი (=დიდი ხნის კაცია), ზᾱრი (=ძვირია) (გრ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 116).

გ) ზეპირ მეტყველებაში ხშირია "არის" მეშველზმნისეული ბოლოკიდური თანხმოვნის - III სუბიექტური პირის სუფიქსის დაკარგვის ფაქტები: **არის**>**არი**: დახატული არი, წასული არი... III სუბიექტური პირის ნიშანი -**ნ** ბოლოკიდურ პოზიციაში იკარგება მეგრულშიც: ჭარილ ორე/რე "დაწერილი არის"... **ნ-** სუფიქსი აღდგება ხმოვნის შემცველი მორფემების (მრ. რიცხვის -ან სუფიქსის, სხვათა სიტყვის -ია ნაწილაკის, კითხვითი ო ნაწილაკის) დართვისას, მაგ.: ორე-**ნ**-ა(ნ) "არიან", ორე-**ნ**-ია "არისო", ორე-**ნ**-ო "არის?" ჭანურში -**ნ** სუფიქსის დაკარგვის ფაქტები იშვიათია: **ორე-ნ**.

დ) "არის" ზმნის ფონეტიკურ ვარიანტად ხევსურულში გვხვდება -**ას**: გაჭირებული კაცი **ას**. ეს კანონ ძველი **ას**. თითო მოშ თივაიც რო მისცათ, ისიც კაი **ას**. მკვდრის ცოლი **ას** ის, რო ქალს ქმარ მაუკვდების (ა. ჭინჭარაული, 1960, გვ.41).

ე) ინგილოურში (კაკურში) ხმოვანფუძიან სახელებთან **არის/არს** მეშველი ზმნა **ს** ვარიანტით არის წარმოდგენილი, იგი

უშუალოდ ეკვრის სახელს, მაგ.: ზროხაᲔ**ს** (=ძროხა არის), მამაᲔ მეპურეᲔ**ს** (მამა მეპურე არის), საჭიროᲔ**ს** (=საჭირო არის) (გრ. იმნაიშვილი, 1955, გვ. 122)

ვ) მეგრულ-ჭანურში **ორენ** მეშველი ზმნა II-III პირში ხშირად თავკიდური **ო** ხმოვნის გარეშე იხმარება: **რექ<ორექ, რენ<ორენ**: ხანტილ **რექ** "დახატული ხარ", ხანტილ **რე(ნ)** "დახატული არის"... (შდრ. I პირის ფორმაში ო ხმოვანი ყოველთვის არის წარმოდგენილი: ვ-ო-**რექ** "ვარ" (მეგრ.), ვ-**ორე**/ბ-**ორე** "ვარ" (ჭან.). I პირში ო ხმოვნის შენარჩუნება ვ- პრეფიქსის არსებობით შეიძლება აიხსნას. I პირში ხმოვანი გვაქვს ვ პრეფიქსის დაკარგვის შემთხვევაშიც: ვა(ვ)-ო-რექ "არ ვარ" (შდრ. დიალექტებში, აგრეთვე სვანურში II პირის ფორმაში ხ- პრეფიქსი აბრკოლებს ფონეტიკურ ცვლილებას: ხარ). I პირის ფორმაში ხევსურულში თავკიდური ვა > ო: ქალი-ორ < ქალი ვარ (ა.ჭინჭარაული, 1960).

ზ) ქართველურ კილოებში დასტურდება ისეთი ფაქტებიც, როცა მეშველი ზმნა ერთდროულად კარგავს თავკიდურ და ბოლოკიდურ ბგერებს, კერძოდ, მეგრულ-ჭანურში ამოსავალი **ორენ** ფორმა წარმოდგენილია **რე-**ს სახით: საჭირო **რე** (<ორენ) "საჭირო არის", ხანტილ **რე** (<ორენ) "დახატული არის"... მსგავსი ვითარება გვაქვს ფერეიდნულში, სადაც **არის** ზმნა (ძირითადად ე,ო ხმოვნების მეზობლად) წარმოდგენილია **რი** ვარიანტით, მაგ.: საჭირო'**რი** (=საჭირო არის), კაცობის დღე'**რი** (=დღე არის), იქით ვაკე'**რი** (=ვაკე არის), ემეების უფროსი სხო'**რი** (=სხო არის), ეგ საუზმო'**რი** (=საუზმო არის) (არნ. ჩიქობავა, 1927, გვ. 201);

თ) მეგრულ-ჭანურში თანხმოვანფუძიან სახელებთან **ორენ** მეშველი ზმნის ვარიანტად გვაქვს **ე**: **ორე(ნ)>რე>ე**: ხანტილიᲔ "დახატულია", ჭარილიᲔ "დაწერილია"...

ი) ჭანურში **ორენ** ზმნის ძირისეული **რ** თანხმოვანი იცვლება **Ე**-თ: **რენ>Ეენ**: სი კითხერი Ეე-რ-ი? (აქ რ განვითარებულია, ი — კითხვ. ნაწილაკია) "შენ ნასწავლი ხარ?" ჯიგეი ჟუი ენ "ფილტვი ორი არის" (ს.ჟღენტი, 1953, გვ. 72). შდრ. მარტვილური: **მუᲔ<მუ რე** "რა არის"...

კ) ჭანურში შესაძლებელია ხმოვნებს შორის მოქცეული მეშველზმნისეული **რ** ბგერა დაიკარგოს: **ენ<რენ**: აქ გუი **ენ** "აქ გული არის" (ს. ჟღენტი, 1953, გვ. 67)[112].

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სვანური, მეგრულ-ჭანური, ხევსურული თუ ინგილოური ფორმები ქრონოლოგიურად ვერ გასცილდება არქაულ ქართულს[113]; რაც იმას ნიშნავს, რომ სვანური (თუ სხვა ქართველური) კილოების ამჟამინდელი თავისებურებები ყალიბდება სამწიგნობრო ენის ისტორიის პარალელურად.

Ъ. არქაულ ქართულ/ქართველურ სალიტერატურო ენაში II კავშირებითის ფორმებით გადმოიცემა **თხრობითი კილოს მომავალი დრო** (ამიტომაც ადრეულ გამოკვლევებში ამ მწკრივს **მყოფადს** უწოდებდნენ): კაცმა (შე)ჭამოს საჭმელი = კაცი (შე)ჭამს საჭმელს; მან დაამჭუას იგი = იგი დაამხობს მას.

სხვა ქართველურ ქვესისტემათაგან ანალოგიური ვითარება შენარჩუნებულია მხოლოდ ლაზურში (ფრაგმენტულად გვაქვს

---

[112] ლ) ვფიქრობთ, ამ რიგში შეიძლება განვიხილოთ სვანურის **ლი** (< არის) **მორფემოიდიც:** თუ დამაჯერებელია ***ლარი/*ლარის > (ლ)-არ-ი > (ლ)-ი პროცესი, მაშინ გამოდის, რომ ამ შემთხვევაშიც დაკარგულია შუა სეგმენტი -არ-.** სვანურის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მეშველი ზმნის გამარტივება უფრო შორს არის წასული და, მსგავსად III პირისა, გაცვდა I-II პირის ფორმებიც. ეს ფაქტიც საერთოქართველური მოვლენაა: ენა ცდილობს დამხმარე სიტყვები (მორფემოიდები) აფიქსებად აქციოს (შდრ.: ა<არს, მეგრ. ქ<ქორენ, ჭან. რ<რენ, მეგრ.-ჭან. კო<ოკო)... მსგავსი მოვლენაა ხევსურულშიც: ა.ჭინჭარაულის მოწმობით, გარკვეულ კონტექსტში შესაძლებელია "არის" მეშველი ზმნის I-II პირში ძირისეული **რ** ბგერა დაიკარგოს: ვა(<ვარ), ხა(<ხარ) (ა. ონიანი, 1978, გვ.204). შეიძლება ითქვას, სვანურში დამთავრებულია მეშველი ზმნის სუფიქსად ჩამოყალიბება.

[113] ვრცლად იხ., ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, 2006

ჰერულსა და მესხურშიც), მაშინ როცა მეგრული და სხვა ქართველური კილოები მიჰყვება თანამედროვე ქართულს. რ. შეროზიას აზრით, ლაზურისა და მეგრულის მონაცემთა სხვადასხვაობა სათავეს იღებს VII-VIII საუკუნეებიდან;

შდრ.: როგორც ცნობილია, დაახლოებით არაბობის დროს სალიტერატური ენაში ხდება ცვლილებები მყოფადისა და ასპექტის წარმოების მხრივ[114].

სამწიგნობრო დედაენისგან მოწყვეტილ და ბიზანტიურ კულტურულ ველში მოქცეულ ლაზურ კილოს ეს ცვლილებები ნაკლებად შეეხო; სწორედ ამის გამოცაა, რომ "ზოგიერთ საკითხში ლაზურს მეტი აქვს შენარჩუნებული ძველი ვითარებისა, ვიდრე მეგრულს და თვით ქართველურ სალიტერატურო ენას" (რ. შეროზია, 2002, გვ. 88).

Გ. ქართველური სამწიგნობრო ენისა და კილოების მონაცემთა შეპირისპირებით სამეცნიერო ლიტერატურაში **რეკონსტრუირებული საერთოქართველური ლექსიკის** მორფოლოგიური და სემანტიკური სტრუქტურები ძირითადად ემთხვევა არქაული სამწიგნობრო ქართულის მონაცემებს; მასალა ვრცლადაა წარმოდგენილი ნ. მარის, ა. ცაგარელის, პ. ჭარაიას, არნ. ჩიქობავას, გ. კლიმოვის, ჰ. ფენრიხის, ზ. სარჯველაძის, მ. ჩუხუას და სხვათა ლექსიკონებში, ამიტომ მრავალ ნიმუშთაგან აქ მხოლოდ რამდენიმე ტიპურ შემთხვევას წარმოვადგენთ:

საერთოქართვ. *ასული, სამწიგნ. ქართ. ასული, მესხ. ასული, ზან. ოსური, სვან. ასᾠშ;

საერთოქართვ. *თაფლი, სამწიგნ. ქართ. თაფლი, მესხ. თაფლი, ზან. თოფური, სვან. თუ/თᾠი;

საერთოქართვ. *ყურძენი, სამწიგნ. ქართ. ყურძენი, მესხ. ყურძენი, ზან. ცურზენი, სვან. ყუნძელ...

[114] ზ. ჭუმბურიძე, 1986

აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველურისთვის აღდგენილია სამწიგნობრო ტრადიციის ამსახველი ლექსიკაც; კერძოდ, მ. ჩუხუას აზრით (2006), საერთოქართველურში სამწერლო ტრადიციის არსებობას მხარს უჭერს ისეთი ფუძეები, როგორიცაა: წიგნ- "წიგნი", ქერტ- "ქაღალდი, ტყავის ნაჭერი"...

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ფაქტები ცხადყოფს, რომ ქართული ასომთავრული ანბანის თავდაპირველი ვარიანტი , შესაბამისად, **არქაული სამწიგნობრო ენა** დაეფუძნა ენას, რომელიც **უფრო მიემსგავსება საერთოქართველურ ენას, ვიდრე რომელიმე ქართველურ კილოს (თუნდაც ქართლურს, მით უმეტეს - მესხურს).**

შესაბამისად:

საერთოქართველურის უშუალო მემკვიდრეა არქაული სამწიგნობრო, ნორმირებული ენა. მასთან შეფარდებით ზეპირი ქართველური მეტყველებები **აშკარად მეორეული,** ფონეტიკურ-გრამატიკულად სახეცვლილი ნაირსახეობანი არიან; შდრ.: გავიგონე > გევიგონე > გევგონე > გევგონი: პირიქითი პროცესი გამორიცხულია!

ისტორიულ ქართველურ სამწიგნობრო ენას ქმნიდა ყველა კუთხის ქართველობა; ამტომაა, რომ სამწიგნობრო ენაში ჩანს როგორც ზანურ-სვანური, ასევე ქართლურ-მესხურ-ჰერული (და სხვა ქართველური) კილოების ლექსიკა. ამავე დროს, რამდენადაც არქაული სამწიგნობრო ენა უწინარესია ყველა ჩვენთვის ცნობილ ქართველურ კილოსთან შედარებით, სისტემებრ ინახავს უძველეს ფონემატურ სტრუქტურასა და გრამატიკული წყობას.

საფიქრებელია, რომ სამწიგნობრო ქართულის ფუძე ენობრივი ერთეული **ძველ კავკასიაში განიხილებოდა ერთ-ერთ იბერიულ-კავკასიურ დიალექტად,** რამაც ხელი შეუწყო ამ სამწერლობო კულტურის გავრცელებას ("გაშინაურებას") ქართველების მონათესავე ჩრდილო კავკასიელ ხალხებშიც.

მსჯელობა სხვა მიმართულებითაც შეგვიძლია განვავითაროთ:

საერთოქართველური ენის ბაზაზე არსებული სამწიგნობრო ენის მეორეული ვარიანტები არ შეიძლება მივიჩნიოთ ამოსავალი სტრუქტურის თანადროულ სისტემებად.

შდრ.: გენეალოგიურ ხეზე ტოლფარდ ენობრივ ერთეულებად ისეთი სამწიგნობრო და უმწიგნობრო ენები შეიძლება წარმოვადგინოთ, რომლებიც ერთნაირად მიემართებიან ამოსავალ ენობრივ სისტემას; მაგ., თვისობრივად თანაბარი სისტემებია: **იტალიური, ესპანური და სარდინიული.**

ჩვენს სინამდვილეში ქართველთა არქაული მეტყველება ამოსავალია მეგრულის, სვანურისა თუ მესხურისათვის; შესაბამისად, ისტორიულ სინამდვილეს უფრო ასახავს ოპოზიცია: **ქართველური ენა - ქართველური კილოები** და არა ტერმინი: **ქართველური ენები,** რომელიც საერთოქართველურიდან სამი "მოძმე" ენის გამოყოფას გულისხმობს**.**

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

სამწიგნობრო ქართული რომ შექმნილიყო ერთ-ერთ ქართველური კილოს მიხედვით, მასთან მიმართებით თანასწორად - მოძმე ენობრივ ერთეულებად - შეგვეძლო განგვეხილა სხვა ქართველური მეტყველებანი, თუკი მათზე მეტყველი საზოგადოებები ეთნოკულტურადაც ერთმანეთს **არსებითად** დაშორდებოდა.

ტერმინი "ქართველური ენები" გვერდიგვერდ აყენებს ("მოძმე ენებად" განიხილავს) ამოსავალ და მეორეულ ენობრივ სტრუქტურებს.

ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა
სამწიგნობრო ენისა და კილოების
მიმართების ორი სქემა

ქართველთა ენობრივი სამყაროს დათარიღებისა და დივერგენციის შესახებ არსებული ძირითადი მოსაზრების მიხედვით თვისობრივად განსხვავებული ორი სქემა შეიძლება აიგოს:

Ⴓ. საერთოქართველური ენა არსებობდა II-I ათასწლეულებში; ფარნავაზისა და ქუჯის დროს საერთოქართველური ენის ბაზაზე იქმნება ქართველური მწიგნობრობა. წარმოდგენილი თვალსაზრისი სქემატურად ასე გამოიყურება:



საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ სამწიგნობრო ენისა და დიალექტთა ურთიერთგამდიდრება-თანაცხოვრება მუდმივი პროცესია; კერძოდ: არაიზოლირებული მოსახლეობის მეტყველება (ენა, კილო...) წარმოქმნილია დივერგენციული და კონვერგენციული პროცესების შედეგად, შესაბამისად, ჩემ მიერ წარმოდგენილი ენა-კილოთა დივერგენციული სქემები გარკვეულწილად პირობითია, ვინაიდან სქემებში ნაკლებად ჩანს **განაპირა კილოებისთვის დამახასიათებელი** "კულტურული დიფუზიის" **ასპექტები**[115].

[115] მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, ქართველები, I, 2005, გვ. 144, 328. ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების თანაარსებობა **მონოლინგვური დიგლოსიის** სახისაა; დედაენა არის ოფიციალური (მეცნიერების, კულტურის, განათლების, ეკლესიის, მასმედიის, საქმისწარმოების...) ენა, დედაენის კუთხური (ხალხური) სახესხვაობანი კი გამოიყენება არაოფიციალურ, არაპრესტიჟულ გარემოში (აქაც, არაიშვიათად, სამწიგნობრო ქართულთან ერთად)... სემანტიკის

შდრ.: განვლილი 15 საუკუნის მანძილზე სამწიგნობრო ქართულის გავლენა უფრო აქტიური იყო ცენტრალურ, ვიდრე განაპირა ქართველურ კილოებზე, შესაბამისად, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრთან მუდამ ახლოს მყოფი ცენტრალური კილოები (ქართლური, კახური, იმერული...) მიჰყვებოდნენ სამწიგნობრო ენის ნორმების ცვლილების დინამიკას.

ქართული სამწიგნობრო ენა ნაკლებად იცვლება (ინარჩუნებს საერთოქართველურის ძირითად ნიშნებს), თუმცა ხალხური მეტყველების (ცენტრალური კილოების!) გავლენა მაინც აისახება **საერო მწერლობის ენაზე.**

ამგვარი ინტენსიური ურთიერთობა არ არის სამწიგნობრო ენასა და განაპირა ქართველურ კილოებს შორის, ამიტომაც ლოგიკურია, რომ განაპირა ქართველურ კილოებში ბევრი ფონემატურ-გრამატიკული თუ ლექსიკური არქაიზმიც გვაქვს და ინოვაციაც. ამიტომაა საჭირო მეცნიერთა და მწერალთა განსაკუთრებული ძალისხმევა: სამწიგნობრო ენა მიზანმიმართული შრომით უნდა გამდიდრდეს განაპირა დიალექტების მონაცემებით (როგორც ამას კონსტანტინე გამსახურდია წერდა).

აქვე აღსანიშნავია: ცენტრალიზებულ და სამწიგნობრო ტრადიციის მქონე სახელმწიფოში **სამწიგნობრო ენის ინტენსიური გავლენით** კილოები უფრო და უფრო თმობენ პოზიციებს; მაგ., ბოლო რამდენიმე საუკუნეში (ხალხში გვარების ფორმირების შემდეგ!) სახელმწიფო ენის გავლენით ადგილობრივი მოსახლეობის დიალექტი დაუახლოვდა სამწიგნობრო ენას: მეგრული მეტყველების ტრანსფორმირება მოხდა ქვემო აჭარულ, გურულ და ქვემოიმერულ მეტყველებებად, პროცესისთვის ხელი შეიძლება შეეწყო თურქეთის მიერ მესხეთის დაპყრობის პროცესში მიმდინარე მიგრაციას.

მიუხედავად (დი - ორი, გლოსა - ენა) ამ ტერმინს ამავე მნიშვნელობით (ერთი ენის სახესხვაობათა ფუნქციური იერარქია) იყენებს მისი შემქმნელი ჩ. ფერგიუსონი; შდრ., თ.ბოლქვაძე, 2007, გვ. 227

შდრ.: ანთროპოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს, რომ საქართველოს ამ კუთხეებში ადგილი არ ჰქონია ქართლელთა თუ მესხთა მასშტაბურ გადმოსახლებას - ქართიზაციას.

ერთი ქართველური ენის თვალსაზრისის მიხედვით შექმნილი თანამედროვე ქართველური ენობრივი სამყაროს ამსახველი სქემატური რუკა ასე გამოიყურება:

წინა თაობების მკვლევართა პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ გადასასინჯია საბჭოთა რეჟიმის პირობებში შექმნილი ქართველურ კილოთა კლასიფიკაციებიც[116].

[116] მიმოხილვისათვის იხ.: "ქართული ენის ისტორია", ქუთაისი, 2006, გვ. 39-44 (წიგნი განკუთვნილია უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის). ამ საკითხის "განხილვის" დროსაც ცრუობს გ. გოგოლაშვილი (შდრ.: ქართველური ენები და დიალექტები, 2007, გვ. 39-44). სხვა შემთხვევაშიც არაერთხელ აყალბებს სპეციალისტთა მოსაზრებებს (მაგ., თ. გვანცელაძეს მიაწერს ჟურნალისტის მოსაზრებებს). სავარაუდოა, რომ ამ კოლექტიურ ბროშურაში დაბეჭდილი ავტოპორტრეტული პასკვილები ისეთი მკითხველისთვისაც დაიგეგმა, რომელსაც საშუალება ან დრო არა აქვს, თავად შეამოწმოს გაყალბებული "ციტატები" (მით

Მ. ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში უკვე არსებობდა ქართველური ენები (ქართული, ზანური, სვანური). ამათგან ერთ-ერთი ტომის - ქართების ენაზე ძვ. წ. VII - ახ. წ. IV საუკუნეებში შეიქმნა დამწერლობა[117], რომელიც სხვა ქართველური ტომების სამწიგნობრო ენადაც იქცა.

სქემატურად ეს მოსაზრება ასე გამოიყურება:

უმეტეს, ეს ავტორები, როგორც წესი, არ უთითებენ: წიგნს, გამოცემის წელს, გვერდს).

[117] ამ თვალსაზრისის მიმდევრები ქართული ანბანის შექმნის სხვადასხვა დროს ასახელებენ.


საერთოქართველური ენა
ზანური
ქართული
სვანური
მეგრულ-ჭანური
ძველები
ქართული
ქართული
ქართული

დაქცია, რომელშიც ვრცლად აისახება მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ტაოურ-კლარჯულ-ჰერული ლექსიკური ერთეულებიც[120].

II. ყოველგვარი ლოგიკის გარეშე ზოგი ევროპელი ექსპერტის მიერ ეთნიკური უმცირესობის ენად, ხოლო მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ **უმწიგნობრო ენებად** გამოცხადებული ქართველური კილოები ვაღიაროთ ქართველთა ერთი ნაწილის (მეგრელების, ლაზების, სვანების) დედაენებად; ჯერ დავუმკვიდროთ მათ აშორდია-გრენის, სიჭინავას თუ ქურდიან-ბაწაშის შექმნილი ანბანები, შემდეგ კი საქმისწარმოება, ღვთისმსახურება, სასკოლო-საუნივერსიტეტო სწავლება დავიწყოთ სამ ქართველურ კილოზეც.

ამ გზით თუ წავალთ, ძნელი მისახვედრი არაა, რომ ხელი შეეწყობა ქართველი ერისა და საქართველოს დანაწევრებას[121].

[120] სასკოლო საგანი: "**ქართული ენა**" უნდა შეიცვალოს საგნით: "**ქართველთა დედაენა**" (გ.რამიშვილი, 2000, გვ. 9-22). სასკოლო სახელმძღვანელოშიც ვრცლად უნდა შევიდეს თანამედროვე ქართველური დიალექტური (მეგრულ-ლაზური, სვანური, მესხური, ფხოვური, ჰერული, რაჭული...) სალექსიკონო მასალაც და ქართული/ქართველური სამწიგნობრო ენის ისტორის საკითხებიც.

[121] ჩვენ მიერ ამ გზის კრიტიკა ოპონენტებმა"**ქართულ ნაციონალიზმად**" ჩაგვითვალეს. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ:
ქართველოლოგიის პოლიტიზება, ქართველური ენობრივი სამყაროს **პოლიტიზებული შეფასება დაიგეგმა რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნეში;** წამყვან "სამეცნიერო თეორიად" იქცა საბჭოთა კავშირში. პოლიტიზებული ქართველოლოგია უკანასკნელად (!) გააქტიურეს XX საუკუნის ბოლო ათწლეულში (როცა რუსულმა იმპერიულმა ძალებმა კავკასიის დაკარგვის რეალური საფრთხე დაინახეს). ჩვენ შევეცადეთ, თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიით განგვეხილა პრობლემა და წარმოგვეჩინა საბჭოთა პერიოდში უარყოფილი სინამდვილე. კარგია, თუკი ჩვენი ოპონენტებიც დაასკვნიან, რომ დეპოლიტიზებული მეცნიერება უნდა გახდეს საფუძველი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისა. ნამდვილი ეროვნულობა კი ერთნაირად გულისხმობს როგორც საკუთარი, ასევე სხვისი **ენობრივი თუ ნაციონალური მეობის (იდენტობის)** პატივისცემას.

რომელი კონცეფცია, დივერგენციული სქემა თუ ლინგვისტური რუკაა **საქართველოს სინამდვილის ამსახველი** და **მეცნიერულად არგუმენტირებული**, თქვენ განსაჯეთ,

პატივცემულო მკითხველო.

p.s. საზოგადოებისთვის დიდი ხანია ცნობილია პროფ. ჯ. ჰიუიტის ანტიქართული მოღვაწეობა; ამ ეტაპზე ის "ახალი" ინიციატივით გამოდის: მეგრული ენის სახელმწიფო ენად აღიარებით შეიქმნას სამეგრელოს ბუფერული სახელმწიფო, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარერბას; კერძოდ, მისი აზრით:
"აფხაზებს ქართველებისგან ფიზიკურად განადგურების საფრთხე აღარ დაემუქრებათ, თუკი საქართველოსა და აფხაზეთს შორის ჩამოყალიბდება სამეგრელოს ბუფერული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი: ეს პროცესი უნდა დაიწყოს მეგრულის, როგორც მეგრელთა სალიტერატურო და კულტურის ენის, აღიარებით; "მეგრელებმაც უნდა დაიცვან თავიანთი უფლებები"; "მეგრელებმა არ უნდა გაიზიარონ ქართველების კულტურული მემკვიდრეობა და უნდა განავითაროონ თავიანთი თვითმყოფადი ენა და კულტურა"...
"ვინც ამტკიცებს, რომ მეგრელებს შორის არ არსებობს ამგვარი უფლებების მოთხოვნა, ვიტყვი, რომ მათთვის ამ კითხვით არავის მიუმართავს..."
ამ "ისტორიული შეცდომის გამოსწორებამ გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საყოველთაოდ სასურველი გამოსწორება მოიტანოს..." უნდა შეიქმნას კავკასიის კონფედერაცია (რომლის სუბიექტებადაც ივარაუდება: აფხაზეთი, სამეგრელო, საქართველო, აზერბაიჯანი, ყარაბახი, სომხეთი, სამხრეთი ოსეთი...)[122].

[122] ჯ. ჰიუიტმა ეს მოსაზრება გამოთქვა 1999 წელს წერილში: "თანამშრომლობა კავკასიის საკეთილდღეოდ" (სტატია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას ინსტიტუტს სარეცენზიოდ გადასცა თურქეთში გამომავალი ჟურნალის "ჩვენებურების" რე-

რამდენიმე წლის შემდეგ მართლაც დასვეს ამგვარი კითხვები; რეგიონის მოსახლეობას დაურიგეს ე.წ. "კითხვარი ქართველურ ენებზე მოლაპარაკეთათვის" (იხ., ქვემოთ). მსგავსი აქცია განხორციელდა ინტერნეტითაც, მაგრამ სამეგრელოს მოსახლეობამ ჯ. ჰიუიტის მიმდევრებს პირში ჩალა გამოავლო[123].

დაქციამ 1999 წელს); იხ., აგრეთვე: Hewitt, B.G. Abkhazia: a problem of identity and ownership. Central Asian Survey, vol. 12, no. 3, pp. 267–323, 1993; Hewitt, B.G. Demographic manipulation in the Caucasus. The Journal of Refugee Studies, vol. 8, no. 1, pp. 48–74, 1995; Hewitt, G. (ed.) The Abkhazians. Curzon Press, 1999.
კრიტიკისათვის იხ.; http://www.scribd.com/doc/2273647/Conflict-in-Abkhazia-Cases-of-Cooperation-in-Favour-of-Caucasus-or-again-Confederation-of-Caucasus).

[123] იხ., გუგა მესხიას წერილი "გინდათ რომ იცხოვროთ გამოყოფილ სამეგრელოს სახელმწიფოში?", გაზეთი "ქრონიკა", 6-11 ოქტომბერი, 2008 წ. გვ. 5).

დამოწმებული ლიტერატურა

ჯ.აფაქიძე, 2002 - ჯ.აფაქიძე, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია: სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002.

გ.ახვლედიანი, 1972 - ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ.ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ნ.ბერძენიშვილი, 1990 - ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

კ.ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი, 1972 - კ.ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი, გლოტოქრონოლოგიის საფუძვლიანობისათვის: მიმომხილველი, 6/9, თბ., 1972.

დ.ბერძენიშვილი, 2008 - დ.ბერძენიშვილი, უცხოელები საქართველოსა და ქართველების შესახებ, თბ., 2008.

ვ.ბოედერი, 2005 - ვ.ბოედერი, ენა და კილო ქართველოლოგიაში, ენათმეცნიერების საკითხები, 2005, № I-II.

თ.ბოლქვაძე, 2007 - თ.ბოლქვაძე, ქართველური დიგლოსია, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვეობა (პირველი კრებული), თბილისი, 2007

კ.გაბუნია, 2004 - კ.გაბუნია, ქართველური ენების საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური კრიტერიუმების გამიჯვნისათვის: "ენათმეცნიერების საკითხები", 2004, №1.

ი.გაგოშიძე, 1964 - ი.გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.

ი.გაგოშიძე, 1997 - ი. გაგოშიძე, არქეოლოგიური გათხრები ტახტისძირში (ქარელის რაიონი): საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, კავკასიის არქეოლოგია; უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 1997.

ი.გაგოშიძე, 2003 - ი.გაგოშიძე, კოლხური კულტურა, კოლხეთი, იბერია: ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი, 2003.

თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965 - თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

თ.გამყრელიძე, 1989 - თ.გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989

თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე,... 2003 - თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003

თ.გვანცელაძე, 2004 - თ. გვანცელაძე, შენიშვნები "გლოტოქრონოლოგიის მეთოდის" საფუძველზე ქართველურ ენათა" დივერგენციის დროის დადგენის ცდების შესახებ: XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2004.

თ. გვანცელაძე, 2006 - თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.

გ.გოგოლაშვილი, 2004 - გ.გოგოლაშვილი, ქართული ენის პერიოდიზაციისათვის: ენათმეცნიერების საკითხები, 2004, №1.

რ.გორდეზიანი, 1993 - რ. ორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993.

ე.დადიანი, ტ.ფუტკარაძე, 2006 - ე.დადიანი, ტ.ფუტკარაძე, "არის" მეშველი ზმნის ფონეტიკურ-სემანტიკური ტრანსფორმაციისათვის ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში: ქართველოლოგიური კრებული, V, თბ., 2006.

გ.დეეტერსი, 1930 - G.Deeters, Das khartvelische Verbtum. Verglichende Darstellung des Verbalbaus der Sudkaukasischen Sprachen, Leipzig, 1930.

ნ.დობორჯგინიძე, 2007 - ნ.დობორჯგინიძე, რელიგიური ისტორიოგრაფიის უძველესი წყაროები სამწერლობო და არასამწერლობო ქართველური ენების შესახებ: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, I კრებული, თბ., 2007.

ვ. ვაშაკიძე, 1993 - ვ. ვაშაკიძე, ტერმინები: იბერია და იბერები ანტიკურ წყაროებში: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.

გრ.იმნაიშვილი, 1966 - გრ.იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

პ.ინგოროყვა, 1957 - პ.ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1957.

ი.კორიაკოვი, 2006 - Ю. Г. Коряков, Атласс Кавказских языков с приложением полного реестра языков, М. 2006,

დ.კრისტალი, 1989 - D.Crystal, The Cambridge Encyclopedial of Language, New York, 1989.

ნ.ლადარია, 2002 - ნ.ლადარია, სოციოლინგვისტიკა, თბ., 2002

ქ.ლომთათიძე, 1938 - ქ.ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში: თსუ შრომები, VI, თბ., 1938.

ქ.ლომთათიძე, 1946 - ქ.ლომთათიძე, -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, იკე, I, 1946.

ნ.მაჭავარიანი, 1986 - ნ.მაჭავარიანი, ობიექტისა და სუბიექტის პირის ნიშანთა განლაგებისათვის ქართულ და აფხაზურ გარდამავალ ზმნებში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, თბ., 1986.

გ.მელიქიშვილი, 1973 - გ.მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.

გ.მელიქიშვილი, 1973 - გ.მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973,

გ.მელიქიშვილი, 2003 - გ.მელიქიშვილი, უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიური წყობის პრობლემა, თბ., 2003.

გ.მჭედლიძე, 1996 - გ.მჭედლიძე, ბაგრატ მესამის საქართველო, ქუთაისი, 1996.

თ.მიქელაძე, 1974 - თ.მიქელაძე, ძიებანი კილხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ-შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.

მ.ნაჭყებია, 2005 - მ.ნაჭყებია, მეგრულისა და ლაზურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის: ქართველოლოგიური კრებული, IV, თბ., 2005.

მ.ნაჭყებია, 2006 - მ.ნაჭყებია, საქართველოს ეთნოლინგვისტური ტერმინები, თბ., 2006..

ა.ონიანი, 1978 - ა.ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.

ა.ონიანი, 1998 - ა.ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998.

რ.პატარიძე, 1980 - რ.პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980.

რ.პატარიძე, 1989 - რ.პატარიძე, ქართული მწიგნობრობა, თბ., 1989.

ს.ჟღენტი, 1953 - ს.ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.

ალ.რამიშვილი, 1999 - ალ.რამიშვილი, კოლხური კულტურის ინფილტრაცია შიდა ქართლში: ქუთაისური საუბრები, VI, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999.

გ.რამიშვილი, 2000 - გ.რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ., 2000.

გ.როგავა, 1952 - გ.როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, თბ., 1952.

ზ.სარჯველაძე, 1984 - ზ.სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

ზ.სარჯველაძე, 1997 - ზ.სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

მ.სუხიშვილი, 1986 - მ.სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში: იკე, XXV, თბ., 1986.

ი.ტაბაღუა, 1984 - ი.ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, თბ., 1984.

მ.ტაბიძე, 2005 - მ.ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005.

აკ.ურუშაძე, 1964 - აკ.ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

ტ.ფუტკარაძე, 1998 - ტ.ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

ტ.ფუტკარაძე, 2000 - ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ (შემდგენელ-რედაქტორი ტ. ფუტკარაძე), თბ., 2000.

ტ.ფუტკარაძე, 2005 - ტ.ფუტკარაძე, ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ, ქუთაისი, 2005.

ტ.ფუტკარაძე, 2005 - ტ.ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, ქუთაისი, 2005.

ტ.ფუტკარაძე, 2006 - ქართული ენის ისტორია (პროფ. ტ.ფუტკარაძის საერთო რედაქციით), ქუთაისი, 2006.

ტ.ფუტკარაძე, 2006 - ტ.ფუტკარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა“, თბ., 2006,

ტ.ფუტკარაძე, 2007 - ტ.ფუტკარაძე, მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის საკითხისათვის თანამედროვე მეცნიერებაში, ქართველური მემკვიდრეობა, 2003, VII, გვ. 207-227

ტ.ფუტკარაძე, 2007 - ტ.ფუტკარაძე, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტთა ისტორიისათვის ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური დიალექტების მონაცემების მიხედვით (-ან > ნ; -მან > -მა/-მ/-ემ; -ქო > ქ): აკად. ქ. ლომთათიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თსუ, 2007.

ტ.ფუტკარაძე, 2007 - ტ.ფუტკარაძე, ქართული სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი ერთეულის საკითხისათვის, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვეობა (პირველი კრებული), თბილისი, 2007.

ტ.ფუტკარაძე, 2007 - ტ.ფუტკარაძე, ასომთავრული ანბანისა და ქართული სამწიგნობრო ენის სათავე - ძვ.წ. II-I ათასწლეულებში არსებული საერთოქართველური ენა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის

კათედრის 5 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 14 თებერვალი, 2007.

ქართველური ენები და დიალექტები, 2007 - ქართველური ენები და დიალექტები (გამოიცა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და "Volkswagen-Stiftung"-ის პროექტის ("ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში") სახელით, თბ., 2007.

მ.ქურდიანი, 1996 - მ.ქურდიანი, ენა და დიალექტი საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების III სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1996 წლის 4-7 ივნისი (მუშაობის გეგმა და თეზისები);

თ.შარაძენიძე, 1958 - თ.შარაძენიძე, ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, თბ., 1958.

ა.შანიძე, 1920 - ა.შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1920.

ა.შანიძე, 1923 - ა.შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტუმ, ტფ., 1923.

რ.შეროზია, 2002 - რ.შეროზია, სინტაქსური კონსტრუქციების ზოგი საკითხისათვის მეგრულ-ლაზურში: ქართველოლოგიური კრებული, I, თბ., 2002.

რ.შეროზია, 2007 - რ.შეროზია, ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას "სიტყვის კონის" ზოგი საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, 2007.

არნ.ჩიქობავა, 1944 - არნ.ჩიქობავა, გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში: სმამ, ტ. V, № 4, თბ., 1942.

არნ.ჩიქობავა, 1979 - არნ.ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.

არნ. ჩიქობავა, 1952 - არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

მ.ჩუხუა, 2007 - მ.ჩუხუა, ზოგი ქართული სამწერლო ტერმინის ისტორიისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის 5 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 14 თებერვალი, 2007.

მ.ცინცაძე, მ.ფაღავა, 1998 - მ.ცინცაძე, მ.ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.), ბათუმი, 1998.

ი.ჭავჭავაძე, 1987 - ი.ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987.

ა.ჭინჭარაული, 1960 - ა.ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

ზ.ჭუმბურიძე, 1986 - ზ.ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

ი.ჯავახიშვილი, 1908 - ი.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1908.

ი.ჯავახიშვილი, 1950 - ი.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

ი.ჯავახიშვილი, 1979 - ი.ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979.

ა.ჯაფარიძე, 1996-2003 - ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.I-IV, თბ., 1996-2003.

ა.ჯაფარიძე, 2002 - ა.ჯაფარიძე, ქართული საეკლესიო ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი), თბ., 2002.

ა.ჯაფარიძე, 2003 - ა.ჯაფარიძე, ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ, თბ., 2003.

ო.ჯაფარიძე, 2006 - ო.ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან, თბ., 2006.

ბ.ჯორბენაძე, 1989 - ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.
ბ.ჯორბენაძე, 1995 - ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.
ბ.ჯორბენაძე, 1997 - ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997.

ტექნიკური ჯგუფი

ქეთევან ბაქრაძე, ანა ბერაია,
მალხაზ დოგრაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი),
ლილი ლომთაძე, მზექალა ჩანქსელიანი